645
1965/2



# საქართველოს ქალი

სექტემბერი
№ 9 1965 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვენი ლიანა

გახსოვთ, თეთრკაბა გოგონა, თეთრი ბაფთით, ნუშისებრი თვალებითა და „ტარანტელათი“?— მის გამოჩენას დარბაზი რომ მუდამ ტაშით ხვდებოდა, იგი კი პასუხად იღიმებოდა, თითქმის იცინოდა, იცინოდა საყვარლად და მიამიტად.

მაგრამ ეს უკვე „ძველი“, ხუთი წლის წინანდელი ისტორიაა. ლიანა მაშინ სახელოვანი პედაგოგის, საუკეთესო მუსიკოსთა მთელი პლეადის აღმზრდელის - ლეო შიუკაშვილის მოწაფე იყო, მის ბრწყინვალე მომავალში კი ეჭვი არავის ეპარებოდა. სწორედ იმ ხანებში სთქვა ჩვენი საუკუნის უდიდესმა მუსიკოსმა — დავით ოისტრახმა: ამ პატარა ქართველმა გოგონამ მთელი სიდიადით მაგრძნობინა ჩაიკოვსკის მუსიკაო. ხოლო სახელგანთქმულმა ამერიკელმა პიანისტმა ვან კლიბერნმა, როცა ნორჩი მევიოლინის მიერ შესრულებულ სენ-სანსის „ინტროდუქციასა“ და „რონდო კაპრიჩიოზოს“ მოუსმინა, იმედი გამოსთქვა, რომ ლიანას თავის სამშობლოშიც იხილავდა. ეს იყო დიდად ნიჭიერი კაცის მიერ გაკეთებული ზუსტი პროგნოზი: 1967 წელს ლიანა ისაკაძე დაუკრავს ამერიკის შეერთებულ შტატებში. მაგრამ მოვლენებს წინ ნუ გავუსწრებთ.

უკანასკნელი ორი-სამი წელია ქართველ საზოგადოებას თითქმის აღარ მოუკრავს თვალი ლიანა ისაკაძისათვის; ლიანამ კი სახელოვნად, ერთი წლით ადრე დაამთავრა თბილისის ცენტრალური მუსიკალური სასწავლებელი და მოსკოვის ჩაიკოვსკის სახელობის კონსერვატორიაში შევიდა, დავით ოისტრახის მოწაფე გახდა, და სულ რაღაც ორ წელიწადში დიდმა ხელოვანმა, რომელიც მოწმე შეიქმნა ახალგაზრდა მუსიკოსის საოცრად სწრაფი შემოქმედებითი ზრდისა, საჭიროდ ჩასთვალა თავისი მოწაფე საერთაშორისო ასპარეზზე გამოეყვანა.

13 ახალგაზრდა მუსიკოსთა შორის, რომელთაც მონაწილეობა უნდა მიეღოთ მარგარიტა ლონგისა და ჟაკ ტიბოს სახელობის მუსიკოს შემსრულებელთა კონკურსზე, პარიზში, იყო 19 წლის ქართველი გოგონაც.

კონკურსამდე, სულ რაღაც ორი თვით ადრე, მოვიდა კონსერვატორიაში კონკურსზე შესასრულებელი სავალდებულო პროგრამა—შენის „საკონცერტო კომენტარიები“.—ლიანამ იგი უკვე ათ დღეში იცოდა ზეპირად,—გვეუბნება ლიანას მეორე პედაგოგი, პროფესორი პეტრე აბრამის ძე ბონდარენკო, რომელსაც საოცრად ჭკვიანი, ნაცრისფერი თვალები სიხარულის ცრემლით ევსება.—ყველა კომპოზიტორს თავისი სტილი და მანერა აქვს,— განაგრძობს იგი,—ყველა შემსრულებელს კი—თავისი. და აი, ლიანამ შენის ნაწარმოებები ცოტაოდენი თავისებური მანერით დაუკრა (თუმცა საკონკურსო ნაწარმოებებში ნიუანსის ოდნავი შეცვლაც კი აკრძალულია). მაგრამ, როცა „საკონცერტო კომენტარიები“ ავტორმა მოისმინა, ნორჩ მუსიკოსს გამარჯვება მიულოცა და უთხრა: ჩემს ნაწარმოებს მე სწორედ ასეთად წარმოვიდგენდიო. საკონკურსო პროგრამაში იყო აგრეთვე ბრამსის ნაწარმოებები, მათი ლიანასეული შესრულების გამო პარიზის გაზეთები აღტაცებას გამოსთქვამდნენ და ახალგაზრდა მევიოლინეს უკვე ზრდადამთავრებულ, საერთაშორისო კლასის დიდ მუსიკოსად აღიარებდნენ.

პირველი ტურის შემდეგ ნათელი გახდა, ვის უნდა რგებოდა გამარჯვება. ტემპერამენტიანი პარიზელები ყვავილებს უშენდნენ და მეათედ უხმობდნენ სცენაზე ახალგაზრდა საბჭოთა მევიოლინეს.

როცა ლიანა მეათედ გამოვიდა სცენაზე და საკმაოდ კარგი ფრანგულით გამოაცხადა, რა უნდა დაეკრა, პარიზელებმა მართლაც ისახელეს თავი ტემპერამენტით.

ამრიგად, ლიანა ისაკაძე მარგარიტა ლონგისა და ჟაკ ტიბოს სახელობის მუსიკოს შემსრულებელთა კონკურსის ლაურეატი, პირველი ადგილისა და დიდი ოქროს მედლის მფლობელი გახდა.

თბილისში დამსახურებული პედაგოგის ლეო შიუკაშვილის სახელზე მოვიდა ლაკონური დეპეშა:

„გილოცავთ თქვენი მოსწავლის - ლიანას წარმატებას კონკურსზე. გულწრფელად თქვენი ოისტრახი“.

ალბათ, საოცრად კარგია, იყო 19 წლის, შენი გამარჯვებით ხარობდეს დავით ოისტრახი, დადიოდე პარიზის ქუჩებში, ამაღლებული მუსიკის მადლით, სასტუმროს ნომერში გელოდეს სტრადივარიუსის ვიოლინო, მიგაქროლებდეს ლიფტი ეიფელის კოშკის წვეროსაკენ, იქიდან გადმოხედო პარიზის რუხ სახურავებს და სენის ცისფერ ლენტს; ალბათ, საოცრად კარგია, სამშობლოში გელოდეს სიყვარულითა და მადლობით სავსე ამდენი გული.

ნანული ცაგარეიშვილი

# სკოლავ, სალამი დიდი, კარი გაუღე ბალღებს!

ათასი ფერი ელავს,
ათასი შუქი მზისა.
მამული გლოცავთ ყველას:
„სწავლა, შრომა და წინსვლა!“

დღეს მთელ სამყაროს ალხენს
თქვენი ბავშვური ენა.
მომავლის დიად ძახილს
ხვალ უპასუხებთ თქვენა.

ჯერ კი სექტემბრის დილა
და ამაგდართა თვალი
მათი ღიმილი ტკბილი,
და გულისცემა ჩქარი.

ემშვიდობებით მინდვრებს,
უკან დარჩენილ ბაღებს.
სკოლავ, სალამი დიდი,
კარი გაუღე ბალღებს!



9253

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოველთვიური
საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი
№ 9 სექტემბერი 1965 წელი

საქართველოს ქალი

# და აქ მთავრდება ბავშვობა



სკოლის დირექტორი ქ. ჩიჩუა პირველკლასელებთან

## რეპორტაჟი

ისინი ფეხაკრეფით შემოვიდნენ საკლასო ოთახში, თითქოს შემოიპარნენ, ფრთხილად გადასწიეს მერხი და ჩამოსხდნენ. გოგონებს თეთრი, მსუბუქი კაბები ეცვათ, თმებში ყვავილები გაერჭოთ.

29 მერხი ერთბაშად გადათეთრდა, მაგრამ იმ წუთსავე ოთახი თითქოს დაცარიელდა, სიჩუმე ჩამოდგა. ორმოცდათვრამეტივეს სუნთქვაზე ეტყობოდა, რომ ამ ერთ წუთში სურდათ წარმოედგინათ გასული 11 წელი. წარმოდგენას იწყებდნენ პირველი დღის გახსენებით...

მერე ვიღაცამ მოისაზრა, წამოდგნენ უცებ, გაიარეს დერეფანი, შეაღეს პირველი კლასის კარები და შედგნენ. იქ უკვე ისხდნენ ისეთები, როგორებიც თვით იყვნენ ამ თერთმეტი წლის წინ—მომავალი პირველკლასელები თბილისის 51-ე საშუალო სკოლის მეთერთმეტეკლასელების გამოსათხოვარ საღამოზე მოეყვანათ საბავშვო ბაღის აღმზრდელებს..

პატარები მიაჩერდნენ უფროსებს, თითქოს სურდათ გაეგოთ, რა ელოდათ წინ. სკოლადამთავრებულების სახეზე კი ღიმილი დახვდათ, ღიმილი და სიყვარული საკუთარი ბავშვობის გახსენებით. აი, ასეთები იყვნენ უფროსები მაშინ, მათსავით არ იცოდნენ, როგორ დამჯდარიყვნენ, სად წაეღოთ ხელი, არ იცოდნენ, პირდაპირ დაფისკენ რომ უნდა ეცქირათ...

ბევრმა სახემ გაიარა მაშინ პატარების თვალწინ. „ეს სკოლის დირექტორია, საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებელი ქეთევან ჩიჩუა. ესენი ჩვენი მასწავლებლები იქნებიან — ფიქრობდნენ და იმახსოვრებდნენ გვარებს.







მიმავალთა ხსოვნაში კი წარუშლელად იყო აღბეჭდილი აღმზრდელთა სახეები. ყველა მათგანთან მათ აკავშირებდათ დაუვიწყარი შემთხვევები, აღტაცება, სინანული, ტკივილი, სიხარული. თავისთავად, ძალდაუტანებლად ამ ადამიანებმა დაიკავეს კუთვნილი ადგილი მათ ხსოვნაში, ადრე წასულების ხსოვნაში. და ეს სახეები დარჩებიან ისეთივე ახალგაზრდები ბევრი წლის შემდეგ, როგორებიც იყვნენ გაცნობის პირველ დღეს.

ჯერ არ იყო სექტემბერი, მაგრამ პატარებს ამ საღამოსვე თან მოჰყოლოდათ თავიანთი დიდი ცნობისმოყვარეობა, ნიჭი, სწავლის სურვილი. სკოლადამთავრებულებს კი მიჰქონდათ ყველაფერი, რისი გატანებაც სკოლას შეეძლო — ქიმიის გაძლიერებული სწავლების შედეგად

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბევრს მიეღო ქიმიკოს-ლაბორანტის კვალიფიკაცია, ბევრს ჰქონდა შვიდწლიანი მუსიკალური განათლება და შეეძლო სწავლის გაგრძელება მუსიკალურ ტექნიკუმში, სკოლასთან არსებულ უცხო ენების ჯგუფში ბევრი თავისუფლად დაეუფლებოდა უცხო ენას. შრომის გაკვეთილებმა ბევრს წარმოების სიყვარული ჩაუნერგა...

ცხოვრების გზაზე გასასვლელად თითოეულს თავისი ,,საგზალი" მიჰქონდა და, ალბათ, ბევრმა არც კი იცოდა, რამდენი შრომა იყო დახარჯული ამისათვის. არ იცოდნენ, როგორ მუშაობდა სკოლის პედსაბჭო, როგორ მზადდებოდა მათს ყოველდღიურ სწავლასა და ცხოვრებასთან დაკავშირებული საკითხები, არ იცოდნენ, როგორ იკვლევდნენ მასწავლებლები მათი ცხოვრების პირობებს, ეხმარებოდნენ უდედმამო ბავშვებს, განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენდნენ ჩამორჩენილთა მიმართ, და ისე გავიდა 11 წელი, რომ ბევრმა არ იცოდა, როგორ ცხოვრობდნენ მათი აღმზრდელები წინათ, როცა ისინიც მათი ხნისანი იყვნენ.

აი, ყველასთვის თანაბრად ახლობელი სკოლის დირექტორი ქეთევან ჩიჩუა სწორედ მათი ხნის იყო, მახარაძის საშუალო სკოლა რომ დაამთავრა და მაშინვე პირველი კლასი ჩააბარეს აღსაზრდელად. ეს იყო საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მესამე წელს. ქეთევანმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი მხოლოდ შემდეგ დაამთავრა, როცა უკვე ცხოვრება კარგად გაიცნო. იგი თბილისის ერთ-ერთ სკოლაში სასწავლო ნაწილის გამგედ, ხოლო შემდეგ დირექტორად მუშაობდა. აქედან ქეთევანი მოსკოვში გაემგზავრა, პედაგოგიკის სასწავლო-კვლევითი ინსტიტუტის ასპირანტურაში. შემდეგ მას გზავნიან ჯერ მახარაძის, შემდეგ ლანჩხუთის მტს-ის პოლიტგანყოფილების უფროსის თანაშემწედ ქალთა შორის მუშაობის დარგში. საქართველოში კოლექტივიზაცია ახლადგატარებული იყო. ხალხი, განსაკუთრებით ქალები, ნაკლებად გადიოდნენ მინდვრად სამუშაოდ. ქეთევანს პოლიტიკურად უნდა აღეზარდა ეს ადამიანები, დაერაზმა და საკოლმეურნეო შრომაში ჩაება. მოსავლის აღების პერიოდში, როცა ერთი გაცდენილი დღეც კი მოსავლის დაღუპვას ნიშნავდა, ქეთევანი ქალებს მაგალითს უჩვენებდა და პირველი გადიოდა ჩაის საკრეფად, სიმინდის სათოხნად. მაგრამ მას ერთი წუთით არ ავიწყდება სკოლა და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში მასწავლებლობს. შემდეგ ის თბილისში გადმოდის და მთელი არსებით ეძლევა ნორჩი თაობის აღზრდის საქმეს.

...იმ დღეს ქეთევან ჩიჩუას ათასნაირად ეცვლებოდა ხასიათი. ხან უხაროდა, რომ აღზრდილებს ზრდადასრულებულებს ხედავდა, ხან წყინდა, რომ ისინი მის ზრუნვას აღარ მოითხოვდნენ, ხან ეშინოდა, მომავალი პირველკლასელებიდან ვინმეს არ გაემტყუნებინა იმედი, ხან ახალმოსულების თვალებში დიდ ნდობას კითხულობდა...

ლია კაკაბაძე

# მოსწავლეთა შემოქმედება

ნინო რამიშვილი,
მე-9 კლასის მოსწავლე

## გურიაში

ოროღობეები, ოროღობეები
და კრიმანჭული გზაზე,
პატარა ღელე ეზოს ჭიშკართან,
დაფნები — ჭურის თავზე.
ლურჯ ბალახებში პატარა გზაა,
ოდასთან მისასვლელი,
შემოგებება: ,,კაი სალამი
და გამარჯობა თქვენი".
მერე დოლბანდით თავის წაკონვა,
მოხაზირება ხელად,
გადაძახება, გადმოძახება:
— „ხომ მშვიდობაა, ნენა?"
— ,,ნინას უთხარი სტუმარია-თქო,
საქმეს წამიკრას ხელი".
დიდ კეცზე ჭადი, წაბლის ნეშოთი,
გადაზელილი ყველი.
— ,,ნუ შეწუხდებით, ჩვენ გვეჩქარება,
უნდა წავიდეთ მალე".
— ,,არ გადამრიოთ, რახან მობრძანდით,
ქე შეიცადეთ, ბარემ".
...ცოტა ხნის შემდეგ ისევ ოროღობე,
ჩაის ბუჩქები მთებზე,
,,კაი სალამით" და ,,კრიმანჭულით"
გვეგებებიან გზებზე.

## თიანეთის ცა

მირზა გელოვანის ხსოვნას

მას შეხსნილი აქვს შვიდივე ღილი
და შენი გულის ნაწილი ავსებს,
ალბათ ამიტომ არ ფარავს ღიმილს,
ალბათ ამიტომ ანთია ასე.

ის თითქოს შენი გულისთქმით ფიქრობს,
ამიტომ არის ასეთი სუფთა,
შემორჩენია თვალების სითბო,
შენი უთქმელი ლექსების სუნთქვა.

შენი სულივით არის ამაყი
და სიამაყე სვანური შვენის,
არ აპატიებს ცრემლებს არავის,
მან დაბრუნება დალოცა შენი.

იმედიანიც არის შენსავით
და არც ლოდინით დაიღალება,
რადგან იწამა, ერთხელ იწამა,
შენი სიცოცხლე და უკვდავება.

შემატებია სიმაღლე შენი
თან ახლავს უთქმელ ლექსების სუნთქვა,
ანთია თითქოს თვალებით შენით,
შენი გულივით დიდი და სუფთა.

მამუკა სალუქვაძე,
მე-3 კლასის მოსწავლე.

## ნ უ შ ი

გახედავ ეზოს და იფიქრებ,
რა მოხდა გუშინ?
რა მოხდა გუშინ?
ეზოში აყვავდა ნუში.
გახედავ ჯარივით ჩაწყობილ
ნუშის ტოტებს.
და ხედავ: მოხუცი
ქუჩაში მიაბოტებს.
გამოხვალ ეზოში და იფიქრებ,
რა მოხდა გუშინ?
რა მოხდა გუშინ?
ეზოში გაზაფხულია,
გუშინ აყვავდა ნუშიც.

## გ უ ბ უ რ ა

ველზე შხაპუნა წვიმისგან
ბილიკთან გაჩნდა გუბურა,
პატარა ბიჭმა გუბურას
ძალიან დიდხანს უყურა.

ხედავდა: თეთრი ღრუბლები
ლურჯ ცაზე როგორ მიდიან,
იებიც ჩანან, ფოთლებიც,
თვითონ ყველაზე დიდია.

და მაშინ მიხვდა პატარა, —
გუბურას მიტომ ყვარობენ:
ყვავილები და ფოთლები
თითქოს ზეცაში ხარობენ.

ქეთევან სიხარულიძე,
მე-7 კლასის მოსწავლე.

## ჩემი სურვილი

ო, როგორ მინდა ია ვიყო, ლურჯთვალა ია,
ერთ ბუჩქის ძირას ნაზ ბალახთა მეფაროს რიდე,
თუ ოდეს ვინმე მეც შემნიშნავს ამ ბალახებში,
სილამაზით და სათნოებით სიამეს ვგვრიდე.

მინდა კამკამა ლურჯი ფერის ცა ვიყო მუდამ,
რომ ჩემი გული ვერ გააპოს ვერასდროს ელვამ,
რომ ჩემს სილურჯეს ვერ ფარავდეს შავი ღრუბელი,
რომ ჩემი კაბა გაანათოს ბრწყინვალე მზემა.

მინდა მე ვიყო ტალღა ზღვისა, ლურჯი, თეთრ ქოჩრით,
ლამაზ ნაპირებს ამწვანებულს ვკოცნიდე მარად,
შეუჩერებლივ, მოუსვენრად ზღვის სილურჯეში
ვთამაშობდე და ბოროტებას ვაქცევდე არად.
მე მინდა ვიყო ყველაფერი რაც კი ლურჯია.
ლურჯი ცა, ტალღა ლურჯი და ნაზი ია,
ის რაც ლურჯია, ყველაფერი რაც საამოა,
მე მინდა ვიყო ყველაფერი რაც ლამაზია.

# სეზონის ფაცა-ფუცი

ბრიგადირის ჩანაწერები

თენდება... ალიონია. ჯერ არ ამოფრენილა ოქროსფერი მზე, არ გაუბრწყინებია აღმოსავლეთი.

უთენია გალობენ ჩიტუნები. საამო ჰანგებად ჩამესმის მათი ხმა. დილის სუფთა ნიავს შემოაქვს იგი სარკმელში...

ყველას უნდა დაასწრო ადგომა. დღე იწყება, დღე საქმიანი და მუხლმოუდრეკელი. ბრიგადირის სამუშაო დრო განუზომელია — ადრე დილიდან გვიან ღამემდე. რაც შეიძლება, სწრაფად უნდა მოეწყო. ორიოდე წუთში მოემზადო, ადამიანებს ადგილზე რომ მიუსწრო და გააწესრიგო.

მივდივარ. ბევრი კარი არ გაღებულა, მაშასადამე, ადრეა. გზაზე აქა-იქ მხვდებიან ფხიზელი ადამიანები, რომლებიც ადრე გაღვიძებას არიან დაჩვეულნი...

სამოცდაათ კომლს უნდა დაუარო, ამდენივე, თუ მეტი არა, წევრთან მიხვიდე, პირველ რიგში მერგოლურებთან, მერე ჩაის მწონავები გააღვიძო. დღიური უნდა დაიწეროს და საჩქაროდ გაიგზავნოს კანტორაში...

ეზოს ძაღლები ჩემს ხმაზე ყეფენ. სახლებიდან იყურებიან პატრონები. ზოგი უკვე გარბის, მიიჩქარის საქმეზე.

რამდენი წევრია — იმდენი ხასიათია. ბევრს არ სჭირდება გამეორება, ზოგს კი საყვედურიც მოუწევს, ანდა შეხურება. უნდა გაუგო ადამიანებს, მათ გულში უნდა იჯდე. საჭიროა მწყობრი არ დაირღვეს, თუ იგი დაირღვა — ირღვევა შრომის რიტმი და ჰარმონია.

ფოთოლი ყოველდღიურად იზრდება, მეტი შემოდის. წელს კარგი ზაფხულია. ბუჩქებზე ნაკლებად არის ყრუ დუყები, გაჭედილია ყლორტებით...

ვამთავრებ შემოვლას. სოფლის ბოლოში ვარ, იქით მეზობელი კოლმეურნეობა გვემიჯნება, ხოლო ჩრდილო-დასავლეთით — საყანე ფართობები. ყანების თავში მხვდება მოხუცი კოლმეურნე ლავრენტი გურგენაძე. იგი მუყაითი, შრომისმოყვარე ადამიანია. საუბრით ჩავედით მწვანედაბიბინებულ სიმინდის ყანაში. ლავრენტი თავის მოვლილ ნაკვეთში მიწვევს.

წელს იყოჩაღა, ორი ამხანაგი აიყოლია, მასავით მოხუცი, სამოცდაათს გადაბიჯებული კაცი — ივანე თევზაძე და ახალგაზრდა კოლმეურნე — ჟორა თევზაძე. სამთავემ ერთად 4,5 ჰექტარი ფართობი გაიპიროვნეს, დროულად მიხედეს ნათესს, საწრეტი კვლები დაუმატეს, გადაჭრეს, კიდეები მოათოხისპირეს და გაამზადეს უხვი მოსავლის მისაღებად.

— შეხედე, რა კარგად ამოსულა! ერთი ძირიც არ აკლია ანაგებად! — იძახის ლავრენტი და ყანის ბოლოსკენ მეწევა. ბავშვივით აღტაცებულია და მხიარული. ხელში ჯოხს იშველიებს, ხის ფეხს მარჯვედ იქნევს (იგი ხეიბარია), ერთ ადგილას არ ჩერდება.

ლავრენტი მუდამ კარგი მუშა კაცი იყო, ახლაც ბევრს მპირდება. ახალგაზრდებს არ ჩამოუვარდება, მუშაობს იმიტომ კი არა, რომ ეკონომიურად უჭირს, არამედ იმიტომ, რომ შრომა კარგი და სახალისოა გამამხნევებელია ადამიანებისათვის—ასე ამბობს იგი.

დავიარეთ ნაკვეთები. კულტივაციის დაჩქარებას მოითხოვს ბერიკაცი. სარეველა ბალახების წამოსვლა უნდა შეაჩეროს კულტივაციამ.

აღტაცებული ვბრუნდებით. ლავრენტი ოჯახში მეპატიჟება. მას კარგი კარმიდამო აქვს, ვეებერთელა ოდა-სახლი, ასევე სამზადი, სხვა ნაგებობა. იგი, საერთოდ, მოუსვენარი მოხუცია, ტყუილად ერთ წუთს ვერ გააჩერებ. ჰყავს მასავით ერთგული და გამრჯე ცოლი — მარო, რომელიც უკვე ჩაიშია წასული. ქალიშვილები გათხოვდნენ და თავიანთ ოჯახებში ცხოვრობენ, ხოლო ერთადერთი ვაჟი, ნუგზარი, ბათუმში სწავლობს, არდადეგებზე ამოდის და ეხმარება მშობლებს.

...ლავრენტიმ პირველი ჭიქით მშვიდობა ადღეგრძელა, მეორეთი — წლის მოსავალი. საამოა ამ ენაწყლიანი კაცის მოსმენა. მაგრამ არაყს თავისი ძალა გააჩნია... გავრბივარ...

პირველსავე პლანტაციებში ვხვდები ადამიანებს, კარგ კოლმეურნე ქალებს: ჟუჟუნა ჭანტურიას, მარო ჩხარტიშვილს, ლავრენტის მეუღლეს — მარო გურგენაძეს, სუსტს, მაგრამ შრომაში დაუღალავს, ციალა სიხარულიძეს და სხვებს. ყველგან ვნახულობ უხვად შემოსულ ფოთოლს, ბეჯით შრომას, გაბრწყინებულ თვალებს...

ერთი პლანტაციიდან მეორეში გადავედი. გავძვერი დაბურდულ ბილიკებში. ცვარნამით დავსველდი. შეუშინებია უხვად წამოსულ ფოთოლს რძლები — ანიკო და თინა ჩხარტიშვილები.

თამარ ასლანიშვილი პენსიონერი კოლმეურნეა, კოლმეურნეობის დაარსებიდან შრომობს საზოგადოებრივ მეურნეობაში. აგერ, მისი რძალი ეთერი. ეთერს 0,65 ჰექტარი პლანტაცია აქვს გაპიროვნებული. იგი დაუღალავი, ცოცხალი, კეთილი ადამიანია. აგერ, ჭილის ქუდს აფრიალებს „აბეზარა" გოგონა, აზა თევზაძე. იგი სკოლიდან მოვიდა 8 კლასის დამთავრების შემდეგ. ხასხასა ფოთლის ზედახორა დაუყრია... ბროლივით კბილებს აჩენს და ჭიკჭიკებს, თავზე ხელს ვუსვამ და ვაქებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მივდივარ „ჯიხანჯირში"... ასე ეწოდება ამ უბანს. აქ ჩვენი სანაქებო პლანტაციებია, ძირითადი რეზერვი ჩვენი ბრიგადისათვის. აქ ყველა კარგი მკრეფავია თავმოყრილი, მეტწილად ახალგაზრდები. მისასვლელთან პლანტაცია ორ მოხუცს აქვს—საშა და კუკუნა თევზაძეებს. საშა, 80 წელს მიღწეული, ჯერაც არ ტოვებს სარბიელს, არ უნდა ბუჩქებს მოშორდეს. საშას საუბარი უყვარს, ტკბილი მუსაიფი.

ათას რამეზე ვსაუბრობთ. კუკუნას მკვახე სიტყვა აქვს, მაგრამ — გული კეთილი. განზრახ „იკბინება", იცინის. ხვდები რომ გულგარეთ ლაპარაკობს.

მადლენა თევზაძეს ჩაი გადაბერებია თავის ნაკვეთში. ვუსაყვედურე, თავს იმართლებს. მეორე ხარისხის ფოთოლი ადრეა ამ რიცხვისათვის. არადა მადლენას ნაკვეთში სხვა არ აიღება, ყრუ დუყებითა და ფართო ფოთლებით არის ერთიანად დაფარული ბუჩქები...

მზე იწევს და იწევს ზევით. ცხელა. გავარვარებული დისკო ლითონის ნაჭერივით კიაფობს ზეცაში. მაგრამ კრეფაში გართული ადამიანები ვერ ამჩნევენ სიცხეს. შრომას გაუტაცნია ყველა.

საერთოდ „მამადლიან", რომ ჩემს ბრიგადაში ბევრი ახალგაზრდა მკრეფავია გაერთიანებული. მართლაც, ამაში ბედი „მწყალობს". ბრიგადა ძირითადად ახალგაზრდა გოგონებით არის დაკომპლექტებული.

მივედი დედა-შვილთან — ნათელა და იური კილაძეებთან. დედა ხომ თავიდან მუყაითი მშრომელი იყო, შვილებიც დაუზარელი გაზარდა. იური მე-10 კლასის მოსწავლეა, მას ნაკვეთი აქვს გაპიროვნებული და სკოლიდან მორჩენილ დროს უმცროს ძმასთან ერთად ჩაის კრეფას ახმარს. გუშინ ძმებმა 92 კილოგრამი პირველი ხარისხის ფოთოლი მოკრიფეს...

ჩავყევი ქვევით. ვესაუბრე ეთერ ყაჭეიშვილს, რუსიკო სანიკიძეს. ეთერი კომუნისტია, იგი შრომის ნოვატორია. ყოველწლიურად სამ ტონაზე მეტ ფოთოლს კრეფს თავის პლანტაციაში. რუსიკოც კარგი გოგონაა, იგი ამავე დროს სოფლის კლუბის გამგეა, 0,44 ჰექტარ ჩაის პლანტაციას უვლის, არც ერთ წუთს არ აცდენს უქმად.

ციური თევზაძე და ციალა კაცაძე!

ორივე კარგი მკრეფავია. ბრიგადის თვალი და ჩინი. მხიარული, კარგი სიტყვის ახალგაზრდები... ციალა ულამაზესი გოგონაა, სოფელში ბადალი არ ჰყავს. მწყინს, რომ შეიძლება მოგვტაცონ შემოჩენილმა ჭაბუკებმა ეს პირმშვენიერი ჯეირანი...

საოცარია. ვუყურებ ხნიერ ქალს დარიკო თევზაძეს და მიკვირს, როგორ შეუძლია ახალგაზრდების აყოლა. დარიკომ ამ ზამთარში მძიმე ავადმყოფობა გადაიტანა. ექიმებმა დასვენება და მკურნალობა ურჩიეს. მაგრამ დარიკოს ვერ გააჩერებ, ყოველ დილით აქეთ მოეშურება.

გვყავს პატარძალიც, ახალმოყვანილი ნანი ლომინეიშვილი. დაიწყო თუ არა ჩაის კრეფა, უყოყმანოდ ჩაება შრომაში, ჩაის პლანტაცია გაიპიროვნა, აჰყვა სხვა ახალგაზრდებს...

სხვა ფართობები შორს არის, ვერ ვასწრებ ჩამოვლას, დღის მეორე ნახევრისთვის უნდა გადავდო. ჩაის მწონავიც მოვიდა. ურემი

ამოხრიგინდა ყუთებით. რეზო ლომინეიშვილმა ჩრდილში დააყენა ხარები. საათზე იხედება. ჯერ ცოტა ადრეა. კრიფონ ფოთოლი. მკრეფავები დანიშნულ დროს უკეთ ხვდებიან, — სამუშაოს ვერ მოაცილებ უდროოდ.

ჩავდე თუ არა მუხლი, ვილისის თახთახი მოისმა. მანქანამ სწრაფად ჩამოირბინა დაღმართში. მოუხვია და მარგალიტა თავაძის პლანტაციის ძირში დაესო.

იქიდან გადმოვიდნენ კოლმეურნეობის თავმჯდომარე ვასილ იმნაძე, სოფლის საბჭოს თავმჯდომარე მამია აფხაზავა, რაიკომის თანამშრომელი და ერთიც — ჟურნალისტი, სარაიონთაშორისო გაზეთის მუშაკი.

მისალმების შემდეგ ამბები იკითხეს. ისევ დავუარეთ მკრეფავებს... შენიშვნები, კითხვები, დავალება-მითითებანი. ჟურნალისტმა წარჩინებულთა გვარები ჩაიწერა. კიდევ რაღაც აღნიშნა ბლოკნოტში. ჯერჯერობით ნიგვზიანის კოლმეურნეობა მოწინავეა ლანჩხუთის რაიონში!

ბრიგადას ცალცალკე უბანზე ორი მწონავი ემსახურება. ჩვენი უბანი მთაგორიანია და მოუხერხებელია ავტომანქანისათვის. ამიტომაც ვჯახირობთ ურმით, მამაპაპური ტრანსპორტით. დღეში ორჯერ იწონება ჩაის ფოთოლი და მიმღებ პუნქტს ბარდება. აქ ურმების ქარავნებია. არის რიგი და ზედახორა, მწონავების ყვირილი. ჩაის ჩაბარება მოითხოვს სისწრაფეს. საშიშია, არ გადაიწვას ფოთოლი. გადამწვარ ფოთოლს ფაბრიკა არ იღებს.

...გვიან, ღამით მთავრდება მეორე წონის ჩაბარება. თვალებდაწითლებული მწონავები ნელნელა იშლებიან, ერთმანეთს ეკითხებიან, ვინ რამდენი მოკრიფა დღეს. ბრიგადირები ვინიშნავთ საკუთარი ბრიგადის დღიურ მიღწევებს.

ვაჯამებ... დღეს დავალება 150 პროცენტით შევასრულეთ. ბრიგადამ პირველი ადგილი დაიკავა. წინ კიდევ ბევრი დღეა დარჩენილი. პლანტაციებში კი უხვად არის ფოთოლი შემოსული.

გიხარია ასეთ დროს მუშაობა, როცა შრომის ნაყოფი დიდია.

საათზე ვიხედები. ისარმა 12-ს დაუწყო კაკუნი. ერთი თვალის მილულვა და ალიონიც იფეთქებს, დადგება ახალი, საქმიანი დღე.

ცა გაფითრებულა. ვარსკვლავები ჭუტავენ თვალებს. გზა ელექტრონს გაუჩირაღდნებია. ეზოებში აქა-იქ ისმის ფხიზელი ადამიანების საუბარი.

გაზეთების წაკითხვასაც ვერ ასწრებ, ძილი ნელნელა გიპყრობს და გიმორჩილებს, არ გაცლის დააწყო აზრი, იფიქრო მეორე დღის საზრუნავზე. ასეთია სეზონის ფაცა-ფუცი.

**ილია ნიკოლაიშვილი,**

ლანჩხუთის რაიონის, სოფელ ნიგვზიანის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი.

# კვირას, დილიდან საღამომდე



ზაფხული ისე უცებ მიიწურა, ნინო მასწავლებელს ქალაქიდან ფეხი არ გაუდგამს. ერთ ხანს ფიქრობდა კიდეც ზღვაზე წასულიყო და დაესვენა, მაგრამ აღარ მოუხერხდა. არც უნაღვლია, რადგან მარო და თინა მასწავლებლებთან ერთად პარკში ხშირად დადიოდა. ქალაქში დარჩენილი მოსწავლეები იქ ეგულებოდა. შეხვედრისას ჯერ გულითადად მიესალმებოდა, მერე შეკითხვას შეკითხვაზე მიაყოლებდა:

— როგორა ხართ?

— რა წიგნებს კითხულობთ?

— რა კოლექციას აგროვებთ?

ბავშვები თამამად პასუხობდნენ. მასწავლებელი ყურადღებით უსმენდა. ზოგს მოუწონებდა, „ყოჩაღო", ეტყოდა, ზოგს უსაყვედურებდა: „ცოტა გიმუშავიათ".

...ახლა კვირა დღეა. ნინო მაგიდასთან ზის და მოსწავლეთა ნამუშევრებს ასწორებს. შეცდომები პატარებისათვის უფრო თვალსაჩინო რომ იყოს, აქა-იქ წითელი მელნით აღნიშნავს. ხანდახან შუბლს შეიჭმუხვნის, ტუჩებს მოკუმავს, დაიძაბება და დათხუპნულ ფურცელს ნერვიულად მიაჩერდება.

— ეჰ, მართლა გიგო ხარ, ზარმაცი გიგო, თხუპნია! — ჯავრობს მასწავლებელი, მერე მრგვალი, ლამაზი ასოებით მიაწერს: „წერე დაკვირვებით და სუფთად".

სამუშაო დაამთავრა, წამოდგა. ფანჯარასთან გაჩერდა. მოღრუბლული დღე იყო და გრილოდა.

„ალბათ იწვიმებს"! გაიფიქრა და საწვიმარი ლაბადა გაზეთში შეახვია. ცოტა ხანს სარკესთან გაჩერდა. თეთრი, გამხდარი ხელებით თრთვილშეპარული თმა შეისწორა და ქუჩაში გავიდა.

„მესამე დღეა არ მოსულა, ავად თუ გახდა... — მოდიოდა ამ ფიქრებით და თან მშობლებს ესაყვედურებოდა: — რატომ არ გვატყობინებენ, ტელეფონით დაგვიკავშირდნენ მაინც, გვითხრან, ასეა მდგომარეობაო..."

— გამარჯობათ, ნინო მასწავლებელო! — უცებ ვიღაცამ მის წინ მსუბუქი მანქანა შეაჩერა, — დაბრძანდითო, — უთხრა და მანქანის წინაკარი გააღო. მანქანა დაიძრა, ერთ ხანს უხმოდ ისხდნენ და ქუჩას გასცქეროდნენ. „რომელია ნეტა... ნუთუ გადამავიწყდა? არა, ნაცნობი თვალები და სახე აქვს. როცა იღიმება, ახლადგაპარსულ ლოყებზე წვრილი ფოსოებიც ჩნდებიან".

— გახსოვთ, რა ცელქი ვიყავი, — წარმოთქვა კაცმა და ნინოს გახედა. „ხმა შეცვლია, დაბოხებია". — გაუღლვა მასწავლებელს და მერე უთხრა:

— ერთხელ კუთხეშიც გაგაჩერე.

— ერთხელ კარშიც გამიშვით, — შეახსენა მოსაუბრემ და ისევ გაიღიმა. დაბურთულ ლოყებზე ფოსოები ისევ გაჩნდნენ. მანქანა ქუჩაზე ფრთხილად მისრიალებდა.

„ცელქი იყავი, შოთა, ცელქი... ათი თვალი და ათი ყური მქონდა შენთვის, გოგისთვის, შალვასთვის... ყველასთვის... ახლაც ასეა, იმიტომ, რომ ასეა საჭირო. ერთხელ კუთხეში გაგაჩერე, კარშიც გაგაგდე — ესეც საჭირო იყო. მშობლებსაც ვი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბარებდი და მოდიოდნენ. ეს ყველაფერი აუცილებელი იყო. მაშინ მეც ხომ ახალგაზრდა და გამოუცდელი ვიყავი, მერიდებოდა მეტისმეტი „არევის“. ესეც იქით იყოს, ხანდახან მასწავლებელი ზოგიერთ ბავშვთან თითქოს უძლურია. ამიტომ მზადაა ყველაფერი გამოიყენოს: შეიძლება, მეთოდიკაში დაუწერელ, გაუთვალისწინებელ ხერხებსაც მიმართოს, დირექტორიც შეაწუხოს, მშობლებიც დაიბაროს, ყველა ღონე იხმაროს, ოღონდაც ბავშვს სიკეთე და შრომის სიყვარული შთაუნერგოს.

მანქანა გაჩერდა. — „გმადლობთ, ჩემო შოთა“! — უთხრა მძღოლს და გადმოვიდა.

კარზე ფრთხილად დააკაკუნა. ვიღაც ახალგაზრდა მანდილოსანმა გამოიხედა. მერე თითქოს გონს მოვიდაო, ხმამაღლა წამოიძახა:

— ნინო მასწავლებელო, თქვენ?! მობრძანდით.

— მზია როგორ არის? — ჰკითხა მასწავლებელმა.

— დღეს კარგად არის. გუშინღამ ცუდად იყო. კინაღამ ხელში შემოგვაცივდა.

მზიამ მასწავლებელი რომ დაინახა, სახე წამოუჭარხლდა. ნინო მათთან სახლში მოვიდა და ის კი ფეხზეც ვერ წამოდგა.

ცოტა ხნის მერე ნინო ისევ მხნედ მიაბიჯებდა ქუჩაში. ამ ერთ კვირაში ოთარი მესამედ „დაიჭირა“. გაკვეთილი არ იცოდა, არც დავალება ჰქონდა შესრულებული. მიზეზიც ცხადია, მათი უბნის ბიჭები ბურთის სათამაშოდ ქალაქგარეთ დადიან, ოთარიც მიჰყვება. ჰო და, მშობლებს გააფრთხილებს.

ასეც მოიქცა. მამა ოთარს ეცა, თვალები დაუბრიალა: „მოგკლავო, სახლიდან გაგაგდებ, თუ არ ისწავლი. მაწანწალა და მათხოვარი გახდიო!“

მასწავლებელმა მამა დაამშვიდა, უთხრა, თამაში ყველა ბავშვს იტაცებს, ამისათვის ზომიერი კონტროლია საჭიროო.

სკოლაში რომ მივიდა, არავინ იყო მოხუცი დარაჯის გარდა. დარაჯი სავარძელში იჯდა, სათვალე მოერგო და რომელიღაც ჟურნალს ჩაჰკირკიტებდა.

სამასწავლებლოში შევიდა, მაგიდას მიუჯდა. მაგიდაზე ფურცელი იდო, წაიკითხა. საქართველოს კპ ახალქალაქის რაიონული კომიტეტის პლენუმის წევრს, ქართული საშუალო სკოლის დაწყებითი ორკომპლექტიანი კლასის მასწავლებელს ნინო მურმანიშვილს პლენუმზე იწვევდნენ.

შინ რომ დაბრუნდა, უკვე გვიანი საღამო იყო. ნათურა ჩართო და ივახშმა. მერე მაგიდას მიუჯდა. მაგიდაზე ჩარჩო იდგა, ჩარჩოში ბიჭის სურათი იყო ჩასმული. ბიჭს ტალღებივით ხვეული თმა უკან გადაევარცხნა, შუქიანი და ღრმა თვალებით სადღაც შორს იყურებოდა.

„როგორ ხარ, ზურიკო? — შეეკითხა დედა. — წერილის მოწერა დააგვიანე. შენც ხომ არ გაზარმაცდი! აჰ, დრო არა გაქვს? მართალია, ძნელია, ერთდროულად ასპირანტურაში ისწავლო და აკადემიაში იმუშაო, — მაგრამ ასე არა თქვა, ხალხი ჩვენზე მეტს შრომობს და აკეთებს...“

ბეჟან ლომსაძე

გოდერძი ჩეიშვილი



მოთხრობა

მხატვარი დ. ზარაფიშვილი

სამზარეულოდან წყლის ჩხრიალი მომესმა და თვალები გავახილე. წყალი ხმაურით ეცემა ბაკანის ფსკერს, თეფშები კი გაცილებით უხეშ ხმას გამოსცემენ, ვიდრე მაშინ, როცა მაია კარგ ხასიათზეა. როცა მაია კარგ ხასიათზეა, ისე ტკბილად, ნაზად ღიღინებს, თეფშებზე ისე გემრიელად დააგვრიჭინებს სველ თითებს, საოცრად მინდება ხოლმე წყლის დალევა.

ვწევარ და ხმას არ ვიღებ. ჯობია, თვითონ გამომელაპარაკოს. სამზარეულოში თეფშების რახა-რუხი და წყლის ჩხრიალი კი გრძელდება. თეფშის ყოველი გაჯახუნებისას ვიმშუშნები, საფეთქელზე ძარღვი მებერება. ნეტა, რა აქვს ამდენი დასარეცხი, აღარ დააყენა საშველი.

ცალი ხელი თავქვეშ ამოვიდე და ფანჯარაში ვიხედები. ქუჩის გასწვრივ სახლის მშენებლობა ჩანს. ამწეს რაღაცა მიაქვს. უცებ ერთი მავთული ზამბარასავით ასხლტა და ქვევით ვიღაცამ შეჰყვირა.

— მოკვდა! —ანგარიშმიუცემლად დავიღრიალე და საწოლიდან წამოვვარდი. სართულსა და სართულსშუა გადასახურავი ფილა ცალ მავთულზე ტრიალებდა. ეტყობოდა, კავი ვერ ამოსდეს ხეირიანად... ახალგაზრდა ქალი და მოსწავლის ფორმიანი პატარა ბიჭი შიშით მობუზულნი შესცქეროდნენ მოქანავე ფილას. ფილების წყობაზე იდგა ორი დამორცხვებული მუშა, რომელთაც ამწის კიბეზე გადმომდგარი მესაჭე მუშტს უქნევდა და თან გამეტებით აგინებდა.

— რა მოხდა?! —ოთახში მაია შემოვარდა.

— არაფერი, გადარჩნენ, —მივუგე მე.

— ვინ? რა მოგივიდა, ფერი აღარა გაქვს.

მაიამ ფანჯარა გამოაღო.

— აგერ, ის ბიჭი და ქალი, იმოდენა ფილა კინაღამ თავში დაეცათ.

— ოო! —ამოიგმინა მაიამ და თვალები დახუჭა.

— კიდევ კარგი, რომ მეორე კავიც ისე ალალბედზე არ იყო ამოდებული.

მშენებლობის წინ ხალხმა მოიყარა თავი და კარგა ხანს ყაყანებდნენ. მერე ქალი და ბიჭი წავიდნენ და ყველაფერი დაწყნარდა. უკან გამოვბრუნდი და ჩავწექი. ამჯერად ამწე მშვიდობიანად შემოტრიალდა. საწოლიდან ისე მომეჩვენა, თითქოს ფილამ ჩვენს სახლს გადაუარა.

— მაია, მოდი ჩემთან.

მაია ჩემსკენ არც იყურება, ფანჯარას კეტავს და ტუჩებს მადაწამხდარი ბავშვივით უკმაყოფილოდ აცმაცუნებს.

— მოდი, — ხელი წავავლე, მოვიზიდე.

— ნუ მკოცნი, ღვინის სუნი ამოგდის. ხომ იცი, არ მიყვარს, როცა ნასვამი ხარ! —თმის სწორებით წამოდგა და ენა გამომიყო. —საინტერესოა, სად ბრძანდებოდით?

— რედაქციები ჩავჰოვიარე...

— ოჰო, ახალი ამბავი! რედაქციებში ავტორების ღვინით გამასპინძლება დაუწყიათ.

— მაპატიე, მაია...

— აპატიე... ერთხელ დალევ და მერე ორი დღე გამოთაყვანებული ხარ, ველარაფერს წერ.

— რაც არ უნდა მითხრა, მაინც მიყვარხარ! — წავეპოტინე, გამისხლტა.

— შენ თვითონ ამბობ, თითქოს რაღაც დავკარგეო, ნანობ და წუწუნებ.

— ჩემი ჭკვიანი ცოლი! მოდი, მოგეფერები.

— გმადლობთ!

— იცი? ჩვენმა სამმართველომ დიდმის მასივშიც მიიღო რამდენიმე სამშენებლო ობიექტი.

— მერე, ბატონო მთავარი ინჟინრის მოადგილევ?

— რა მერე. მომავალი წლის ბოლომდე ექვსი საცხოვრებელი სახლის აგება მოგვიხდება. ბორჯომი ხომ არ გაქვს?

მაიამ ჭიქით შემოიტანა ბორჯომი და ჩამოჯდა. ეს იმას ნიშნავს, რომ მისი ცნობისმოყვარეობა აფორიაქებულია გულის გამაწვრილებელი გადახვევ-გადმოხვევისაგან და დაკმაყოფილებას მოითხოვს. ნუშის თვალები თითქოს მშვიდად, ალერსით შემომყურებენ, მაგრამ ზოგჯერ მოუსვენრობა ელვასავით გაურბენს ხშირ წამწამებს შუა.

— მაია, —თმაზე ხელს ვუსვამ და განვაგრძობ: —რედაქციიდან რომ სამსახურში დავბრუნდი, მმართველმა თათბირზე გამოგვიძახა. თათბირი ხუთ საათამდე გაგრძელდა. დამთავრდა თუ არა, ჩემს კაბინეტში შევიარე, მაგიდის უჯრები დავკეტე და მოვდივარ, რომ კარში იორამი შემომეფეთა — განცხადება მოეტანა. — მაგიდაზე დადეთ, დილით წავიკითხავ-მეთქი. და ერთად გამოვედით ქუჩაში.

— ვინ არის ეს იორამი?

— ჩვენთან მუშაობს საგეგმო განყოფილებაში. უცნაური კაცი ყოფილა, —ჩავიცინე მე.

— რატომ გეცინება! არ მიყვარს ასეთი რამ.

— როგორი?!

— როგორი და... ერთხელ, ჩემმა ძმამ თანაკურსელი ქალიშვილის ოჯახში მიმიყვანა. მასპინძლის ვაჟმა სადღეგრძელო ლექსით დააბოლოვა და ლაზღანდარა ბიჭებმა დაცინვა დაუწყეს... არ მიყვარს, მასპინძლების განქიქებას რომ მოჰყვებიან ხოლმე.

— ჯერ ერთი, მე იორამს არ დაუპატიჟებივარ, მოედანზე ნოდარი შემხვდა.

— რომელი ნოდარი?

— ჩემი მეგობარი საშუალო სკოლიდან, — მივუგე მე, —შარშან რომ ასპირანტურა დაამთავრა, მაღალი, ქერათმიანი...

— ააა, ვიცი, ვიცი! ჩვენს ქორწილზე რატომ არ მოვიდა?

— მაშინ სამეცნიერო მივლინებაში იყო... ნიჭიერი კაცია ნოდარი. მშვენიერ კრიტიკულ წერილებს ბეჭდავს საბავშვო ნაწარმოებებზე. ჩვენი კრიტიკოსები მაინცდამაინც თავს არ იწუხებენ საბავშვო ლიტერატურისთვის.

— რა გააკრიტიკონ, რაც არ იწერება?

— ის, რაც იწერება, რომ უკეთესი დაიწეროს.

— ნუგზარ პირველის მოთხრობა მოგწონს?

— ძალიან. ორიგინალური მანერითაა დაწერილი. დაუკვირდი: „—წავიდეთ! —თქვა გაგიმ. — ჯერ არა, — თქვა ვაჩემ. — რატომ? — თქვა სვიმონმა“... მაია, შენი ჭირიმე, მურაბიანი წყალი დამალევინე.

— ასკილის ნახარში არ გინდა?

— უხ, კარგი იქნება უშაქროდ...

— მერე? —მეკითხება მაია და გამოცლილ ჭიქას რაფაზე დებს.

— გუშინწინ ნოდარის მეუღლეს ბავშვი შეეძინა. ბედნიერი მამა რას იზამდა, ადგა და რესტორანში დამპატიჟა. რა თქმა უნდა, იორამსაც ვთხოვეთ. წამოვიდა... დარწმუნებული ვარ, მე ვერ მითხრა უარი, თორემ შინ წასვლა ერჩია. უცნაური კაცია... შენს თავს გეფიცები, ასკილის ნახარში ბორჯომზე უფრო მესიამოვნა ახლა.

მაიამ ბოთლით შემოიტანა ასკილის ნახარში და დამისხა. ჭიქა გამოვცალე და გამეცინა.

— ნოდართან ერთად სუფრაზე დაჯდომა არ შეიძლება.

— რატომ?

— არ შეიძლება, მოგკლავს სიცილით. მართლა, შენთვის არ მითქვამს ნოდარის ახირებულობაზე? არ მითქვამს?

— არა.

— წარმოიდგინე, ჯერ დგას და სერიოზულად გელაპარაკება, მერე კი ხანგრძლივად დაგაკვირდება, ქვედა ბაგეს წინ გამოსწევს, სახეზე სინანული, წუხილი გამოეხატება და გეტყვის: უკაცრავად, თქვენ რაღაც ფერი არა გაქვთ, ავად ხომ არ ბრძანდებით?

მაიამ გადაიკისკისა:

— „პეტერი“ მომაგონდა. გახსოვს კინოსურათი? იქ არის ასეთი დეტალი... არ გახსოვს, იმ გოგონამ როგორ მოუგროვა საყვარელ ექიმს პაციენტები?



— ჰო, მახსოვს... მაგრამ ნოდარს პაციენტების მოგროვება არ სჭირდება, როცა ამას ამბობს.

— გავიგე, ისე მომაგონდა, — იცინის მაია, — ერთი მითხარი, ილარიონსაც ხომ არ უთხრა ასე?

— ილარიონი კი არა იორამი ჰქვია იმ კაცს.

— ჰო, იორამი, იმასაც უთხრა?

— უარესი უთხრა.

— მაინც, მაინც? —კისკისებს მაია და თვალები უბრწყინავს.

— არ ვიცი, არ მოეწონა, თუ რა მოუვიდა! ჯერ იყო და, მტკიცება დაუწყო, ფეხბურთი მარტო სანახაობა კი არ არის, საზოგადოებრივი საქმეცააო. იორამს, თურმე, არ ჰყვარებია ფეხბურთი, მისთვის სულ ერთი ყოფილა, ვინ მოიგებს, ვინ გახდება ჩემპიონი..

— მერე, მერე?

— მერე ჰკითხა, როდისმე თუ გითამაშნიათ ფეხბურთიო.

— ჰა, ჰა, ჰა... იორამმა რაღა უპასუხა?

— არა, ბატონო, არ მქონია ეგ ბედნიერებაო, და წარმოიდგინე, რომ შეწუხდა იორამი, ისეთი სახე მიიღო, თითქოს დანაშაული ჩაედინოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მერე?

— ბოლოს გვარი ჰკითხა. იორამმაც უთხრა თავისი გვარი.

ნოდარ: ჰოო...

იორამ: დიახ... ხომ არ გენათესავებათ ვინმე?

ნოდარ დაფიქრებულია; უცებ შუბლი ეჭმუხნება.

იორამ: ალბათ, იცნობდით ვინმეს.



ნოდარ: (თავს აქნევს და ეკითხება). ვინმე პეტრეს შესახებ თუ გაგიგონიათ წარსულიდან?

იორამ: (იგონებს და ასკვნის) არა, არა...

ნოდარ: თუმცა, ლიტერატურაში არაფერი თქმულა იმ კაცზე. მის შესახებ წყაროებს დისერტაციაზე მუშაობის დროს წავაწყდი არქივში...

იორამი ინტერესით მისჩერებია. მე სიცილს ძლივს ვიკავებ, ვგრძნობ, რაღაცას უცნაურს იტყვის და მუხლზე მუხლს ვურტყამ: გეყოფა-მეთქი.

ნოდარ: (ყურადღებას არ მაქცევს, სერიოზულად განაგრძობს) წარმოშობით რომელი სოფლიდან ბრძანდებით?

იორამი უსახელებს სოფელს.

ნოდარ: ის კაციც იქაური გახლდათ და, რაღა დავმალო, თქვენი გვარისა იყო.

— კი მაგრამ, რა ჩაიდინა მაინც! — ვეღარ მოვითმინე მე.

ნოდარ: მეჩვიდმეტე საუკუნეში ბაგრატის ტაძრის აოხრება მის კისერზეა. გამდიდრების ფასად მტერს წინ გამოუძღვა. ეკლესიამ შეაჩვენა მისი გვარი...

— ასეთი ხუმრობა როგორ შეიძლება! —ამბობს მაია და თვალებში ზიზღი ეხატება .

— ხომ იცი, ზოგჯერ ისეთ ხასიათზე ხარ, უნებურად გეუფლება წინააღმდეგობის სურვილი. გინდა, რომ ვინმეს ეკამათო, გული მოიფხანო, მერე კი, მერე თუნდაც იხარხარე... ნოდარსაც ეს უნდოდა, სხვა არაფერი.

— საბრალო იორამი! რა უპასუხა, რაო?

— ხმა არ ამოუღია. მხოლოდ ჩაახველა, ხმა კი არ ამოუღია.

— არა, მართლა?

— გეუბნები.

— მოუკლავს კაცი და რაღას იტყოდა. მე კი ვერ მოვითმენდი, გამოგილანძღავდი იმ შენს ნოდარს!

— ზოგიერთები უარესსაც ითმენენ!

— კი, მაგრამ...

— დამაცადე, — ასკილის ნახარში მოვსვი და განვაგრძე: — გარეთ რომ გამოვედით, იორამმა მადლობა გადაგვიხადა. წრიალებდა, რაღაცის თქმა უნდოდა...

— მერე და თქვა? —მაიას თვალები გაუბრწყინდა.

— გამოგვეთხოვა და წავიდა. ნოდარს გული დაწყდა: ახლავე ბოდიში უნდა მოვუხადოთო. წამოვეწიეთ. გაუხარდა ჩვენი დანახვა. მკლავში ხელი გამომდო და იცი, რა მითხრა?

— რა?

— ძალიან გთხოვთ, დააკმაყოფილოთ ჩემი განცხადება. ორი ათასი ცალი აგური მჭირდება სარდაფში მარნის კედლის ამოსაყვანადო, — კარგი-მეთქი, ვუთხარი მე და ნოდართან ერთად გზა განვაგრძე. ხმის ამოუღებლად მივაბიჯებდით. ტროლეიბუსის გაჩერებასთან რომ მივედით, ერთმანეთს გადავხედეთ და ავხარხარდით.

— თუ ძმა ხარ, დააკმაყოფილე, მიეცი აგური, —ხარხარებდა ნოდარი, —აუცილებლად მიეციო... სულ ეს იყო. როგორ მოგწონს?

მაია დუმს. ერთ ხანს დაბნეული, გაწბილებული მიცქერის.

— ეს ამბავი ახლა ხომ არ მოიგონე? — მეკითხება მერე და გამომცდელად მაკვირდება.

— არა, რას ამბობ!

— გინდაც მოგონილი იყოს, გამოდგება. შენ რომ ასეთ კაცზე მოთხრობის დაწერა გინდოდა, იმისთვის გამოდგება.

— ვითომ?

— რა თქმა უნდა...

გარედან საყვირის ხმა მოგვესმა.

— ჩადი რა, გადაყარე, —მეუბნება მაია, — აწი ხომ მაინც უნდა ადგე, ამასობაში მე ჩაის გავაწყობ.

— ახლავე! —ბოთლი მოვიყუდე და უკანასკნელი წვეთიც გამოვწრუპე, —აგაშენოს ღმერთმა!

მაია სამზარეულოში გადის.

— მაია! — ვეძახი და თან ვიცვამ, — სვანეთში მგზავნიან ხუთი თვით.

— სვანეთში?! რატომ?

— ამ ზამთრს შეწყვეტილი ტურისტული ბაზის მშენებლობაზე, მესტიაში.

— აკი არსად წასვლას არ აპირებდი, რომანი უნდა დაჭამთავროო?

— იქ დავამთავრებ, უშბის ძირას. უკეთესი გამომივა. ხომ წამოხვალ?

— ბავშვი სვანეთში დაიბადება? —სახე წამოუწითლდა მაიას.

— ასე გამოდის! ხომ წამოხვალ, მაი?

მაია კარებში დგას და მიღიმის.

— ჩემი გადასარევი ცოლი! —ხელში ვიტაცებ და ვტრიალებ.

— ნელა, ნელა! —იცინის მაია.

— უჰ, უკაცრავად, სულ დამავიწყდა.

— ტუ, ტუ! —ისმის საყვირის ხმა და აჩქარებული ვიცვამ ხალათს. ფანჯრიდან ვხედავ, როგორ გამორბიან მეზობლები სათლებითა და ძველი კალათებით ხელში. ზოგიერთები კი ავტობუსის გაჩერებისკენ მიიჩქარიან; პროსპექტზე აქეთ-იქით დაქრიან მანქანები. და ეს ყველაფერი ჰგავს მზის ირიბ, ჯვარედინ სხივებს ხშირ ტყეში და მუსიკის საოცრად აჩქარებულ ტაქტს...

ფლოსტებში ფეხს ვუყრი, სათლს ხელში ვიღებ და კიბეზე ვეშვები.

— როდის წავალთ? —მადევნებს მაია.

— ალბათ, ერთ კვირაში! გეტყვი, ყველაფერს გეტყვი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქალის იდეალი „ვეფხისტყაოსანსა“ და ხალხურ პოეზიაში



რუსთაველის დღეებისათვის

ჩვენ გვაოცებს რუსთაველის აზრის სიღრმე და უზარმაზარი მხატვრული პოტენცია, ამავე დროს არ გვიკვირს, რომ სწორედ იმ ერის შვილმა, რომლის დედაენაშიც სიტყვა დედაკაცია, მსოფლიოში ერთმა პირველთაგანმა აღიარა ქალის ინტელექტი და მიუწვდომელი ხელოვნებით უმღერა ქალს, — თანასწორუფლებიან ადამიანს, სამშობლოსა და მეგობრისათვის თავდადებულსა და ქვეყნის ღირსეულ მმართველს.

შემთხვევითი როდი იყო, რომ ქართველ ქალს სხვის გვარში შესვლისას, დრომოჭმული პატრიარქალური სიტყვით რომ ვთქვათ, გათხოვებისას, მზითვად ატანდნენ „ვეფხისტყაოსანს“. ქართველ ქალს მისი ღირსების მღაღადებელი და დამცველი ეს ოქროს წიგნი თან მიჰქონდა, არა როგორც მხოლოდ მხატვრული განძი, არამედ როგორც მაღალი ზნეობრივი სანქცია. სწორედ ამგვარ ზნეობრივ სანქციას წარმოადგენენ რუსთაველის დიდებული ქალები. თინათინისა და ნესტანდარეჯანის მაღალგონიერება, გამჭრიახობა, შორსმჭვრეტელობა, მგზნებარე გული და ფაქიზი სული მუდამ იქნება მისაბაძი მაგალითი.

ქალისა და გმირის იდეალით, ისევე როგორც სხვა მრავალი მოტივით, „ვეფხისტყაოსანი“ დიდ მსგავსებასა და ახლო ნათესაობას იჩენს მრავალსაუკუნოვან ქართულ ხალხურ პოეზიასთან. ჩვენ აქ არ ვსვამთ დიდსა და რთულ საკითხს იმის თაობაზე — პოეტი დაესესხა მშობელ ხალხს, თუ ხალხმა გაიმეორა და გადაამუშავა დიდი პოეტის ნათქვამი. მთავარი და არსებითი ის არის, რომ ამ მსგავსებისა და ნათესაობის წყარო ქართული სინამდვილეა. უკვდავი „ვეფხისტყაოსნისა“ და მდიდარი ქართული ხალხური სიტყვიერების მსგავსებას მრავალი მხარე აქვს, ჩვენ მხოლოდ ორ მაგალითზე შევჩერდებით. ორივე ეს მაგალითი ქალთა მაღალგონიერების აღიარებაა—ერთია ქვეყნის მმართველი ქალის ანუ ქალის გამეფების ამბავი, მეორე კი — ქალის იდეალი გმირობისა. ორივე მოტივს ღრმა ქართული ფესვები აქვს. ძველი საქართველოს „ოქროს ხანა“ იმითაც აღინიშნება, რომ ქვეყნის მმართველი ქალი იყო. თამარ მეფეს ღირსეულად ეპყრა ხელთ მსოფლიო პოლიტიკის ასპარეზზე გამოსული სახელმწიფოს სკიპტრა. ცხადია, რომ ამით არის შთაგონებული უმაღლეს პოეტურ საფეხურზე აყვანილი ქალთა ემანსიპაციის უკვდავ-უბერებელი ჰიმნი რუსთაველისა: „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს, თუნდა ხვადია“. თინათინის გამეფების ამბავი „ვეფხისტყაოსნის“ ერთი უმშვენიერესი პასაჟია.

მოვიგონოთ დიდი ხელოვნებით შექმნილი ამ პასაჟის რამდენიმე სტროფი:

თინათინ მიჰყავს მამასა პირითა მით ნათელითა,
დასვა და თავსა გვირგვინი დასდგა თავისა ხელითა,
მისცა სკიპტრა და შემოსა მეფეთა სამოსელითა.
ქალი მზებრ უჭვრეტს ყოველთა ცნობითა ზე-მხედველითა. (45).

უბრძანა: „ნუ სტირ ასულო, ისმინე ჩემი თხრობილი:
დღეს შენ ხარ მეფე არაბეთს, ჩემგან ხელმწიფედ ხმობილი,
აქათგან ესე სამეფო შენი არს მართ მონდობილი,
ხარმცა ბრძნად მქმნელი საქმისა, იყავ წყნარი და ცნობილი! (48).

ამა მამისა სწავლასა ქალი ბრძნად მოისმინებდა,
ყურსა უპყრობდა, ისმენდა, წვრთასა არ მოიწყინებდა;
მეფე სმასა და მღერასა იქმს, მეტად მოილხინებდა;
თინათინ მზესა სწუნობდა, მაგრამ მზე თინათინებდა. (51).

როცა ვკითხულობთ თუ ვისმენთ რუსთაველის ამ სტროფებს, ყოველთვის გვაგონდება ერთი მეტად გავრცელებული ქართული ხალხური საფერხულო სიმღერა. ხალხმა იგი თავის სახელოვან ეროვნულ გმირს — დიდებულ თამარს მიუძღვნა. თამარის კულტი უძლიერესი იყო საქართველოს ყველა კუთხეში.

..ღვთიშვილთა ჰყავის წმინდაი
თამარი დედოფალიო.
უფლისა იყო ბრძანება —
შაირტყა მამის ხმალიო!
მამის სამეფო აიღო,
თვითონ ბრძანდება ქალიო,
ხმელეთ თავისად მაიგდო,
იმდენიცა აქვს ძალიო;
შუა ზღვას ჩადგა სამანი,
სამანი — რკინის სარიო;
სატახტო საბრძანებლადა
თვითონ ხმელს გორზე ჰბრძანია;

პირდაპირ უდგა გორზედა
ლაღი ლაშარის ჯვარია;
შეძლებულ მიდგებ-მოდგება,
წელზედა ჰრტყავის ხმალიო;
გვერდს უდგა ნისლის ფერაი,
ტრედივითა ჰქონ მხარნიო;
ოქროს უნაგირ ზედ ადგა,
ოქრო წყლის ლაგმის ტარიო.

რუსთაველის სტროფებისა და ამ საფერხულო სიმღერის მსგავსება სავსებით კანონზომიერია. რუსთაველი თვითონ იყო მომსწრე, უშუალო მხილველი და განმცდელი თამარის მეფობისა, მისი მაღალგონიერი პოლიტიკისა. ყველაფერი ეს უჭკნობი მშვენიერებით არის ასახული „ვეფხისტყაოსანში“. ხალხმაც გულწრფელად უმღერა ძველი საქართველოს „ოქროს ხანის“ შესანიშნავი მოღვაწის სასიქადულო საქმიანობას. შეიქმნა უამრავი ლექსი, თქმულება, ლეგენდა, ამსახველი დიდებული ქართველი ქალის სულიერი და ფიზიკური სილამაზისა. თამარის გამეფებაზე შექმნილი, საფერხულო სიმღერა, რომელშიც აღიარებული იყო ქვეყნის მმართველი ქალის დიდება და მისი მაღალგონიერება, თავისებურად ეხმაურება თინათინის გამეფების ამსახველ რუსთაველის სტროფებს. რუსთაველის სტროფებსა და ხალხურ საფერხულოს შორის არსებითი განსხვავებაც არის. როსტევან მეფეს სწამს მისი ასულის მაღალგონიერება, პოლიტიკური ალღო, — რომ ის არის „ბრძნად მქმნელი — საქმისა“. მეფე მაინც საგონებელშია. ვერ ფარავს დარდს. საზეიმო ლხინის დროს იგი თავის გაზრდილ ვეზირს ჭმუნვის მიზეზს ამცნებს:

...სიბერე, მახლავს, დავლიენ სიყმაწვილისა დღენია,
კაცი არ არის, სიდგანცა საბრძანებელი ჩვენია,
რომე მას ჩემგან ესწავლნეს სამამაცონი ზნენია.
ერთაი მიზის ასული, ნაზარდი სათუთობითა;
ღმერთმან არ მომცა ყმა შვილი, — ვარ საწუთროსა თმობითა, —
ანუმცა მგვანდა შვილდოსნად, ანუ კვლავ ბურთაობითა.

(62. 3-4; 63-1-3).

ხალხურ ლექსებში არ ისმის ამგვარი სინანული. ხალხის ფანტაზიამ თამარს „სამამაცონი ზნენიც“ მიანიჭა. ამის გამომხატველია მრავალი ლექსი, თქმულება და ლეგენდა. მათ შორის საფერხულო სიმღერის ზემოთმოყვანილი სტრიქონებიც.

რუსთაველის ცალკე სტროფებსა და ხალხურ ლექსებს რომ ვადარებთ, მსგავსება ჩანს ქალთაგან ვაჟკაცთათვის საგმირო დავალების—სამშობლოს ერთგულებისა და მის დასაცავად მოწოდების მოტივებით. უძველესმა ქართულმა ტრადიციამ, ხალხურ ლექსებში კოდექსივით ჩამოყალიბებულ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მა გმირის იდეალმა ათქმევინა ვაჟა ფშაველას: „თემის არსებობა დამოკიდებული იყო ძველად ვაჟკაცებზე, მამაკაცებზე. მათი გამამხნევებელი ბრძოლაში დედაკაცი იყო. დიაცთა ქება მამაკაცთათვის დიდი, ფასდაუდებელი საჩუქარია. ვაჟკაცი მუდამ სცდილობდა ქალების საქებური ყოფილიყო, იმათი დიფირამბების ღირსი. ქალები ხშირად ვაჟკაცებს ვაჟკაცობისათვის ალექსებდნენ კიდეც, ქება-დიდებას უძღვნიდნენ ლექსებში“. ამ ფაქტის გამომხატველი დიდებული ნიმუშია „ვეფხისტყაოსანში“ „წიგნი ნესტან დარეჯანისა საყვარელსა თანა მიწერილი პირველი“. რუსთაველმა ქართველი ქალების სახელით ათქმევინა თავისი პოემის გმირს:

ბედითი ბნედა, სიკვდილი რა მიჯნურობა
გგონია?
სჯობს საყვარელსა უჩვენე საქმენი საგმირონია!
ხატაეთს მყოფნი ყველანი ჩვენნი სახარაჯონია,
აწ მათნი ჯავრნი ჩვენზედა ჩვენგან არ
დასათმონია! (377).

ვაჟა ფშაველას სიტყვებითვე ქართველი ქალები „მხდალს აძაგებდნენ ფერხულში ჩაბმულნი სათემო დღეობის დროს... ლაშქრიდამ გამოქცეული ღირსია, რომ ქუდი მოიხადოს და მანდილი ანუ ჩიქილა დაიხუროს, საბუჩეში იჯდეს, როგორც მელოგინე დედაკაცი, ქალებს ზრდიდეს მარტო, როგორც ცოდვილი, ლაჩარი „უწილბედოდ დაილიოსო“ — ამგვარი ზნეობრივი სანქციითა და საგმირო იდეალით წარმოგვიდგენს პოეტი ავთანდილის სიტყვებით თინათინს:

მან მიბრძანა: „მადლიერ ვარ, კარგად ხარ
და მამაცურად,
შენგან მისსა გავლენასა მე დავიჩენ
სამსახურად.“
მისის კითხვით წამოვსულვარ, არ
მთრვალურად, არ მახმურად,
აწ შევიქცე, რა უამბო? „რად მოხველო
ჯაბან-ხრდლურად?“ (933).

თინათინის დავალება, როგორც ამ სტროფიდანაც ჩანს, ავთანდილის მოქმედების მთავარი სტიმულია. თინათინი და ნესტან-დარეჯანი ქართული ტრადიციიდან, ქართული ყოფის სიღრმიდან ამოზრდილი ქალების წარმტაცი სახეებია. თინათინისა და ნესტანისებრი ქალების იდეალი ამაღლებს ხალხის პოეტურ აზროვნებასაც. ქართული ხალხური პოეზიის დამამშვენებელი და მძლავრი შენაკადია ქალთა საგმირო-სატრფიალო იდეალის ციკლის ლექსები.

აი ზოგი მათგანი:

ქალმა სთქვა: ქმარსა გავყვები,
ბასრის ხმლის ამამღებელსა,
შორად წამღებსა საგძლისა,
შინ სახელისა მამღებსა.
მე მინდა ვაჟკაცთ ვაჟკაცი,
არ მზისა დასარიდია,
მხნეთა მხნე იყვეს შინ, გარეთ,
მოყვარე, არა ფლიდია,
ლომი ლომობდეს ფრანგულით,
მტერსა დაჰმართოს რიდია...

ქართველ ქალს არარად მიაჩნდა უსახელო ვაჟი. უსახელო ვაჟის უარყოფისა და საგმირო-სამიჯნურო დავალების მოტივზეა აგებული ლექსი:

ვაჟავ, რას მეგულდიდები,
რა სახელ მაგიტანია?
შენი ცხენი და აბჯარი
ომში როს შაგიტანია,
მტერი როს მაჰკალ ჭარელი,
ხელი როს მაგიტანია?!

ქართველი ქალი მკაცრ მსჯავრს დებდა მას, ვისაც არ ამშვენებდა „საქმენი საგმირონი“.

დაუზოგავად ალექსებდნენ ქართველი ქალები „ჯაბან-ხრდლურად“ დაბრუნებულ ვაჟებს. სატირის მწველ ცეცხლს უკიდებდნენ მათ.

ქალისა და გმირის იდეალი, როგორც ჩანს, მსგავსია „ვეფხისტყაოსანსა“ და ხალხურ ლექსებში. ეს მსგავსება ერთი წყაროდან, ერთი გზით მოედინება. ეს წყარო და გზა ქართული ყოფა და ქართული სინამდვილეა. რუსთაველი კი ამ შემთხვევაშიც მთელი თავისი სიდიადით წარმოგვიდგება, როგორც მსოფლიოს მწვერვალზე ასული მშობელი ერის ღვიძლი შვილი.

**ქსენია სიხარულიძე,**
ფილოლოგიურ მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი.

# უშბის დიასახლისი

1945 წლის შემოდგომა იდგა. მაკრინე ქურდიანის ეზოში მთიდან მონაბერი ცივი ნიავი ხეებიდან ჩამოცვენილ ყვითელ ფოთლებს აშრიალებდა. საღამო ჟამს ფიჩხი მოაგროვა მაკრინემ, ბუხარში ცეცხლი დაანთო და წინდების ქსოვას შეუდგა. „მაკრინე!“ — შემოესმა ვიღაცის ხმა. მაკრინე თვალისდახამხამებაში ჭიშკართან გაჩნდა. სიხარულისაგან თვალები გაუფართოვდა, როცა კარებში ზურგჩანთამოკიდებული ალექსანდრა და ალიოშა ჯაფარიძეები დაინახა. მოულოდნელი იყო მათი გამოჩენა მთაში. მაინცადამაინც არ ესიამოვნა, როცა გაიგო, რომ ონიანთან და მუხინთან ერთად უშბაზე ასვლას აპირებდა ალიოშა.

— სექტემბრის დასასრული მთაში ზამთრის დასაწყისია. ეს დალოცვილი ღრუბლებიც ბაწარივით გაება, — მორიდებით შეჰკადრა ალიოშას.

— არა უშავს, ჩემო მაკრინე. ცუდი კაცის გამოკეთება უფრო ძნელია, ამინდს კი ეშველება,— ღიმილით მიუგო ალიოშამ.

იმ ღამეს გვიანობამდე არ დაძინებია უშბის დიასახლისს. ამ დროს მთაზე ლაშქრობის დაწყება არც ისე იოლია. ეს კარგად იცის მაკრინემ, მაგრამ ისიც იცის, თუ ვისთან აქვს საქმე. გადაწყვეტილებაზე ალიოშას ხელს ვერავინ აალებინებს. ხიფათს არაფერს გადაეკიდოს, — გულს უღრღნიდა ეს ფიქრი მაკრინე ქურდიანს, თორემ სხვა რა ადარდებდა! ომი ახალი დამთავრებულია და სურსათ-სანოვაგე ჭირს, მაგრამ სკივრიდან უკანასკნელ ჯამ ფქვილს ამოიღებს, ხმიადებს ჩაუცხობს, ლოცვა-კურთხევით გააცილებს. გაახსენდა ორი წლის წინათ, ზამთრის პირობებში, ალიოშას ჯგუფის მიერ უშბის აღება; ტელემაკ ჯაფარიძეს ფეხები მოეყინა, რაიზერი კი მთიდან დაბრუნების შემდეგ რამდენიმე დღეში გარდაიცვალა...

— დალახვროს ეშმაკმა, რა საშინელი აზრები მომდის! უძილო ღამეს ისედაც სჩვევია ამბების გაზვიადება, — გაუჯავრდა თავის თავს მაკრინე.

მეორე დღეს მზეზ უშბის მწვერვალები ვერცხლისფრად ააელვარა. ქელეშბი ონიანი და მუხინიც მოვიდნენ. ალექსანდრა და მაკრინე დიდ ფაცი-ფუცში არიან, მთის რაინდებს უშბისკენ ამგზავრებენ. ალექსანდრამ ქვამარილი დანაყა, წყალგაუმტარ ქაღალდში გამოახვია და ალიოშას ზურგჩანთაში ჩაუდო. მაკრინემ ცხელ-ცხელი პურები, სვანური ჭიშვდარი და კარგა ხნის გადანახული ერთი ქილა კონსერვი დაუმატა. უშბის დიასახლისმა სასმისი რახით აავსო და მთისკენ მიმავლებს გამარჯვების გზა უსურვა.

მამაცი სამეული ჯერ უნაგირაზე უნდა ასულიყო, შემდეგ სამხრეთ უშბაზე, შემდეგ ისევ უნაგირას გავლით ჩრდილოეთ მწვერვალზე და აქედან კი მხელდაზე. გულის მყინვარზე ასვლის დროს მათ ავდარმა მოუსწრო; მოლაშქრეებმა ეს დაბრკოლება არაფრად ჩააგდეს და სამი დღის სიარულის შემდეგ უნაგირას გადაუარეს. ცუდი პირობების გამო წინასწარ დასახული გეზი შეცვალეს და სამხრეთ მწვერვალის მაგიერ ჩრდილოეთ უშბისაკენ გაემართნენ. ერთი კვირის განმავლობაში ისინი ამაოდ ელოდნენ გამოდარებას. მთებმა საშინელი ხველება ატეხეს, შემდეგ ხმა თანდათანობით გაძლიერდა და მას ყინულის ზვავთა არაჩვეულებრივი ზათქი და გრიალი მოჰყვა. ფაფარაყრილი ქარიშხალი მთებსაც კი წალეკვას უქადდა. 12 ოქტომბერს მაშველმა რაზმმა უკანასკნელად გაარჩია მწვერვალიდან უნაგირასაკენ მიმავალი სამი აჩრდილი. მალე ისინიც გაუჩინარდნენ.

უშხვანარში დარჩენილი მაკრინე და ალექსანდრა მაშველ ჯგუფს გაჰყვნენ. ჯერ წრინიერ მთაზე ავიდნენ, მერე კი ოსეთის გზას გაუდგნენ, იქნებ პლატოზე დაეშვნენო. „ალიოშა, უუ!“ — იძახდა ერთ მხარეს ალექსანდრა. „ალიოშა, უუ!“ — გასძახოდა მეორე მხარეს მაკრინე ქურდიანი. ირგვლივ დათრთვილული,

ქლიავისფერი მთები იდგნენ და პასუხს არავინ იძლეოდა...

გულის მყინვარისკენ შეუწყვეტლივ მიდიოდნენ სვანი მონადირეები და ალპინისტები. სამი ვაჟკაცი ცამ ჩაყლაპა თუ დედამიწამ, ვერავინ გაიგო. მაკრინე ქურდიანს დაღლილობისაგან ფეხზე დგომა უჭირდა, მაგრამ მაინც მიდიოდა. მას ერთი წუთით მარტო არ დაუტოვებია ალექსანდრა. დაღლილ-დაქანცულებს ლოგინი დავიწყებოდათ და გათენებამდე ისხდნენ ბუხართან, ისხდნენ და ელოდნენ. ალექსანდრა მაკრინეს უმალავდა სატკივარს, მაკრინე — ალექსანდრას. ორივე გრძნობდა, რომ ამ ამბავს რაღაც ცუდი დასასრული უნდა ჰქონოდა, მაგრამ საშინლად უმძიმდათ იმედის დაკარგვა და თვალი და ყური სულ კარისაკენ ჰქონდათ. უკუნ ღამეში კი მხოლოდ ყურშას წკმუტუნი ისმოდა...

იმ დღეებში სვან ქალს თვალგამართული აღარ შეუხედავს უშბისათვის. უშბის დიასახლისსა და ამ უზარმაზარ მთას შორის ნისლის სქელი ფარდა და დუმილი ჩამოწვა.

გადიოდა წლები... ალიოშას და მისი თანამოლაშქრეების ძებნა არ შეწყვეტილა. ბევრ ქართველ მთამსვლელს უშბასთან შერკინებულ მამაც რაინდებზე ფიქრი არ ასვენებდა. ვერ ისვენებდა უშბის ძირას მაკრინე ქურდიანიც. სვანი ქალის გულში დიდი ვარამი იდგა: მისი სახლიდან სალაშქროდ სამი ვაჟკაცი გავიდა. უკან კი არც ერთი არ დაბრუნებულა. რამდენჯერაც ხელს შეავლებდა მათ მიერ დატოვებულ ნივთებსა და ტანისამოსს, თვალებზე ცრემლები მოადგებოდა და სიმწრისაგან გულში მაგრად დაირტყამდა: „ო, დია!“

ალიოშას დაკარგვის შემდეგ ალექსანდრას და მაკრინეს მეგობრობა კიდევ უფრო გაღრმავდა. თითქმის ყოველ ზაფხულს ჩადიოდა ალექსანდრა მაკრინე ქურდიანთან. შავებით მოსილი უხმოდ მიმავალი ორი ზვიადი ქალის გზა გულის მყინვართან იყოფოდა. ერთი ერთ მხარეს ეძებდა ალიოშას ნატერფალს, მეორე მეორე მხარეს, მაგრამ ამაოდ...

1957 წელს ქართველ მთამსვლელთა ახალი ჯგუფი უშბის მწვერვალზე ადიოდა. მაშველი რაზმი ერთ-ერთ მყინვართან ადამიანის ძვლებს წააწყდა. ეს ამბავი მყისვე მაკრინე ქურდიანს აცნობეს. ახლა კი აკივლდა დიდი ხნის მიყუჩებული ტკივილი. მაკრინემ თავზე ხილაბანდი შემოიხვია, ცხენს მოახტა და გულის აღმართს შეუდგა. სწრაფად გაჩნდა დანიშნულ ადგილზე. რკინასავით გაუტეხავ სვან ქალს თვალთ დაუბნელდა. ვეღარაფერი გაარჩია. ასე იდგა რამდენიმე წუთი. შემდეგ სივრცე ამღვრეული წყალივით თანდათან დაიწმინდა. პირველად ნაცნობ ფოტო-აპარატს მოჰკრა თვალი, შემდეგ ალიოშას ჯაყვას და ალექსანდრას მიერ გახვეულ ქვამარილს. რომ არ შემცდარიყო, ნეშტს ფეხის თითები მოუსინჯა და როცა უტყუარ ნიშანს წააწყდა (ფეხის თითები არ ჰქონდა ალიოშას), მყინვარებში უშბის დიასახლისის კივილი ავარდა: ვაი, დაჩვრემ! (ვაი, ძმაო). ნაპოვნი განძი გულდაგულ შეინახა და თავქვე, სოფელში დაეშვა. თბილისში დეპეშა გაუგზავნა ალექსანდრას: სასწრაფოდ ჩამოდით.



(მარცხნიდან) პირველ რიგში: პირველი მაკრინე ქურდიანი, მესამე ალიოშა ჯაფარიძე, მეოთხე ლევან მარუაშვილი. მეორე რიგში: პირველი სანდრო გვალია, მესამე ალექსანდრა ჯაფარიძე, მეოთხე სოსო ასლანიშვილი. მესამე რიგში: პირველი გიო ნიგურიანი, მეორე იაგორა კაზალიკაშვილი.

ერთი დღის შემდეგ მაკრინე ქურდიანი და ალექსანდრა ჯაფარიძე ისევ მყინვარებისაკენ მიდიან. ხან ერთი უსწრებს წინ და ხან მეორე. მაკრინე დობილს გაუფრთხილდა, იმ საშინელ ადგილზე პირველი მივარდა, სწრაფად ფარდაგი გაშალა და ნეშტს გადააფარა. იდგა ალექსანდრა ჯაფარიძე მთებივით გარინდებული და მწარე ფიქრებს მისცემოდა. მისი ჭაღარა თეთრი გარემოს ფონზე გაცრეცილიყო და ეს უფრო აძლიერებდა სახეზე დადებულ ზაფრანის ფერს.

ორ ჭირისუფალს უშხვანარისკენ ძვირფასი ტვირთი მიჰქონდა. ყოველი გამარჯვების შემდეგ მაკრინეს სახლში დიდხანს ისმოდა მთების „ლილეო“, ახლა კი მთის რაინდის გათოშილ ძვლებს მოასვენებდნენ. „დასწყევლოს ღმერთმა, ადამიანის გაჩენა! ქვამარილმა გაძლო თორმეტი წლის განმავლობაში, ამოდენა კაცი კი რამ დაადნო“, — ფიქრობდა აცრემლებული მაკრინე.

მაკრინე ქურდიანის ეზოში უამრავი ხალხი მოგროვილიყო. ერთხელ კიდევ დაიტირეს სვანებმა მათი საყვარელი ადამიანი. იმ ღამეს მაკრინე ქურდიანი უშბის დიასახლისს აღარ ჰგავდა, მუხლები არ ემორჩილებოდა და თავშიაც სიმძიმეს გრძნობდა. გახედა ალექსანდრას, ტანგაუხდელს მიძინებოდა. არც ეს გაჰკვირვებია სვან ქალს. ალექსანდრას ამდენი ხნის განმავლობაში მწარე ფიქრისაგან დაღლილი სხეული დაჭიმულ ზამბარასავით მოშვებოდა.

იმ დროს, როცა მესტიაში სუფრები გაიშალა და ალიოშა ჯაფარიძის ნეშტი სვანური ზარით თბილისისაკენ გააცილეს, მაკრინე საავადმყოფოში იწვა და თვალები ცრემლით ჰქონდა დანამული.

...სამოცდაექვსი წელია, რაც მაკრინე ქურდიანი ზამთარ-ზაფხულ უშბას შესცქერის და ჯერაც როდი მობეზრებია. ბევრჯერ უნახავს მისი ღიმილი და სიავკაცეც. კარგად იცის, თუ რას ნიშნავს მთის მწვერვალზე სულ პატარა ღრუბლის გამოჩენა. მიუხედავად იმისა, რომ თვითონ მწვერვალზე არასოდეს ასულა, უშბაზე ყველა გამარჯვების მონაწილეა. ყოველ ალპინისტს, ქართველს, რუსს თუ უცხოელს, რომელიც კი უშბას შეჭიდებია, მაკრინე ქურდიანის ჭერქვეშ უნახავს სტუმართმოყვრული კერა და მაკრინეს დედური სითბო მწვერვალამდე აუტანია. ტყუილად როდი ეძახიან მაკრინეს უშბის დიასახლისს და ალპინისტების დედას.

...როცა კავკასიიდან ბეჩოს ხეობაში სუსხი და ყინვა წამოვა, მაკრინე ქურდიანი ზის პატარა სარკმელთან და უშბასთან ატეხილ თოვლის კორიანტელს გასცქერის. მოგონება მოგონებას ცვლის, დღე ღამეს და უშბის დიასახლისის ფიქრი მაინც ესაა: ნეტა, ვინ შეეჭიდება მომავალ ზაფხულს უშბის მრისხანე და მიუვალ მწვერვალებს?

ჟუჟუნა ნეფარიძე





„ლაურენსია“
ლაურენსია — ლ. მითაიშვილი,
ფრონდოსო — ზ. კიკალეიშვილი.

# ლილიანა მითაიშვილი



ჟიზელი — „ჟიზელი“.

## სენსაციის „მსხვერპლი“

რიო-დე-ჟანეირო. გვიანი შემოდგომის უღიმღამო დილას გაზეთების გამყიდველთა ყვირილი ახმიანებს: „სენსაცია, სენსაცია! იყიდეთ გაზეთი და თქვენ გაიგებთ, როგორი მომხიბვლელია პატარა ლილიანა, რომელიც პუანტებით შევიდა მმართველობის უმაღლეს ორგანოში! იყიდეთ გაზეთი! ის გიამბობთ ბალერინასა და დეპუტატზე!“

ეს იყო შვიდი წლის წინ, როცა პირველად გაემართა ლილიანა საგასტროლო მოგზაურობაში. მართლაც რომ უჩვეულოდ შეხვდა მის ჩასვლას ლათინური ამერიკის ქვეყნებში სენსაციის მოყვარული ბურჟუაზიული პრესა! როგორი იყო მკითხველთა გაოცება, როცა გაიგეს, რომ ეს ახალგაზრდა ბალერინა თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატი იყო. ყოველდღიურად ათობით წერილი იბეჭდებოდა ამ უჩვეულო ბალერინაზე, რომელმაც „დიდებისაკენ აირჩია ორი გზა — ბალეტი და პოლიტიკა“.

„როგორია, ბოლოს და ბოლოს, როგორც ადამიანი ეს მომხიბვლელი მითაიშვილი? ის არ ლაპარაკობს არც ინგლისურ, არც ფრანგულ, არც ესპანურ ენაზე, მაგრამ მას აქვს ისეთი მდიდარი მიმიკა, რომ უსიტყვოდ ვხვდებით ყველაფერს და ეს მდიდარი მიმიკა რომ არა, ის ვერ იქნებოდა ასეთი დიდი მსახიობი“, — დასძენს გაზეთი.

## სიზმარი აუხდა

ხუთი წლის იქნებოდა ლილიანა, როცა საბალეტო სტუდიაში მიიყვანეს, მაგრამ პატარა და სუსტი აგებულებისა იყო, და გოგონა დაიწუნეს.

გულნატკენი დაბრუნდა ლილიანა შინ. დიდხანს მოუსვენრად ბორგავდა ლოგინში, ბოლოს ჩაეძინა და ნახა მჭევრაბუკი, რომელმაც ხელში ნაზად აიტაცა თვალცრემლიანი გოგონა და წაიყვანა სადღაც შორს, ზღაპრულ სამყაროში და აჩვენა ფერიების ბაღი.

სულ მალე აუხდა ლილიანას სიზმარი. სწორედ იმ მჭევრაბუკმა, რომელმაც ფერიების ბაღი აჩვენა, ნაზად მოხვია ხელი სტუდიის გამოსაშვებ საღამოზე დარცხვენილ გოგონას და თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის დასში ჩარიცხვა მიულოცა.

ასე დაიწყო მისი სცენური ცხოვრება. პირველი დამოუკიდებელი როლი, რომელიც ლილიანამ დიდ სცენაზე შეასრულა, იყო მანიჟე — ა. ბალანჩივაძის ბალეტ „მთების გულში“. პრესამ მის შესრულებას მაღალი შეფასება მისცა და დიდი მომავალი უწინასწარმეტყველა ახალგაზრდა მსახიობს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჭრა-კერვის დაუსწრებელი სწავლება

## გაკვეთილი 34-ე

### მამაკაცის ტრუსი

თარგის შედგენა — (ნახ. № 1)

მამაკაცის ტრუსის თარგის შესადგენად საჭიროა ავიღოთ შემდეგი ზომები:

1. თეძოს წრეხაზის ნახევარი — 52 სმ
2. წელის წრეხაზის ნახევარი — 42 სმ
3. ტრუსის სიგრძე — 48 სმ

ტრუსის წინა ნახევრის თარგის შესადგენად თეძოს წრეხაზის ნახევარს ვყოფთ ორზე, ვუმატებთ 3 სმ-ს:

50:2 = 25

25 + 3 = 28

მიღებულ რიცხვს 28-ს გადავზომავთ ა-წერტილიდან მარჯვნივ. წერტილ ა და წერტილ 28-დან ჩამოვზომავთ საცვლის სიგრძეს—48 სმ-ს და ვადგენთ ოთხკუთხედს. ნაბიჯის სიგრძისათვის თეძოს წრეხაზის ნახევარს მუდმივად ვყოფთ ორზე, ვუმატებთ 9 სმ-ს (ყველა ზომისათვის;

50:2 = 25

25 + 9 = 34

მიღებულ რიცხვს 34-ს ჩამოვზომავთ ა და 25-ის წერტილებიდან ქვევით. 34-ის წერტილებს ვაერთებთ ერთმანეთთან სახაზავით. ნაბიჯის სიგანისათვის ჩარჩოს სიგანეს 28-ს ვყოფთ მუდმივად 4-ზე:

28:4 = 7

მიღებულ რიცხვს 7-ს გადავზომავთ და ზევით ავზომავთ 34-ის წერტილიდან. 28-ის წერტილიდან წელის ხაზისათვის გადავზომავთ 2 სმ-ს. წერტილ 48-დან მარჯვნივ გადავზომავთ 2 სმ-ს. წერტილებს (2, 7. 2,7) ვაერთებთ ერთმანეთთან მრუდი ხაზით.

ტრუსის უკანა მხარისთვის, ნაბიჯის სიგანისათვის (უბისთვის), 7-ის წერტილიდან მარჯვნივ გადავზომავთ 7 სმ-ს. წერტილ 7-დან ქვევით ჩამოვზომავთ 1,5 სმ-ს. წერტილ ქვედა 2-დან მარჯვნივ გადავზომავთ 4 სმ-ს. წელის ხაზის ასამაღლებლად და მისამატებლად წერტილ ზედა 2-დან მარჯვნივ გადავზომავთ 2 სმ-ს. 2-ის წერტილიდან ზევით ავზომავთ 4 სმ-ს. 4-ის წერტილს ვაერთებთ სახაზავით ა-წერტილთან. წერტილ 4-ს ვაერთებთ წერტილ 1,5 და 4-თან მრუდი ხაზით.

### მამაკაცის ტრუსის გამოჭრისა და შეკერვის წესი

მამაკაცის ტრუსის გამოსაჭრელად ქსოვილს ვკეცავთ 4-ად, ვამაგრებთ თარგს ქსოვილზე ქინძისთავებით, ვუმატებთ ნაკერისათვის გვერდებში თითო სმ-ს, წელის ხაზზე 1,5 სმ-ს, დაბლა შემოსაკეცად 1,5 სმ-და ვჭრით. სიგრძის ხაზი ა წერტილიდან 48-წერტილამდე გაუჭრელია. პირველ რიგში ვკერავთ უკანა უბეს, შემდეგ წინა უბეს, მერე ტოტს გადაუკეცავთ ზევით და ქვევით 1,5 სმ-ს. ტრუსი იკერება ნამორის წესით.

### მამაკაცის საბანაო ტრუსი (პლავკი)

თარგის შედგენა — (ნახ. № 2)

ნახაზში აღნიშნული ტრუსის თარგის შესადგენად საჭიროა ავიღოთ შემდეგი ზომები:

1. წელის წრეხაზის ნახევარი — 42 სმ
2. თეძოს წრეხაზის ნახევარი — 50 სმ
3. ტრუსის სიგრძე წელის ხაზიდან მუხლამდე — 62 სმ.

წელის წრეხაზის ნახევარს 42-ს გავყოფთ მუდმივად ორზე:

42:2 = 21

მიღებულ რიცხვს 21-ს გადავზომავთ ა-წერტილიდან მარჯვნივ. სიგრძისათვის ტრუსის სიგრძეს მუდმივად გავყოფთ ორზე:

62:2 = 31

მიღებულ რიცხვს 31-ს ჩამოვზომავთ ა-წერტილიდან ქვევით. გვერდის ხაზისათვის 21-ის წერტილიდან ქვევით ჩამოვზომავთ 6 სმ-ს, წერტილ 6-დან მარჯვნივ გადავზომავთ 1 სმ-ს. 1-ის წერტილს ვაერთებთ 21-ის წერტილთან სახაზავით უბის ხაზისთვის 31-ის წერტილიდან მარჯვნივ გადავზომავთ 6 სმ-ს. 6-ის წერტილს ვაერთებთ 1-ის წერტილთან მრუდი ხაზით. აღნიშნულ ხაზზე ვაკეთებთ 2 პატარა ჩანაკერს.

### მამაკაცის საბანაო ტრუსის გამოჭრისა და შეკერვის წესი

ქსოვილს ვკეცავთ ოთხად, ვამაგრებთ თარგს ქსოვილზე ქინძისთავებით, ვუმატებთ ნაკერისთვის თითო სმ-ს და ვჭრით. სიგრძის ხაზი ა-წერტილიდან 31-ის წერტილამდე და უბის ხაზი 31-წერტილიდან 6-ის წერტილამდე გაუჭრელია. საბანაო ტრუსის წინა და უკანა მხარე ერთნაირია, გავკერავთ გვერდებს, დაბლა ტოტის ადგილებში ვაკერებთ ირიბ ნაჭერს. გვერდებში შეიკრება ზონარით.

### მამაკაცის პიჟამო

თარგის შედგენა — (ნახ. № 1, 2 და 3); ნახატი 1.

ნახაზში აღნიშნული პიჟამოს თარგის შესადგენად საჭიროა ავიღოთ შემდეგი ზომები:

1. გულმკერდის წრეხაზის ნახევარი — 50 სმ
2. კისრის წრეხაზის ნახევარი — 21 სმ
3. ბეჭების სიგანის ნახევარი — 22 სმ
4. გულის სიგანის ნახევარი — 21 სმ
5. მხრის სიგრძე — 17 სმ
6. ზურგის სიგრძე — 46 სმ
7. პიჟამოს სიგრძე — 85 სმ
8. სახელოს სიგრძე — 61 სმ

პიჟამოს წინა და უკანა მხარის ნახევრებს ვხაზავთ ერთ ჩარჩოში. ამისათვის გულმკერდის წრეხაზის ნახევარს მუდმივად ვუმატებთ 5 სმ-ს:

50 + 5 = 55

მიღებულ რიცხვს 55-ს გადავზომავთ ა-წერტილიდან მარჯვნივ. ა და 55-ის წერტილებიდან ჩამოვზომავთ პიჟამოს სიგრძეს — 85 სმ-ს და ზურგის სიგრძეს 46 სმ-ს, ვადგენთ ოთხკუთხედს. ზურგის სიგრძეს მუდმივად ვყოფთ ორზე:

46:2 = 23

მიღებულ რიცხვს 23-ს ჩამოვზომავთ წერტილ ა და 55-დან და გავავლებთ იღლიის დასაყენებელ ხაზს. (23-ის წერტილებს ვაერთებთ ერთმანეთთან სახაზავით). წერტილ ა-დან გადავზომავთ ბეჭების სიგანის ნახევარს — 22 სმ-ს. პიჟამოს საყელოს უკანა მხარისათვის კისრის წრეხაზის ნახევარს მუდმივად გავყოფთ 3-ზე:

21 : 3 = 7

მიღებულ რიცხვს 7-ს გადავზომავთ ა-წერტილიდან მარჯვნივ. წერტილ 7-დან ზევით ავზომავთ 3 სმ-ს. 3-ის წერტილს ვაერთებთ ა-წერტილთან მრუდი ხაზით. მხრისა და იღლიის ამოსაჭრელი ხაზისათვის ზედა 22-ის წერტილიდან ჩამოვზომავთ 4 სმ-ს, ქვედა 22-ის წერტილიდან ზევით ავზომავთ 4 სმ-ს და მარჯვნივ გადავზომავთ 4 სმ-ს. მხრის სიგრძეს მუდმივად ვუმატებთ 1 სმ-ს:

17 + 1 = 18

მიღებულ რიცხვს 18-ს გადავზომავთ 3-ის წერტილიდან მარჯვნივ. წერტილებს (18, 4, 4, 4.) ვაერთებთ ერთმანეთთან მრუდი ხაზით. პიჟამოს გვერდზე სისრულისათვის 24-ის წერტილიდან მარჯვნივ გადავზომავთ 3 სმ-ს. 3-ის წერტილს ვაერთებთ ზედა 4-ის წერტილთან სახაზავით. პიჟამოს წინა ნახევრისათვის 55-ის წერტილიდან მარცხნივ გადავზომავთ გულის სიგანის ნახევარს — 21 სმ-ს. საყელოს ხაზის ამოსაჭრელად 55-დან ჩამოვზომავთ 7 სმ-ს და გადავზომავთ მარჯვნივ 7 სმ-ს. 7-ის წერტილებს ვაერთებთ ერთმანეთთან მრუდი ხაზით. მხრისა და იღლიის ამოსაჭრელი ხაზისათვის ზედა 21-ის წერტილიდან ჩამოვზომავთ 3 სმ-ს, ქვედა 21-ის წერტილიდან ზევით ავზომავთ 5 სმ-ს, წერტილ 7-დან მარჯვნივ გადავზომავთ მხრის სიგანეს — 18 სმ-ს. წერტილებს (18, 5, 3) ვაერთებთ 4-ის წერტილთან მრუდი ხაზით. წინ გადასაკეცისათვის (ბორტისათვის) 7-ის და 85-ის წერტილებიდან მარჯვნივ გადავზომავთ 8-8 სმ-ს. 8-ის

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნახატი 1




ნახ. N 1




ნახ. N 2



პიჟამოს საყელო



ნახ. N 3



ნახ. N 4




ნახ. N 5




ნახ. N 6

ეროვნული ბიბლიოთეკა

წერტილებს ვაერთებთ ერთმანეთთან სახაზავით. ჯიბისათვის წელის ხაზიდან ჩამოვზომავთ მუდმივად 9 სმ-ს. 9-ის წერტილიდან როგორც მარჯვნივ ისე მარცხნივ გადავზომავთ 8-8 სმ-ს. 8-ის წერტილიდან ჩამოვზომავთ 17 სმ-ს. წერტილებს (8, 8, 17) ვაერთებთ ერთმანეთთან სახაზავით. თამასისათვის 8-ის წერტილებიდან ჩამოვზომავთ 3 სმ-ს. 3-ის წერტილს ვაერთებთ ერთმანეთთან სახაზავით. სახელოს თარგის შესადგენად ა-წერტილიდან მარჯვნივ გადავზომავთ გულმკერდის წრეხაზის ნახევარს — 50 სმ-ს. წერტილ ა და 50-დან ჩამოვზომავთ სახელოს სიგრძეს — 61 სმ-ს და ვადგენთ ოთხკუთხედს. ჩარჩოს სიგანეს მუდმივად ვყოფთ ორზე:

$$50:2=25$$

მიღებულ 25-ს გადავზომავთ ა და 61-ის წერტილიდან მარჯვნივ. წერიტლებს 25-ისას ვაერთებთ ერთმანეთთან სახაზავით. იღლიის ხაზის დასადგენად ჩარჩოს სიგანეს გავყოფთ მუდმივად 6-ზე. მიღებულ რიცხვს ვუმატებთ მუდმივად 2 სმ-ს:

$$50:6+2=10{,}3$$

მიღებულ რიცხვს 10,3-ს ჩამოვზომავთ ა და 50-ის წერტილებიდან (წერტილებს 10,3 10,3) ვაერთებთ ერთმანეთთან სახაზავით. დამხმარე ხაზებისათვის ჩარჩოს სიგანეს გავყოფთ 6 თანასწორ ნაწილებად. სახელოს უკანა მხარისათვის პირველ დამხმარე ხაზიდან ჩამოვზომავთ 3 სმ-ს, წინა მხარისათვის წერტილ 25-დან ჩამოვზომავთ 3 სმ-ს, დამხმარე ხაზიდან 1 სმ-ს. წერტილებს (1, 3, 3, 10, 3, 16, 3) ვაერთებთ ერთმანეთთან მრუდი ხაზით. სახელოს გვერდის გამოსაყვანად 61-ის წერტილებიდან ზევით ავზომავთ 2—2 სმ-ს. 2-ის წერტილებს ვაერთებთ ერთმანეთთან სახაზავით. თამასისათვის (მეორე პირის დასადებად) 2-ის წერტილიდან ზევით ავზომავთ 3—3 სმ-ს. 3-ის წერტილებს ვაერთებთ ერთმანეთთან სახაზავით.

საყელოს თარგის შესადგენად ა-წერტილიდან მარჯვნივ გადავზომავთ კისრის წრეხაზის ნახევარს — 21 სმ-ს. ჩამოვზომავთ მუდმივად 9 სმ-ს და ვადგენთ ოთხკუთხედს. ა-წერტილიდან ზევით ავზომავთ მუდმივად 2 სმ-ს. 2-ის წერტილს ვაერთებთ 21-ის წერტილთან სახაზავით. წერტილ 9-დან მარჯვნივ გადავზომავთ 3 სმ. 3-ის წერტილს ვაერთებთ 21-ის წერტილთან სახაზავით.

## მამაკაცის პიჟამოს გამოჭრისა და და შეკერვის წესი

პიჟამოს როგორც უკანა, ისე წინა ნახევარის გამოსაჭრელად ქსოვილს ვკეცავთ ორად (ქსოვილი უნდა იყოს დანამული და დაუთოვებული) ვამაგრებთ თარგს ქსოვილზე ქინძისთავებით, ვუმატებთ ნაკერისათვის იღლიისა და საყელოს ადგილებში 0,5 სმ-ს, გვერდებში 2 სმ-ს, დაბლა შემოსაკეცად 3 სმ-ს და ვჭრით. სიგრძის ხაზი უკანა მხრის გაიჭრება ან ჩაიკერება 3 სმ სიღრმით (როგორც ნახაზშია ნაჩვენები) წინა მხარისა კი იჭრება.

სახელოს გამოსაჭრელად ქსოვილს ვკეცავთ ორად, ვამაგრებთ თარგს ქსოვილზე ქინძისთავებით, ვუმატებთ ნაკერისათვის 1 სმ-ს და ვჭრით. სახელოს გაუჭრელი ხაზი არა აქვს, იჭრება გარშემო. (სახელოს გამოჭრის დროს უერთდება), ყურადღება უნდა მივაქციოთ წინა და უკანა მხარის სისწორის დაცვას ორივე ერთი მკლავის არ უნდა გამოვჭრათ.

საყელოს გამოსაჭრელად ქსოვილს ვკეცავთ 4-ად, ვამაგრებთ თარგს ქსოვილზე ქინძისთავებით, ვუმატებთ ნაკერისათვის 1 სმ-ს და ვჭრით. სიგრძის ხაზი წერტილ 2-დან წერტილ 9-მდე გაუჭრელია.

პირველ რიგში ვამზადებთ მარჯვენა მხარის წინა ნაწილს, შემდეგ მარცხენა მხარის წინა ნაწილს. მივაკერებთ მხრებს ერთმანეთს, ვოვარგებთ ტანზე, შევიტანთ შესწორებებს და შევკერავთ მანქანით.

პიჟამოს მივაკერებთ გამზადებულ სახელოებს, საყელოს და ჯიბეს. ქამარს ვუკეთებთ სურვილის მიხედვით მთლიანს ან მხოლოდ უკანა მხარეს.

## პიჟამოს შარვალი

თარგის შედგენა — (**ნახ. № 4 და 5**).

ნახაზში აღნიშნული შარვლის თარგის შესადგენად საჭიროა ავიღოთ შემდეგი ზომები:

1. თეძოს წრეხაზის ნახევარი — 52 სმ
2. წელის წრეხაზის ნახევარი — 42 სმ
3. შარვლის სიგრძე — 102 სმ

შარვლის წინა ნახევრის თარგის შესადგენად წელის წრეხაზის ნახევარს მუდმივად ვყოფთ ორზე, ვუმატებთ 6 სმ-ს.

$$42:2=21$$
$$21+6=27$$

მიღებულ რიცხვს 27-ს გადავზომავთ ა-წერტილიდან მარჯვნივ. წერტილ ა-დან ჩამოვზომავთ შარვლის სიგრძეს — 102 სმ-ს. ნაბიჯის სიგრძისათვის თეძოს წრეხაზის ნახევარს მუდმივად ვყოფთ ორზე, ვუმატებთ 3 სმ-ს:

$$52:2=26$$
$$26+3=29$$

მიღებულ რიცხვს 29-ს ჩამოვზომავთ ა წერტილიდან ქვევით, სიგრძის ხაზზე ნაბიჯის სიგანისათვის თეძოს წრეხაზის ნახევარს მუდმივად ვყოფთ ორზე, ვუმატებთ 6 სმ-ს:

$$52:2=26$$
$$26+6=32$$

მიღებულ რიცხვს 32-ს გადავზომავთ 28-ის წერტილიდან მარჯვნივ. წერტილ ქვედა 28-დან ზევით ავზომავთ 6 სმ-ს, წერიტლ ზედა 27-დან წელის ხაზის დასადაბლებლად ჩავზომავთ ქვევით 1 სმ-ს. წერტილებს (1, 6, 3, 32) ვაერთებთ ერთმანეთთან მრუდი ხაზით. ტოტის ხაზისათვის 102-ის წერტილიდან მარჯვნივ გადავზომავთ 3 სმ-ს და მარცხნივ 3 სმ-ს. პირველ და 3-ის წერტილს ვაერთებთ 32 წერტილთან, ხოლო მეორე 3-ის წერტილს 28 წერტილთან სახაზავით. შარვლის გვერდის ხაზის გამოსაყვანად ა-წერტილიდან მარჯვნივ გადავზომავთ 1 სმ-ს. 1-ის წერტილს ვაერთებთ 28-ის წერტილთან სახაზავით.

შარვლის უკანა ნახევრის თარგის შესადგენად ა-წერტილიდან ჩამოვზომავთ შარვლის სიგრძეს — 102 სმ-ს. წელის ხაზისათვის თეძოს წრეხაზის ნახევარს მუდმივად ვყოფთ ორზე, ვუმატებთ 6 სმ-ს:

$$52:2=26$$
$$26+6=32$$

მიღებულ რიცხვს 32-ს გადავზომავთ ა-წერტილიდან მარჯვნივ, ნაბიჯის სიგრძისათვის თეძოს წრეხაზის ნახევარს ვყოფთ მუდმივად ორზე, ვუმატებთ 3 სმ-ს:

$$52:2=26$$
$$26+3=29$$

მიღებულ 29-ს ჩამოვზომავთ ა და 32-ის წერტილებიდან. 29-ის წერტილებს ვაერთებთ ერთმანეთთან სახაზავით, ბიჯისათვის (თეძოს ხაზზე) 32-ს გავყოფთ 4-ზე:

$$32:4=8$$

მიღებულ 8-ს გადავზომავთ 29-ის წერტილიდან მარცხნივ. უკანა მხარის შარვლის სისრულისათვის 102-ის წერტილიდან მარცხნივ გადავზომავთ 1 სმ-ს, მუხლის ხაზიდან 4 სმ-ს. წერტილებს 1,4 ვაერთებთ 8-ის წერტილთან სახაზავით. წელის ხაზისათვის წერტილ ა-დან მარჯვნივ გადავზომავთ 4 სმ-ს. წერიტლ 4-დან წელის ხაზის ასაღებად ზევით ავზომავთ 5 სმ-ს. წერტილ 32-დან მარჯვნივ გადავზომავთ 4 სმ-ს. წერტილ 102-დან — 6 სმ-ს. წერტილებს (5, 4, 6) ვაერთებთ ერთმანეთთან სახაზავით, ხოლო 5-ს 9-თან მრუდი ხაზით.

## პიჟამოს შარვლის გამოჭრისა და შეკერვის წესი

შარვლის როგორც წინა ისე უკანა ნაწილის გამოსაჭრელად ქსოვილს ვკეცავთ ორად, ვამაგრებთ თარგს ქსოვილზე ქინძისთავებით, ვუმატებთ ნაკერისათვის გვერდებში 2 სმ-ს, უბის წერტილებში 1 სმ-ს, ზევით და ქვევით 3 სმ-ს და ვჭრით. თუ შარვლის გამოსაჭრელად ქსოვილი საკმარისი არ არის, მაშინ უდგამთ ნაჭერს უბეში. ვკერავთ უკანების ხაზებს, შემდეგ წინა ნაწილის უბეებს. ვაერთებთ შარვლის წინა და უკანა მხარეს, დაბლა შემოვკეცავთ 3 სმ-ს, ასევე ვადავკეცავთ წელის ხაზს და გავყოფთ რეზინს ან მოვაკერებთ სალტეს.

ავტორი **ტ. ბურბენიძე**



ჩელიტა — „დონ-კიხოტი".



თამარი — „დემონი".



ჩელიტა — ლ. მითაიშვილი, ბაზილი — მ. ლეკიშვილი. „დონ-კიხოტი".

# ასე დაიწყო დიდი ცხოვრება

1957 წელი, მოსკოვი. ახალგაზრდობის მსოფლიო ფესტივალი. ამ წელმა ლილიანას ბედნიერება მოუტანა. ფესტივალზე, კლასიკური ცეკვის კონკურსზე, მან ოქროს მედალი დაიმსახურა. მაღალმა ჯილდომ თითქოს გაუათკეცა შემოქმედებითი უნარი და სულ რაღაც ორიოდე წელში მოამზადა ისეთი რთული პარტიები, როგორიცაა: მაშა (ჩაიკოვსკის „შჩელკუნჩიკი"), ლაურენსია (კრონინის „ლაურენსია"), თამარი და მზექალა (ცინცაძის „ცისფერი მთის საუნჯე"), ვაქხი ქალი (გუნოს „ვალპურგის ღამე"), ჯავარა (თორაძის „გორდა").

ჯავარას პარტიის შესრულებამ განსაკუთრებული წარმატება მოუპოვა ახალგაზრდა მსახიობს. ამ როლით წარსდგა იგი მოსკოველი მაყურებლის წინაშე ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადის დღეებში.

„საოცრად ტემპერამენტიან ვარიაციებში, რომლის დროსაც არასოდეს არ იკარგება რიტმის გრძნობა, მითაიშვილი გამოხატავს ჯავარას სულიერ ტრაგედიას, რომელსაც თითქოს ბუნებაც თანაუგრძნობს. ისეთ ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენს მაყურებელზე მთელი ეს სცენა, რომ იგი განუწყვეტლივი ტაშის გრიალით მიმდინარეობს", — წერდა გაზეთი.

მსახიობი ყოველი ფსიქოლოგიური ნიუანსისათვის პოულობს გამომხატველ დეტალსა თუ პოზას. მისი მზერა და უბრალო სიარულიც კი სცვლის ჟესტს.

მითაიშვილის ჯავარათი აღტაცებულმა ცნობილმა იტალიელმა დრამატურგმა და რეჟისორმა ედუარდო დე ფილიპომ გულწრფელად განაცხადა: „მე მგონია, მსოფლიოში არ მოიძებნება ადამიანი, რომელმაც მისი ცეკვის ენა ვერ გაიგოს. მისი სიმსუბუქე და ჟესტის პლასტიკა ისეთ შთაბეჭდილებას ჰქმნის, თითქოს ის კი არ ცეკვავს, დაფრინავს. ყოველივე ეს უძლიერეს შთაბეჭდილებას სტოვებს და არასოდეს დაგვავიწყდება".

ვარჯიშმა და მუდმივმა მეცადინეობამ მოუპოვა ლილიანას წარმატება. ხელოვნების არც ერთი დარგი არ მოითხოვს იმდენ ვარჯიშს, რამდენსაც ბალეტი, ვარჯიშის გარეშე მოცეკვავე კარგავს ყველაფერს, რისთვისაც წლების მანძილზე მიუღწევია. ეს იცის ახალგაზრდა მსახიობმა. მისი საყვარელი გამოთქმაა — „პაერის დედოფალ" მარია ტალიონის ფეხებქვეშ იატაკი არასოდეს ცივდებოდაო".

ეს იცის და ყოველდღე, ექვსი საათის განმავლობაში მუშაობს ლილიანა თავის საბალეტო დაზგასთან. იხვეწება პოზა, უფრო სრულყოფილი ხდება მოძრაობა.

საღამოს კი, როცა ფარდა მძიმე რხევით აიწევს მაღლა და დარბაზში გაისმის მხიარული, კასკასა მელოდია, სცენის მარცხენა მხრიდან კიბეებზე ჩამორბის თითქმის ბავშვი, სიცოცხლით სავსე, მეფის თვითნება ასული. ლილიანა ცეკვავს. რამდენი ახალგაზრდობა და სიმშვენიერეა მის თავბრუდამხვევ ტრიალში და დარბაზი თითქოს ივსება მზეთუნახავი ავრორას მჩქეფარე ბედნიერებით.

სულ სხვაა ლილიანა მითაიშვილი „ჟიზელში". თუ ოდესმე გინახავთ, შეუძლებელია დაივიწყოთ მისი ჟიზელი, განსაკუთრებით კი მეორე მოქმედებაში.

სცენაზეა სამარიდან წამომდგარი ჟიზელი. ნელა ეშვება ფეხი პუანტეზე, ნაზად შორდება მეორე ფეხს, ლამაზად ადის ზევით ხელი, თანდათან ამაღელვებელი, მომაჯადოვებელი ხდება მოძრაობა. თრთის, მოძრაობს მთელი სხეული. იწყება ჰარმონიით აღსავსე „ადამიანის სულის ცხოვრება". ბალერინას თითოეული მოძრაობა მსუბუქი და ნათელია. მაგრამ ამ სუსტ, თეთრ მოჩვენებაში კრთის ცოცხალი ადამიანური სიყვარული და ღრმა მწუხარება. დიდი ხნის ძიების შემდეგ მითაიშვილმა შესძლო მოენახა როლის საკუთარი, ორიგინალური გადაწყვეტა, შეექმნა გმირის მხატვრულად დასრულებული სახე.

მითაიშვილი ბალეტში — ესაა სისადავე და უბრალოება, და ამიტომაცაა, რომ სცენაზე იბადება წრფელი სილამაზე, რომელიც თავისთავად არის სიმართლე. იგი ისევე გულწრფელად განიცდის სოფლელი გოგონას — ჟიზელის ტრაგედიას, უარყოფილი ჯავარას სულიერ ტკივილს ან ლერმონტოვის თამარის ადამიანურ ვნებებს, როგორც სიცოცხლით აღსავსე კიტრის ბედნიერებას, მიამიტი და კეკლუცი ლიზას მხიარულებას, გამარჯვებული ლაურენსიას აღტკინებას.

ლილიანა მითაიშვილის ფართო შემოქმედებითი დიაპაზონი იძლევა იმის იმედს, რომ მის მიერ შექმნილი სახეების გალერეა გამდიდრდება კიდევ ბევრი ახალი სახით. ვუსურვოთ ახალგაზრდა ბალერინას, რომ ყოველ ახალ სახეს ახალი გამარჯვება მიეტანოს მისთვის.

ლეილა ჭეიშვილი

# კადრების კერა

ფოტო ა. სოხაძის და
დ. იაკობაშვილის



იზოლდა პაკელიანი

როდესაც იზოლდა პაკელიანი მესტიის კომკავშირის რაიკომში გამოიძახეს, ეცერელ გოგონას არ გაჰკვირვებია: მას რაიონში იცნობდნენ, როგორც მოწინავე კომკავშირელს. შეიძლება, ახლაც რაიმე დავალებააო, იფიქრა.

— რას იტყვი, უფროს პიონერხელმძღვანელად რომ გაგიშვათ სკოლაში? — შეეკითხა მდივანი.

„რას ვიტყვი?“ — გაიფიქრა გოგონამ, — რას და, გავიხარებ!



ოღონდ კი, ჯერ სწავლაა საჭირო, სპეციალური განათლების მიღება. იზოლდას უყვარს პიონერული ცხოვრება. მუდამ რაზმის ხელმძღვანელი იყო სკოლაში სწავლისას. დაამთავრა სკოლა და საყვარელ საქმესაც მოშორდა. ოჯახს მიეშველა, წვრილ-შვილიან დედ-მამას. კოლმეურნეობაში გავიდა, კარტოფილს ბუდნიდა, სიმინდს თოხნიდა. რამდენჯერ დაყრდნობია თოხსა და ბარს, ოცნებით აუხედია მრისხანე უშბისაკენ, კეკლუცი თეთნულდისაკენ.

— ჰეი, თქვენ, მთებო! რას იტყვით? გაუშვებთ სვან ქალიშვილს თბილისისაკენ?

„გაგიშვებთო, კარგ ადამიანებთან“, — ჩამოსძახოდნენ თითქოს მთები და იზოლდაც წავიდა...

ასევე წამოვიდა დედაქალაქისაკენ მთიანი აჭარიდან შოთა ბაკურაძე, ხობიდან — ეთერ ხარბედია, ახმეტიდან — ლამარა ხოხობაშვილი, რუსთავიდან — შოთა ფავლენიშვილი, ლაგოდეხიდან — ესმერალდა ფცქიალაძე, ბორჯომიდან — ელმირა გეგეშიძე, ზუგდიდიდან — ანატოლ წყაროზია, შუახევიდან — ილია მიქელაძე...

და 1964 წლის 20 აგვისტოს ერთმანეთს შეხვდნენ. თითქოს პატარები გახდნენ ისევ. ისევ აუფრქიალდათ გული: მისაღებ გამოცდაზე გადიან. აქ უნდა გაესაუბრონ და გაიგონ მათი საერთო ცოდნა და მომზადების დონე. შეამოწმონ მათი მუსიკალური სმენაც, რიტმიც.

საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტისა და განათლების სამინისტროს პიონერმუშაკთა რესპუბლიკური სკოლა.

დიახ, სპეციალური ერთწლიანი სკოლა, რომელიც რესპუბლიკის სკოლებისა და სკოლისგარეშე დაწესებულებებისათვის კადრებს ამზადებს.

ამიერიდან იზოლდაც, შოთაც, ესმერალდაც, ილიაც, ელმირაც კვლავ პიონერულ ყელსახვევს გაიკეთებენ და ისევ მოუსხდებიან მერხებს. მოვლენ ადამიანები, პედაგოგები, რომლებიც სპეციალურ საგნებს წაუკითხავენ, გააცნობენ კომკავშირის გმირულ ცხოვრებას, პიონერული ორგა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიზაციის ისტორიას. ასწავლიან, როგორ ჩაწვდნენ პატარების სულს, როგორ წარმართონ პიონერული ცხოვრება, როგორ აავსონ ეს ცხოვრება შინაარსიანი დღეებით. მოვლენ პედაგოგები, რომლებიც მუსიკის ანბანს აუხსნიან, შეასწავლიან სიმღერებს, ცეკვას, რომ შემდეგ რაზმეულებში ჩამოაყალიბონ გუნდები, მოცეკვავეთა წრეები. შეისწავლიან ხელსაქმეს, ხელგარჯილობას, რათა შემდეგ თავის პიონერებს შეაყვარონ შრომა, პატარა ოქტომბრელებს კი — ყვავილებისა და კურდღლების კეთება ქაღალდიდან, მუყაოდან, ხატვა, ძერწვა. მოვლენ პედაგოგები, რომ ნატურალისტური მუშაობა შეასწავლონ, რათა ცოცხალი კუთხეები მოაწყონ შემდეგ პიონერთა ოთახებში, და გარეთ, სასკოლო საცდელ ნაკვეთზე, საუკეთესო მოსავალი მიაღებინონ.

და თითქოს ხელახლა დგება პიონერული ასაკი!

დილით, პიონერულ ხაზზე დგებიან ქალიშვილები და ჭაბუკები. იწყება პატაკის ჩაბარება. ოღონდ აქ რაზმეულს მამასახლისი განაგებს. მამასახლისი უწევს მეთვალყურეობას სკოლის მსმენელთა ცხოვრებას, ამოწმებს მათ საერთო ბინას, სისუფთავეს.

სკოლაში ოთხი ჯგუფია, ჯგუფში 25 კაცი. ასი საუკეთესო კომკავშირელი ისმენდა წელს კურსს. შარშანაც ასე იყო. ასე იქნება მომავალ წელსაც. სტიპენდია, საერთო საცხოვრებელი... და შემდეგ კვლავ მშობლიურ რაიონში დაბრუნება. ეს აუცილებელი პირობაა!

კომკავშირის რაიონულმა კომიტეტმა წამოაყენა შენი კანდიდატურა. მან შეგარჩია პიონერებთან სამუშაოდ. ასეთი დიდი ნდობა დაიმსახურე უფროსი ამხანაგებისა, ხელმძღვანელებისა. და მთელი წლის მანძილზე თავგამოდებით სწავლობს ახალგაზრდობა: სწავლობენ, როგორ ჩაატარონ რაზმისა და რაზმეულების შეკრებები, როგორ იმუშაონ ოქტომბრელებთან, როგორ წაიყვანონ პიონერები ლაშქრობებზე, როგორ მოაწყონ შეხვედრები მოწინავე ადამიანებთან.

აი, გაკვეთილს ატარებს სკოლის დირექტორი რევაზ ნინუა. მისი საგანია: „ვლადიმერ ილიას ძე ლენინის სახელობის ნორჩ პიონერთა ორგანიზაცია“.

მიმზიდველად, შინაარსიანად მოუთხრობს იგი ჩვენი ქვეყნის პიონერული ორგანზაციის ისტორიას, დღიდან მისი ჩასახვისა. უხსნის, როგორ უნდა იმუშაონ რაზმებში.

თეორიულ ცოდნას თბილისის სკოლებში, პიონერულ განიზაციებში ჩატარებული პრაქტიკული მუშაობით იმდიდრებენ.

ახალგაზრდა ხარ, ძალიან ახალგაზრდა, მაგრამ ისეთ უბანზე უნდა იმუშაო, რომ აუცილებელია კარგი პედაგოგი იყო, კარგად ჩაიხედო ბავშვების სულში, სადმე არ შეცდე. სკოლის პროგრამაში ესეცაა გათვალისწინებული. ამიტომ იკითხება პედაგოგიკის კურსი. ახალგაზრდებს განსაკუთრებით უყვართ პედაგოგი ნატო ჯოხაძე, მისი შინაარსიანი ლექციები. „ნატო მასწავლებელს ბევრ რამეს ვუმადლითო“, — ხშირად უთქვამთ ამ სკოლიდან წასულებს. ასევე პატივისცემით იგონებენ ისინი სასწავლო ნაწილის გამგეს როსტომ ალავიძეს, რომელიც ლენინური კომკავშირის ისტორიას უკითხავს მომავალ უფროს პიონერხელმძღვანელებს.

ხშირად ნახავთ ამ სკოლაში რესპუბლიკის სახალხო არტისტს გოგუცა კუპრაშვილს. საქართველოს ყოველი კუთხიდან ჩამოსულებს სწორ მეტყველებას უყენებს, ასწავლის მხატვრულ კითხვას. მშვენიერი, დახვეწილი, ლიტერატურული ქართულით საუბრობენ წლის ბოლოს აჭარელი, სვანი, მეგრელი და კახელი ახალგაზრდები. ამაში წვლილი სწორედ გოგუცას მიუძღვის, და რომელი ერთი საგანი ჩამოვთვალოთ, რაც აუცილებელია, საჭირო და სასარგებლო. საჭიროა ფოტოსაქმის ცოდნაც. და სკოლის ფოტოლაბორატორიაში მუდამ ტრიალებენ წითელყელსახვევიანები.



დგება გაზაფხული. მშვენიერი თვეები ექსკურსიებისათვის, ლაშქრობებისათვის. დაუზარელი პედაგოგი გურამ გეგეჭკორი ზურგჩანთას იგდებს ზურგზე. სალაშქროდ ემზადება რაზმეული: მიდიან ბეთანიაში, შიომღვიმეში, ზედაზენზე. ოცდახუთმა კაცმა მაინც უნდა ჩააბაროს საბჭოთა კავშირის ტურისტის ნიშანზე! — 75 კილომეტრი უნდა გაიარონ ფეხით, და სად არ ნახავთ სალაშქრო ტანსაცმელში გამოწყობილ ჭაბუკებსა და ქალიშვილებს: იყალთოში, უძოზე, ქოროღლზე...

გაზაფხულს ზაფხული მოსდევს... სკოლა ივნისის 10-დან თორმეტდღიან საბანაკო პრაქტიკას გადის. წელს ეს პრაქტიკა მსმენელებმა თბილისის საქალაქო ბანაკში გაიარეს.

კიდევ ერთი პიონერული ხაზი... უკანასკნელი. გულაჩუყებული პიონერხელმძღვანელები უკან იხედებიან: უკან დარჩა გამოცდები, უკან დარჩა ერთი პიონერული წელი, უკან დარჩა შეხვედრა ქართველ პოეტებთან: მაყვალა მრევლიშვილთან, ხუტა ბერულავასთან, მარიჯანთან, მუხრან მაჭავარიანთან. იმ საღამოს ახალგაზრდები თავისი შეკერილი ჩითის კაბებით მოვიდნენ. საღამოსაც „ჩითის კაბების მეჯლისი“ დაარქვეს. ჟიურიმ, რომელშიც მწერლებიც შედიოდნენ, ყველას ნახელავი მოიწონა: „პირველი ადგილი ყველას, ან არავის!“ ერთხმად განაცხადეს ჟიურის წევრებმა. დიახ, უკან დარჩა ყველაფერი, საყვარელი, საქმიანი სკოლაც კალინინის ქუჩაზე, პედაგოგებიც...



ქალიშვილმა გადაშალა შინდისფერყდიანი მოწმობა:

„ამხანაგმა იზოლდა პაკელიანმა 1965 წელს დაამთავრა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და განათლების სამინისტროს პიონერმუშაკთა რესპუბლიკური ერთწლიანი სკოლა და საგამოცდო კომისიის გადაწყვეტილებით მიენიჭა პიონერმუშაკის კვალიფიკაცია“.

— მოვდივარ, უშბავ, მოვდივარ, თეთნულდო!

— სალამი, მშობლიურო სოფელო!

— სალამი, ჩემო წითელყელსახვევიანებო!

ნაზი კილასონია

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მებრძოლთა დედა

დღეს საპატიო სტუმრები მყავს. სამხედრო დისციპლინის სიზუსტით, დანიშნულ დროზე მეწვივნენ ომგადახდილნი: გვარდიის თადარიგის პოლკოვნიკი ლადო ლომთათიძე და გვარდიის თადარიგის მაიორი რეზო ლოლაძე.

დიდი სამამულო ომის ოცი წლისთავზე ჩემი თხოვნით იხსენებენ გარდასულ გმირულ ამბებს. თვალწინ მეშლება 51-ე გვარდიული დივიზიის მედსანბატი, მისი კოლექტივის ერთსულოვნება და თავგანწირულება ომის პირველივე დღიდან — დამთავრებამდე.

ჩემი სტუმრები მათი თანაფრონტელის, გვარდიის თადარიგის მაიორის ექიმ კლარა ხოჭოლავას შესახებ მიამბობენ (გულში ვფიქრობ თვით ამ ორივე ვაჟკაცზე რამდენი დაიწერებოდა!).

და მესმის მათგან ამგვარები:

„სულით უმშვენიერესი ქალი".

„ეს იყო ვაჟკაცური ადამიანი".

„დედობას გვიწევდა განურჩევლად ყველას. მისთვის სულერთი იყო ქართველი თუ სომეხი, უკრაინელი თუ თათარი".

„ახლაც ყოველწლელს მოინახულებენ ხოლმე თანამებრძოლნი: მედსანბატის ყოფილი უფროსი, უზბეკი ნიაზ კენგილბაევი, ერევნელი პროფესორი ივანე გევორქიანი, ბაქოელი მარია შავიერი და ლენინგრადელი ოლგა კოლომიეცი".

„არ სჭამდა უჩვეონოდ. როცა ცეცხლის ხაზიდან დაჭრილების გამოსაყვანად მივდიოდით, არ დაიძინებდა ჩვენს დაბრუნებამდე და ღელავდა".

„პირველსავე ხანებში, ჩვენი დივიზიის გაზეთმა „მებრძოლთა დედა" შეარქვა და ეს სახელი შერჩა ბოლომდე".

## კლარა დღეს

რკინიგზის საავადმყოფოს ქირურგიულ კლინიკაში, პროფესორ ეგნატე ფიფიას ხელმძღვანელობით მუშაობს კლარა ორდინატორად. ვერცხლისწყალივით გაგისხლტებათ ხელიდან, როგორც კი თვით მასზე ჩამოაგდებთ სიტყვას.

ის როგორ იყო, ოპერაციის დროს, მაგიდას ზედ რომ გადაეფარეთ დაჭრილის გადასარჩენად, როდესაც ყუმბარამ შენობას ასანთის კოლოფივით წააცალა სახურავი. თქვენ აიხედეთ და... ჭერის ნაცვლად ცა დაინახეთ... ხელი მაინც არ გაგიჩერებიათ, კაცის სიცოცხლე გებარათ!

ის როგორღა იყო, 1942 წელს გავეშებული მტრისგან სულ რაღაც ასიოდე მეტრის მანძილზე რთულ ოპერაციას რომ განაგრძობდით და ყური არ ათხოვეთ ცხენდაცხენ მოჭრილი კომისრის ბრძანებას—მედსანბატს დაუყოვნებლივ გადაენაცვლა ადგილი.

თქვენ ეს უთხარით მხოლოდ:

—წყნარად, დაჭრილები არ ამიღელვოთ!

დღეს ამგვარ კითხვებზე კლარა მოკრძალებით იღიმება და სიტყვა-ძუნწობს.

— რა მოხდა! ეს ხომ ასეც უნდა ყოფილიყო.

დღესაც ისევე, როგორც ახალგაზრდობაში, შესტრფის სიცოცხლეს. აღფრთოვანებით, ბავშვური გულით შეჰხარის ყვავილებს და არაფერი ახალი თუ მშვენიერი არ გამოეპარება მხატვრობასა თუ მწერლობაში, ქანდაკებასა თუ მუსიკაში. იცოდნენ ჩვენი ხელოვნების და კალმის ოსტატებმა: კლარა მათი ჩუმი მოთაყვანეა და ერთერთი პირველი, პირუთვნელი დამფასებელი.

## შექახილი გზაზე

სულ ყვავილების ბრალი კია! ერთხელ, ფრონტზე ახლადმოსულ კლარას, ომიანობის პირველ გაზაფხულს, დიდ გზაზე რომ იყვნენ გასულები, თვალი მოსტაცა შარაგზის გადაღმით გაღაღანებულმა ყაყაჩოებმა. ის ის იყო, დაჭრილები გაისტუმრეს, თვითონაც წასვლის მოლოდინში იყვნენ.

— თავი დამავიწყდა, — იგონებს კლარა, — ასე მეგონა, ბეთანიის მიდამოებში ვიყავ, ვერ მოვითმინე და ყაყაჩოებს გავექიდე. შემიყოლია, გამიტყუა ცოტაზე. უცბად ჩემი სახელი მომესმა. ჩაქროლილი მანქანიდან ვიღაც მიყვიროდა გამწარებით:

— კლარა, გაგიჟდი? სად მიხვალ, გაბრუნდი უკანვე, რას სჩადიხარ!

— ახლაც არ ვიცი ვინ იყო. გამოვფხიზლდი და უკან მოვკურცხლე. ბედზე გადავრჩი. ცაში ავარდა იქაურობა. არ ვიცი, ვის უნდა ვუმადლოდე!

## უნდა გაუძლო

ერთი, ორი, ზოგჯერ სამი დღე-ღამის განმავლობაში საოპერაციო მაგიდებს ვერ სცილდებოდნენ ექიმები. დაჭრილი დაჭრილზე მოჰყავდათ. ერთხელ ფეხზეჩამოწყვეტილ კლარას სიმღერა შემოესმა. ქართული სიმღერა საოპერაციოს ფანჯარასთან. გვიანი ღამე იყო, უძილო ღამე. მთვარე დაჰქათქათებდა ჩანახშირებულ არემარეს.

„ურმულს" „წაიყვანეს თამარ-ქალი" მოჰყვა. გივი მაჭავარიანი, ლადო და რეზო უმღეროდნენ კლარას. ძალა შეემატა დაქანცულს, გაუათკეცდა ღონე. ოღონდ ეს იყო, ცრემლები უშლიდა მუშაობას, არამკითხე ცრემლები.

ერთხელაც იყო, სადასტაქარო დანის ხელში აღების თავი რომ არ ჰქონდა და მაჯა აღარ ემორჩილებოდა, პატარა ავადმყოფი მოუყვანეს. სასწრაფო შემთხვევა იყო. ბიჭუნა ახლოს არავის იკარებდა და უთუოდ, ექთანების ჩაგონებით, გაიძახოდა:

— მე ექიმი კლარა მინდა. ის მომარჩენს.

ვერ იქნა და ვერ დააჯერა კლარამ, მე ვარო. ტირილით თავს იკლავდა ბავშვი. იქნებ, ჩვენი კლარას სეხნიას, ვისმე სხვას გულისხმობდა. ლოლიაობის დრო აღარ იყო. გვიანდებოდა მკურნალობა.

კლარას მოთმინება დაელია და უთხრა:

— აღარ არის, მოკვდა ექიმი კლარა!

გაოცებით შეხედა ყმაწვილმა და დიდი კაცივით დაჯერებულმა მიუგო:

— არა, ექიმი კლარა არ მოკვდება არასოდეს. შენ ცუდი ყოფილხარ. დეიდა კლარა დედას და მამას დამიბრუნებს.

— მაშინ მივხვდი, რომ სანამ პირში სული მედგა, ფეხზე უნდა ვმდგარიყავი და არც დაღლის, არც გამოთიშვის უფლება არ მქონდა, — ამბობს კლარა.

## ზღაპრად გაგონილი

გზა-გზა, გერმანელების მიერ ოკუპირებული დაბა-სოფლების განთავისუფლებისას, უსახლკაროდ დარჩენილი ქალები მიეკედლებოდნენ ხოლმე დივიზიის მედსანბატს. ყველას გამოუნახეს საქმე. თავისუფალ დროს კი ექთანების კურსები გაუხსნეს — საველე კურსები. ნარკოზის მიცემასაც კი დაეუფლნენ ახალბედა სათნოების დები. როგორც კი სისხლის გადასხმა იყო საჭირო, პირველები ისინი გაუწვდიდნენ მკლავს.

— ექიმო, ჩემგან გადაუსხით. ჩემიანები აღარავინ დამრჩენია. სისხლით ძმებს მაინც შევიძენ!

ამ სისხლით და-ძმობაზე ერთი გაუგონარი ამბავი ახსენდება კლარას:

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტალინგრადის გარეუბანში, ერთი მძიმე დაჭრილი ჭაბუკი, გვარად მარტინოვი მოიყვანეს. კარგახანს ყოფილიყო დახმარების გარეშე. ბოდავდა. უგონოდ იყო, ინფექცია ზედ დართოდა. კლარამ უწამლა. კოლბიდან სისხლი გადაუსხა.

დონორთა კოლბებს თან წერილი ახლდა ხოლმე:

„მებრძოლო, მე—ესა და ეს, გიგზავნი ჩემს სისხლს. ამის შემდეგ ჩემი ძმა იქნები. ჯანმრთელობაში მოგახმაროს!“

სულზე მოესწრო ჭაბუკს სისხლის გადასხმა. მომჯობინდა.

ერთ დღეს უეცრად ღრიანცელი ატყდა მწოლიარე ავადმყოფებში. შეშლილივით ღრიალებდა მარტინოვი, ტიროდა და იცინოდა.

მარტინოვმა კლარას შესვლისთანავე სისხლის ცარიელი კოლბა შეაჩეჩა და მიახარა:

— ღვიძლი და ვიპოვე, ექიმო! ცოცხალი ყოფილა! შინიდან პასუხებს არ ვიღებდი; რა ხანია, დაღუპული მეგონა... ამ მისამართით გავაგზავნე და აი, ახლა მიპასუხა!

კლარამ დონორის კოლბაზე დაკრული ეტიკეტი წაიკითხა:

„ქ. მოსკოვის 47-ე სკოლის მასწავლებელი მარტინოვა გიგზავნი ჩემს სისხლს, მებრძოლო. შეგერგოს! ჩემი ერთადერთი ძმა ფრონტზე დავკარგე. მისი დაბრუნების იმედიც დამეკარგა, ახლა ქარხანაში მივდივარ სამუშაოდ. გამოჯანმრთელდი და შური იძიე ჩემი ძმისათვის“.

— ზღაპრებში ხდება ასე, მოულოდნელი და უზომოდ გასახარი, — დასძენს კლარა.

## პოლკოვნიკი ბუნინი

კუპენსკის მახლობლად, ფრონტის ხაზზე მუშაობაში ახალჩაბმულ კლარასთან ექთანმა მიირბინა: ავადმყოფი პოლკოვნიკი გიხმობთო. კლარა გამოცხადდა. შუახნის კაცმა საწოლიდან წამოიწია და შუბლზე ნაწიბური უჩვენა:

— არ გეცნობათ?

კლარამ ვერ გაიხსენა.

მერე ტყავის საფულე გახსნა პოლკოვნიკმა და მოწმობა აჩვენა. „შუბლის ჭრილობა გაკერილი“... ხელს კლარა ხოჭოლავა აწერდა.

— არც ახლა გეცნობით, ექიმო? მაშინ წამეჩხუბეთ, ზურგში სამკურნალოდ რომ გამიშვით და არ მივდიოდი... მას შემდეგ ეს მოწმობა ჩემი თილისმა, ტყვია ვეღარას მაკლებს!

პოლკოვნიკი ბუნინი იყო. დივიზიის ერთერთ ლეგიონს მეთაურობდა. მალე გენერლის წოდება მიიღო. მეგობრები დარჩნენ ბუნინი და კლარა.

დნეპრის გადალახვისას დაიღუპა ბუნინი, ზედ კიევის განთავისუფლების დღეს.

## გრიგოლ ორბელიანი ცეცხლში

სტალინგრადის მისადგომებთან დაბანაკებას რომ აპირებდნენ, ახალმისულ მედსანბატელებს თვალი მოსჭრა ხანძრების სინათლემ. შუაღამისას მთელი არემარე გაჩაღებული იყო. გერმანელებს ცეცხლი წაეკიდებინათ ყველაფრისათვის: იწვოდა სახლები, ზეზეურად იწვოდნენ ცოცხალი ხეები, იწვოდა უზარმაზარი ბიბლიოთეკა-სამკითხველო.

— გული მომიკვდა, — ამბობს კლარა, — წიგნებმა რა დააშავეს-მეთქი. მთლად მოფენილი იყო აბრიალებული ფურცლებით ბიბლიოთეკის მისავალი; მივვარდი ჩემს ფეხთით გაფანტულ პირველსავე წიგნებს და ერთი ავიტაცე, კიდეები ეფერფლებოდა უკვე, გულზე მივიკარი და ცეცხლი გავაქრე. დავხედე და ცეცხლი მომეკიდა: გრიგოლ ორბელიანის ლექსები იყო, რუსულად თარგმნილი. ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს საქართველო იწვოდა... ნახევრად დანაცრებული და გარუჯული, ცეცხლს გამოგლეჯილი წიგნი თბილისში ჩამოსვლისთანავე იოსებ გრიშაშვილს გადავეცი, ორბელიანის მკვლევარს.

## სტუმრად სამშობლოში

— იცი, რა იყო გენერალი თავართქილაძე? შენ ვერ წარმოიდგენ! მხედართმთავრის ნიჭი და თანდაყოლილი შორსმჭვრეტელობა ჰქონდა, — იგონებს კლარა.

აი, ვინ ჩაუდგა სათავეში მათ დივიზიას 1942 წლიდან.

გერმანელთა სტალინგრადის დაჯგუფების მოსპობას ზედიზედ მოჰყვა



ახალი გამარჯვებები. 1943 წლის ნოემბერში, დღესასწაულებზე, თავართქილაძის დივიზიამ ამიერკავკასიაში დელეგაცია გამოგზავნა, სანამ ახალი ბრძოლებისათვის მზადება მიმდინარეობდა. ბაქოს, ერევანს, თბილისს უპატაკეს მოწინავე ფრონტელებმა საბრძოლო გამარჯვებები, ექვს-ექვსი დღე დაჰყვეს საქართველოსა, აზერბაიჯანსა და სომხეთში. გულუხვად „გაამზითვეს“ სტუმრად ჩამოსული მებრძოლნი ზურგის მშრომელებმა, ათასგვარი საჩუქრები გაატანეს.

მწერალთა კავშირის კლუბში იმ დღეს სახელოვან სტუმრებთან შესახვედრად იმდენი ხალხი შეიკრიბა, ნემსის ყუნწი არ ჩავარდებოდა. თავართქილაძის დივიზიის დევ-გმირ ვაჟკაცებს გვერდით სუსტი აგებულების ქალი ედგათ, ჩექმებში „ყელამდე ჩასული“, კლარა ხოჭოლავა, მაშინ უკვე სახელმოხვეჭილი „მებრძოლთა დედა“ (ვისი ჩექმებიც ბაქოს სასტუმროში, ფეხიდან გახდისთანავე ქრებოდა, რომ გაპრიალებული დაებრუნებინათ პატრონისათვის!).

## ყვავილების მიწა

ომის გამოცხადების დღესვე გაიწია კლარამ ფრონტისაკენ. არ უშვებდნენ, თავისი გაიტანა მაინც. დილაადრიან ნავთლუღში შეჩერდნენ ფრონტზე მიმავალი ავტომანქანები. ვაჟკაცები ჩამოხტნენ წუთით, თონის პურები აიტანეს მანქანაზე. კლარა არ გადმოსულა, მარტოდმარტო მიმჯდარი, თბილისს, მთაწმინდას გასცქეროდა განშორებისას.

უცბად, ბღუჯად დაუცვივდა კალთაზე ყვავილები, მინდვრის ყვავილები. მიწიან-ფესვიანად ამოგლეჯილი... ნავთლუღელი პატარა ბიჭები იქვე კრეფდნენ და ესროდნენ კლარას — სამხედრო ფორმაში გამოწყობილ უცნობ ქალს.

იციან კი მაშინდელმა ბავშვებმა, რა ლამაზი რამ მოიმოქმედეს?

სასოებით მოხვეტა ქალმა ყვავილების მიწა, ნამცეციც არ დაუტოვებია თავისი კაბის კალთაზე. ეს ჩემი დასამარხი მიწაა საქართველოდანო, — გაიხუმრა და უბეში შეინახა.

იქიდან მოყოლებული ვოლგისპირეთი იყო, თუ ბელორუსია, უკრაინა თუ ავსტრია — ყველგან მოიარა გულჯიბეში შენახულმა ნავთლუღის მიწამ. მიემსხვრეოდა შუშა, ახალში ჩაყრიდა. და ასე ატარა ბოლომდე სამშობლოს მიწა კლარამ, თუ სამშობლოს მიწამ ატარა, და შინ მშვიდობით მოიყვანა!

მაყვალა მრევლიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



თ. მურვანიძე



თ. კანანაძე



მ. სირბილაძე



ბ. ყარამნიშვილი

ყურძნისა და შამპანური ღვინოების და კონიაკის საერთაშორისო კონკურსისათვის

# ქალი და ვენახი

ჩვენში მევენახეობასა და მეღვინეობას უძველესი დროიდან მისდევენ, და რა გასაკვირია, თუ ქალის ფაქიზი ხელიც შეეხებოდა ამ კეთილშობილ საქმეს.

ამის დასადასტურებლად გამოჩენილმა ქართველმა მეღვინე-სპეციალისტმა გიორგი ბერიძემ შემდეგი გვიამბო: — პირველი ქართული სამარკო ღვინო სამეგრელოს მთავრის ქალიშვილმა, პრინცესა მიურატმა გამოუშვა. მას სიამოვნებით სვამდნენ სალხინოსა და ზუგდიდში, თბილისსა და პარიზში. რაკი სიტყვა სამეგრელოზე ჩამოვარდა, საინტერესოა აღვნიშნოთ, რომ კოლხიდაში ხარობს ვაზი „დედოფლის თითი“, რომელსაც ტკბილი და გემრიელი ყურძენი აქვს. აგრონომ ერ. ნაკაშიძის ცნობით, იგი გავრცელებული ყოფილა ხორში, ნოქალაქევში, გეჯეთში, ნაესაკოვოში, გულეიკარსა და სხვა სოფლებში.

— ქალის თითის მაგვარი ყურძნის არსებობა, — გვითხრა დოცენტმა ნ. გელაშვილმა, — მარტო მარცვლის ფორმაზე როდი მიგვითითებს. პირველ რიგში, ჩვენი აზრით, ეს სახელწოდება ქალის პატივისცემით არის ნაკარნახევი.

ამითვე უნდა აიხსნას, რომ ქალის სახელმა მეცხრამეტე საუკუნის სამოცდაათიან წლებში გამოხატულება ჰპოვა მუხრანული ღვინის ეთიკეტზე. ეს ღვინო „წმინდა ნინოს“ სახელწოდებით ვრცელდებოდა.

ზოგიერთ ცნობებს წავაწყდით კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საარქივო მასალებში. იმ მევენახეთა შორის, რომლებსაც ყირიმიდან გამოწერილი ასობით ვაზი დაურიგეს, მოხსენებულია მანანა ორბელიანი. იზაბელას, ბორდოს, პინოს, მადერასა და მუსკატის ღვინოების მომცემი ვაზები 1850-1851 წლებში გაუშენებია კახელ მევენახე ქალს მარიამ ივანეს ასულ ორბელიანსაც. მას სხვადასხვა გამოფენაზე ჯილდოებიც კი დაუმსახურებია.

1872 წელს მოსკოვში გაიმართა რუსეთის პოლიტექნიკური გამოფენა. „კარგი კახური ღვინისათვის“, როგორც ჟიურიმ ჩასწერა თავის დადგენილებაში, ვერცხლის მედალი მიენიჭა მევენახე ქალს ქ. მ. ანდრონიკაშვილს. ეს იმ დროს, როდესაც 4 წლის შემდეგ გამოცემულ პირველ ქართულ სამეურნეო წიგნში ლ. ე. ჯორჯაძე გულისტკივილით აღნიშნავდა წარსული გამოცდილების მწარე ეპიზოდს — გააშენა ვენახი, რომელიც 200 თუმნამდე დაუჯდა და 7 წელიწადს ყურძენი ვერა ნახა.

ეს უკულმართობა დიდი ხანია ისტორიას ჩაბარდა. საბჭოთა ხელისუფლების წლებში მეტად დაწინაურდა სოფლის მეურნეობის ეს წამყვანი დარგი. 63 ადმინისტრაციული რაიონიდან ამჟამად მევენახეობას მისდევს 53 რაიონი. თუ 1940 წელს რესპუბლიკაში დამზადდა 36 ათასი ტონა ყურძენი, 1962 წელს ეს ციფრი 206 ათას ტონამდე გაიზარდა. საქართველოს ღვინის ქარხნები ყოველწლიურად 6 ნახევარ მილიონ დეკალიტრამდე ღვინოს აწვდიან მომხმარებელს.

მარნების გარდა ქალები შრომობენ კონიაკის წარმოებაში, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში. 18 წელიწადია თბილისის კონიაკის ქარხანაში ლაბორატორიას ხელმძღვანელობს თინათინ მურვანიძე. თამარ კანანაძეს, მაყვალა სირბილაძეს, ბარბალე ხაჩიძეს კარგად იცნობენ მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში. ისინი სწავლობენ ვაზისა და ღვინის პროდუქტების ქიმიურ ბუნებას, ამას კი დიდი მნიშვნელობა ენიჭება ღვინის ხარისხობრივი მაჩვენებლების გასაუმჯობესებლად.

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მევენახეობის კათედრის დოცენტმა ნადეჟდა ჩახნაშვილმა თითქმის ოთხი ათეული წელიწადი მოახმარა მევენახეობის წინსვლას. 27 შრომის ავტორის — სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატის ნ. ჩახნაშვილის კოლეგაა მარიამ კობახიძე. იგი მეხუთე წელია კათედრის მუშაკებთან ერთად იღწვის შექმნას შემრგე და გემრიელი ღვინოები — „ქართლის რქაწითელი“, „მუხრანული“, „ჩინური“. „გორული მწვანე“. მან გამოჰყო საფუვრების სუფთა კულტუ-



ბ. ხაჩიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

რები, რაც წარმოებაში დაინერგა. მ. კობახიძის პრაქტიკული სახელმძღვანელო მიკრობიოლოგიაში სამჯერ გამოიცა. მის ხელში გაიარა 20.000-მდე სტუდენტმა. მარიამის ყოფილი მოწაფეები ოლღა გურული, ბარბარე ყარამნიშვილი, მერცია თარხნიშვილი და სხვები ქართული მარნის დამამშვენებელნი არიან. მეღვინეობაში შვილიშვილებიც მყავსო, ხუმრობს მ. კობახიძე და ასახელებს ნუნუ ხოსროშვილს, თორნიკე ლალიძეს და სხვებს.

„ოჯალეში № 24", „უსახელოური № 21", „ტვიში", „ცოლიკოური № 19" პოლინა ხეცურიანის სახელთანაა დაკავშირებული. ამჟამად იგი მუშაობს ღვინის № 1 ქარხანასთან არსებულ ღვინის მუზეუმის გამგედ. ძველი მეღვინე ქალი დღენიადაგ მზად არის გაგაცნოთ შვიდასი დასახელების 130.000 ბოთლი ღვინო.

მოწინავე მეღვინეები ბევრი გვყავს: საქართველოს სსრ დამსახურებული მეღვინე, წინანდლის ღვინის ქარხნის ტექნოლოგი ოლღა რამაზიშვილი, თბილისის შამპანური ღვინოების ქარხნის ლაბორატორიის გამგე თეოდორა კილაძე, თბილისის ღვინის № 1 ქარხნის ტექნოლოგი ბარბალე ყარამნიშვილი.

ამ თვეში თბილისში ტარდება ღვინისა და კონიაკის საერთაშორისო კონკურსი.

— რით ხვდებით ამ საინტერესო ასპარეზობას? — მივმართეთ ბ. ყარამნიშვილს.

— ასეთი საერთაშორისო კონკურსი, — განაცხადა მან, — საბჭოთა კავშირში პირველად ეწყობა. თბილისში განსჯიან მრავალი ქვეყნის ღვინის, კონიაკისა და შამპანურის ღირსებას და გამარჯვებულთ პრიზებით დააჯილდოებენ. საქართველო კონკურსზე წარადგენს 70-მდე სახეობის სასმელს. ჩვენი ქარხანა 28 მარკის ღვინოს უშვებს. დეგუსტატორები დააჭაშნიკებენ ჩვენს საწარმოში ჩამოსხმულ ღვინოებს, ესენია: „წინანდალი № 1", „გურჯაანი № 8", „მუკუზანი № 4", „ახმეტა", „კარდანახი", „ხვანჭკარა № 120".

ვიმედოვნებთ, კონკურსის პრიზებს ქართული ღვინოებიც დაიმსახურებს.

ივანე ჯავახიშვილი

პ. ხეცურიანი



# თითქოს რაღაცას უსმენს...

ჩანახატი



მამა ჯავრობდა—ექვსი შვილი გაიკრიფა სახლიდან თავის ნებით. ზოგმა ასე დაიბარა — ყოველთვის ამოვალო, ზოგმა წერილების ხშირად გამოგზავნა აღუთქვა, ზოგმა ისიც თქვა: ქალაქში ცოტახანს დავრჩები, აბა, შუა სურებს როგორ მივატოვებო.

დარჩა აპოლონ რამიშვილი ორი ქალიშვილის ამარა. ნათელა წარმოიზარდა. შვიდი კლასი დაამთავრა, სოფელში ლამაზ გოგოდ ითვლება. მკვირცხლია და მშრომელი, ხან ყანაში ხედავენ, უფრო კი სკებთან დილაობით.

ნათელამ იცის, სახლში ვერ ახსენებს, რომ ქალაქისკენ მიუწევს გული. არ ასვენებს ეს ფიქრი და ამიტომ გოგოებს მიჰყვება მაყვალზე.

—ნათელა, აუუ.. წავიდეთ შინ, — ეძახიან.

ნათელა ფიქრობს, როგორ წავიდეს ქალაქში.

— რას გაშტერებულხარ? — უთხრეს და გამოარკვიეს.

— იელს დავეძებ, — თქვა ანგარიშმიუცემლად.

— იელი რად გინდა?

— მომწონს. იელისფერი კაბა მინდა მქონდეს, გოგონები იცინიან, სად იშოვნონ ახლა იელისფერი კაბა.

— მე თვითონ მოვქსოვ, თბილისში წავალ, ვისწავლი ქსოვას, მერე თქვენთვისაც მოვქსოვ, ყველასთვის.

გოგოები, ალბათ, სახლში იტყვიან ამას, მერე მათი მამები შეხვდებიან მამამისს ყანაში. მამამისი გაიგებს, არაფერს იტყვის, ერთს ამოიოხრებს, შეურიგდება მის არჩევანსაც.

...შეურიგდა აპოლონ რამიშვილი მის არჩევანს. უფრო ადრე შეურიგდა, ვიდრე ნათელას ეგონა. ალბათ, იმიტომ, რომ მამას ესმის, ადამიანმა ის უნდა აკეთოს, რაც თვითონ სურს.

* * *

...ერთი დაზგიდან შოტლანკა ჩამოდის, მეტრი მეტრს ემატება. ქსოვილი ლამაზი ღია ფერისაა და მომხმარებლების დიდი მოთხოვნილებით სარგებლობს. მეორე დაზგიდანაც იგივე ქსოვილი იშლება, მესამე დაზგიდანაც ეს ქსოვილი მოსრიალებს, მეოთხეზე კი კაპრონი ელავს, თეთრი, ქათქათა. იგი რუსთავიდან მიღებული ძაფით იქსოვება.

აქ დაზგები ბატონობენ. ადამიანები ხმას ვერ სცემენ ერთმანეთს. საამქროებში ისეთი ხმაურია, რომ ნათელა რამიშვილის ბრიგადის თექვსმეტივე წევრი უსიტყვოდ, თვალებით ლაპარაკს მიეჩვია. ბრიგადირი თენგიზ ქებაძე მქსოველებთან რომ ჩაივლის, სახეზე ატყობს, ვის რისი თქმა უნდა. ნათელას მშვიდ სახეზე ბრიგადირი კითხულობს, რომ ყველაფერი წესრიგშია. ოთხივე დაზგა, რომლებზეც ნათელა იხრება და ხელს ავლებს, მოძველდა და ალბათ, სხვა პატრონის ხელში შეკეთებას მოითხოვდა, ნათელა რომ ასე არ უვლიდეს. პატარა რამე გაფუჭდება და სულაც არ უძახის ბრიგადირს ნათელა. წავიდა ის დრო, დაზგა რომ დადგებოდა და უქმად იყო, სანამ თენგიზ ქებაძე, სხვა დაზგით დაკავებული, ნათელამდე მიაღწევდა.

რემონტის ბევრი საიდუმლოება ნათელამ მალე აითვისა და წუთით არ აცდენს დაზგას. მიმღები საამქროდან ყოველთვის ატყობინებენ, რომ მის დაზგებზე ზეგეგმითი ქსოვილი მოიქსოვა, წუნმდებლები ყოველთვის უთვლიან, რომ ქსოვილს წუნი არა აქვს, პირველი ხარისხისაა.

ამიტომ აქვს ნათელას ასეთი მშვიდი სახე. სანდომიან, ლამაზ იერთან ერთად ეს სიმშვიდეც ამშვენებს. რომ გაჩერდე და უცქირო მის ლაღ, წყნარ მოძრაობას, წუთები ისე გაირბენს, თვალს ვერ მოწყვეტ. მერე წამოხვალ, თან რაღაც საფიქრალს წამოიღებ, საკუთარ ფიქრებს დააწყობ და ამ ქალიშვილის 24 წელს წარმოდგენით გააგრძელებ. უთუოდ ასეთი ფიქრები ეწვია მხატვარ ელენე მაყაშვილსაც, როცა ნათელა რამიშვილის პორტრეტს ქმნიდა. თითქოს რაღაცას უსმენს, ისე დგას, ოდნავ წარბაწეული, თითქოს სურს, ყველა ხმა, რაც გარედან ესმის, გამოარჩიოს.

მისი სამუშაო კუთხე ფანჯრის სიახლოვეს არის. ფანჯარა მუდამ ღიაა და იქიდან ხის ტოტები ჩანს. ჩამავალი მზე ფანჯარას არ უყურებს, მაგრამ ფანჯრიდან ჩანს ხის ტოტებზე დაცურული სხივები. საამქროში ხმაურია, მაგრამ ფანჯარა ღიაა და ნათელას ბევრი რამ შეუძლია მოისმინოს ჭრიჭინების ხმა და მდინარე სუფსის ხმაური, საფეიქრო ტექნიკუმის მასწავლებლის გაკვეთილი, იმ საუბრების შინაარსი, რომლებსაც იგი, როგორც თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატი ამომრჩევლებთან ატარებს...

დაზგები სათითაოდ ეძახიან, ოთხივე თხოულობს ყურადღებას, ზოგჯერ ცოტა ხნით მასთან შედგომას. ყველასთან მიდის, ყველას აკვირდება, ყველას ხელს ავლებს. მაგრამ ფანჯარა ღიაა და დგას ისე, თითქოს კიდევ რაღაცას უსმენს.

კ. ლიაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ნეტა, ვისგან სწავლობს?

## ვინ ლაპარაკობს?

ერთ დღეს ჯიმ სმიტი არ წავიდა სკოლაში. მან დაურეკა თავის მასწავლებელს და ცდილობდა თავისი მამის ხმით ელაპარაკა.

— მეტად ვწუხვარ, რომ უნდა გითხრათ: სმიტი ავად არის, — სთქვა მან, — და არ ივლის სკოლაში ორ-სამ დღეს.

— ოჰ, მეც ვწუხვარ, ეს რომ მესმის, — უპასუხა მასწავლებელმა. — ვინ ლაპარაკობს?

— მამაჩემი, სერ, — უპასუხა ბიჭმა.

## თომი და მისი ამხანაგი

ა მ ხ ა ნ ა გ ი: თომ, გესმოდა ჩემი პასუხი დღეს? ცუდი იყო? მასწავლებელმა ერთიანი დამიწერა. მე კი ვფიქრობ, არ დამიმსახურებია ერთიანი.

თ ო მ ი: მეც ვფიქრობ, რომ შენ ის არ დაგიმსახურებია. შენ ერთზე ნაკლები დაიმსახურე.

## რატომ ტირი?

— რატომ ტირი, ნელი? — შეეკითხა პატარა გოგონას მამა.

— იმიტომ, რომ თომს აქვს არდადეგები, მე კი არა, — უპასუხა ნელიმ.

— შენ რატომ არა გაქვს არდადეგები?

— იმიტომ, რომ მე არ დავდივარ სკოლაში...

ინგლისურიდან თარგმნა
**მანანა ზაქაიძემ**

ლ ო რ ხ ე ნ:—დედიკო, მომეცი რა, ჩქარა ერთი მანეთი! ქუჩაში ქალი დგას და ხმამაღლა ყვირის.

დ ე დ ა: — აიღე, გენაცვალე. მაგრამ მაინც რას ყვირის ის საცოდავი ქალი?

ლ ო რ ხ ე ნ ი: — რას და ,,ნაყინი მანეთად, ნაყინი მანეთად!"

* * *

მასწავლებელი ეუბნება კლაუსს: სავარჯიშო კარგად გაქვს გაკეთებული, ოღონდ სიტყვა-სიტყვით ფრანცის სავარჯიშოს ჰგავს. რა უნდა ვიფიქრო?

კ ლ ა უ ს ი: — ის, რომ ფრანცსაც კარგად დაუწერია.

* * *

— ეს რა მესმის, კარლ? შენ თუთიყუშს საძაგელ სიტყვებს ასწავლი? — შეეკითხა დედა თავის ბიჭუნას.

— მე მხოლოდ იმ სიტყვებს ვეუბნები, რომლებიც მან არ უნდა თქვას, — უპასუხა ბიჭმა.

* * *

უ ფ რ ო ს ი დ ა: როგორ არ გრცხვენია ასეთი ჭუჭყიანი ყურებით სიარული?

პ ა ტ ა რ ა ძ მ ა: — რა ვქნა, ლორხენ, მე რომ სხვა ყურები არა მაქვს...

* * *

— რა გატირებს, ფრიცხენ?

— ჰუ.. ჰუ.. ჰუ.. შეცდომით ჩემი კარამელი შევჭამე.

— მერე და რად ტირი?

— მე მეგონა, ის კარლხენის იყო.

გერმანულიდან თარგმნა
**იზა ვაშაკიძემ**

ჩემმა ბავშვმა ტყუილი იცის, ჩემმა ერთადერთმა შვილიკომ. რა საშინელებაა! ის ხომ ჯერ ათი წლისაა და უმანკოა, როგორც ჩვილი ყრმა. შეჰყურებს სამყაროს ფართო ცისფერი თვალებით და ცრუობს. რა უნდა გამოვიდეს ამ ბავშვისგან? მაინც ვისგან სწავლობს ასეთ ტყუილებს? მამა ხომ სამუშაოს შემდეგ სულ თავს დასტრიალებს, გაკვეთილებს უმოწმებს და განუწყვეტლივ ეჩიჩინება: ადამიანმა ცხოვრებაში მხოლოდ სწორი გზით უნდა იაროსო. რამდენჯერ უთქვამს მამამისს ამ საძაგლისათვის:

ტყუილს მოკლე ფეხები აბია და ცრუპენტელას უფრო ადვილად დაეწევა კაცი, ვიდრე კოჭლ ძაღლსო... მახსოვს, მგონი, კოჭლი ძაღლიც კი დავუხატე, რომ ბავშვს უკეთ დაეხსომებინა. და აი, გეთაყვათ, ბავშვი მაინც ცრუობს. საოცარია, ვისგან დაეჩვია ამ ტყუილებს?

შარშან ორ-სამჯერ მომეჩვენა, თითქოს იცრუა. აი, მაგალითად, ერთხელ თქვა, სკოლაში ერთკვირიანი არდადეგები გამოაცხადეს, იმისთვის, რომ ბავშვებმა შეიგნონ, რა უმიზნო და ფუჭია უშრომლად ცხოვრებაო. ეს უცნაურად მომეჩვენა და მოვთხოვე:

— აბა, დაიფიცე, მიში!

მან დაიფიცა და მეც დავმშვიდდი. ,,ღმერთო ჩემო, — გავიფიქრე, — ჩვენს დროში იმდენ ახალ, თანამედროვე პედაგოგიურ პრინციპს აყენებენ... ალაჰმა უწყის, ეგებიც მართალია-მეთქი".

ერთხელ კიდევ დილის თერთმეტ საათზე დაბრუნდა სკოლიდან და ვკითხე:

— რა მოხდა, ჩემო ანგელოზო?

მიპასუხა: არაფერი ისეთი არ მომხდარა, უბრალოდ არითმეტიკისა და გეოგრაფიის გაკვეთილები გაცდა, რადგან მასწავლებლები ჯვარს იწერენო. ცოტა არ იყოს, უცნაურად მომეჩვენა, ორივე მასწავლებელი ერთდროულად რომ მართავდა ქორწილს და ისიც სწავლის პერიოდში. მაგრამ ბავშვი მიმტკიცებდა, ისინი ტყუპ დებზე ქორწინდებიანო. შედგება საერთო კოლექტიური ქორწილი და რაისაბჭოს ნებართვით მხოლოდ დილით შეიძლება მისი მოწყობაო.

ვუთხარი:

— მიში, დაიფიცე!

მან დაიფიცა და მე დავწყნარდი.

,, ღმერთო ჩემო, ახლა ყველაფერს სულ სხვანაირად აკეთებენ," — გავიფიქრე ჩემთვის. მაგრამ გუშინ გამოირკვა, რომ თურმე ბავშვს ტყუილი უთქვამს. ჰო, ცრუობს ეს ყაჩაღანა. არც ფანტაზიორობს და არც აზვიადებს. (რაც უფრო მისატევებელი იქნებოდა!) სამწუხაროდ, ტყუის ისე, უბრალოდ. მშობლებს გვითხრა, ისტორიაში ხუთიანი მივიღეო. ერთი საათის წინ კი გავიგე, ერთიანზე უპასუხნია, გაკვეთილი არ სცოდნია და პასუხი ასე დაუწყია: ,,განსხვავება მეფე ლუი მეცამეტესა და მეთოთხმეტეს შორის, როგორც ჩანს, ერთ ერთეულშიაო"... იგი დასვეს და ჟურნალში ჩაუწერეს ერთიანი. ჩვენ კი მოგვატყუა, ხუთიანი მივიღეო და თან ჩვილი ბავშვივით გულუბრყვილო, დიდრონი ცისფერი თვალებით შემოგვყურებდა. ერთი სიტყვით, მატყუარაა... რა დადგება მისგან, როდესაც გაიზრდება? თავზეხელაღებული ბანდიტი და მძარცველი. არა და, საინტერესოა, ვისგან სწავლობს ამ ტყუილებს?

ღმერთო დიდებულო, ჩვენ ხომ ის უზომოდ გვიყვარს, ცივ ნიავსაც არ ვაკარებთ! რასაც კი მოისურვებს, დაუყოვნებლივ ვუსრულებთ. ის ხომ ჩვენი ერთადერთი შვილია. მამამისს გაგიჟებით უყვარს, მიუხედავად იმისა, რომ მე უფრო მგავს. გასულ კვირას ძველი კინორევიუს ნახვა მოისურვა. სეანსები კი მხოლოდ დილის საათებში ეწყობოდა. მე მისი კლასის დამრიგებელს ბარათი გავუგზავნე, ვთხოვე, ბავშვი ათ საათზე გაანთავისუფლეთ, კბილის ექიმთან უნდა წავიყვანო-მეთქი. ჩემი ბიჭუნა გამოუშვეს სკოლიდან და თავს ისე ბედნიერად გრძნობდა, ისე იცინოდა კინოში, რომ თვალებზე ცრემლებიც კი მოადგა... მერე სამაგიერო რითი გადამიხადა? ტყუილებით ამავსო!

მზად ვარ მისი გულისთვის ციდან ვარსკვლავები ჩამოვკრიფო. მაგალითად, გუშინ, შინ რომ ვბრუნდებოდი, მაღაზიის ვიტრინაში შესანიშნავი პამიდორი დავინახე. გამახსენდა, ჩემი ანცი ბიჭი პამიდვრისათვის ჭკუას რომ კარგავს და გადავწყვიტე, რამდენიმე ცალი მეყიდა, მიუხედავად იმისა, რომ ახალი შემოსული იყო და საშინლად ძვირი ღირდა. თოთხმეტი ფორინტი გადავიხადე სამ პაწაწკინტელა პამიდორში. მივუტანე ბავშვს და ვუთხარი:

— მიში, ნახე, რა გიყიდე!

მკითხა, რა ღირსო.

— თოთხმეტი ფორინტი, — მივუგე და თან დავძინე: — მამაშენი რომ არ გაჯავრდეს, ვეტყვი, რვა ფორინტისაა-მეთქი. — ხომ იცით პამიდორში რამდენი ვიტამინია და ბავშვმა ერთ წამში გადასანსლა. განა მისთვის რამეს დავიშურებ? ამის შემდეგ ნახევარი საათიც არ იყო გასული, და უკვე მოიტყუა. ისტორიაში ხუთიანი მივიღეო. სინამდვილეში კი ერთიანი დაუწერეს. მადლიერების გრძნობის ნატამალი არ გააჩნია ამ ბავშვს! სულ ათი წლისაა, მხოლოდ ათი წლისა, და უკვე ტყუილების გუდაა.

არა, ის მაინც გამაგებინა, ვისგან სწავლობს?

გერმანულიდან თარგმნა
**შ. ამირანაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პედიატრიის ანბანი

ახალი განყოფილება შეემატა ჩვენს ჟურნალს — „პედიატრიის ანბანი“.

აქ დაბეჭდილი წერილებიდან ახალგაზრდა დედები ბევრ საყურადღებო რჩევა-დარიგებას მიიღებენ.

„პედიატრიის ანბანი“ გვასწავლის, როგორ მოვუაროთ ბავშვს დაბადების პირველი დღიდან; როგორ აღვზარდოთ ჯანმრთელი, ლამაზი, შრომისმოყვარე ადამიანთა თაობა.

ამ განყოფილების მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად მოწვეული არიან რესპუბლიკის საუკეთესო პედიატრები.

„პედიატრიის ანბანს“ უხელმძღვანელებს მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ი რ ა კ ლ ი ფ ა ღ ა ვ ა.

## ბავშვის ორგანიზმის თავისებურება

პირველი საუბარი

შვილის ჯანმრთელობა მშობლის ბედნიერებაა. ოჯახი მტკიცეა და ერი უკვდავი, თუ მათი უმთავრესი საზრუნავი ბავშვთა სრულყოფილი აღზრდა და ჯანმრთელობის შენარჩუნებაა. საბჭოთა ქვეყანას შეუძლია იამაყოს პედაგოგთა და პედიატრთა სიმრავლით; ამ ყველაზე ჰუმანური პროფესიის ადამიანებს თავის დანიშნულებად მიაჩნიათ აღზარდონ „ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სული“.

ცხადია, მასწავლებელს ან ექიმს არ ძალუძს მუდამ ბავშვთან იყოს; შვილის უახლოესი აღმზრდელი და მისი ჯანმრთელობის ფხიზელი დარაჯი დედაა. მაგრამ იმისათვის, რომ აღვზარდოთ ბავშვი და ავაცილოთ ავადმყოფობა, არ კმარა მხოლოდ დედობრივი სიყვარული; საჭიროა მაღალი კულტურაც, მეცნიერების, კერძოდ, პედაგოგიკისა და პედიატრიის ზოგიერთ მიღწევათა ცოდნა და ცხოვრებაში გატარება. უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია დედამ იცოდეს, რა თავისებურებებით ხასიათდება ბავშვის ორგანიზმი; წინააღმდეგ შემთხვევაში, ძნელი იქნება მისი წესიერი მოვლა და დაავადების თავიდან აცილება.

წინათ ბავშვს უყურებდნენ, როგორც ზომებში შემცირებულ მოზრდილს. შემდეგში გამოირკვა, რომ განსხვავება გაცილებით მეტია. დავაკვირდეთ მცირე ასაკის ბავშვს და ადვილად შევამჩნევთ, რომ ის მხოლოდ ზომით კი არაა პატარა, არამედ განსხვავებული აქვს აღნაგობაც ანუ სხეულის ნაწილთა პროპორცია! ტანთან შედარებით თავი დიდი აქვს, ხელ-ფეხი მოკლე. ბავშვს გაცილებით ხშირი აქვს მაჯა, სუნთქვა. გონებრივ განვითარებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია!

თვით დაავადებანი და მათი მიმდინარეობა ბავშვებში თავისებურია: ზოგი მათგანი — რაქიტი, ექსუდაციური დიათეზი, ზოგიერთი კრუნჩხვითი მდგომარეობანი მხოლოდ ბავშვებისთვისაა დამახასიათებელი. სამაგიეროდ, ჰიპერტონული დაავადება, ათეროსკლეროზი, გულის ინფარქტი და სხვა ბავშვებში, საბედნიეროდ, არ გვხვდება. არსებობს მთელი რიგი დაავადებანი, რომლებიც გვხვდება მოზრდილებშიც და ბავშვებშიც, მაგრამ მათი მიმდინარეობა და გამოსავალი სხვადასხვაა. ფილტვების ანთება ერთ წლამდე ბავშვებში ხშირად მთავრდება სიკვდილით, მოზრდილებში — ფრიად იშვიათად. რევმატიზმი გულს ბავშვებს უფრო მეტად უზიანებს; დიზენტერიის დროს ბავშვის ორგანიზმში ძალიან სწრაფად ვითარდება მოშხამვა ანუ ინტოქსიკაცია: ანგინა ხშირად რთულდება კრუნჩხვებით. სამაგიეროდ, ბავშვის გული უფრო გამძლეა ინფექციური დაავადებებისა და მაღალი ტემპერატურის მიმართ.

ამრიგად, ბავშვის ორგანიზმი განსხვავდება მოზრდილისაგან, როგორც აღნაგობით და სასიცოცხლო პროცესებით, ისე დაავადებათა სახეობით და მიმდინარეობით. ბავშვის ორგანიზმის ძირითადი თვისებებია: მუდმივი ზრდა-განვითარება, ნივთიერებათა გაძლიერებული ცვლა, ნაკლები გამძლეობა სხვადასხვა ზემოქმედების მიმართ; ავადმყოფური პროცესების სწრაფი განვითარება და მოშხამვის ანუ ინტოქსიკაციის სიხშირე. სამაგიეროდ, წესიერი მკურნალობისას ბავშვის განკურნება უფრო სრულყოფილია, ვიდრე მოზრდილის, განსაკუთრებით კი, ხანშიშესული ადამიანისა.

ბავშვობის ასაკი, როგორც ეს მიღებულია, გრძელდება 15-16 წლამდე. მიუხედავად ამისა, ყოველი მშობელი დაგვეთანხმება, რომ ბავშვობის ყოველი ცალკეული ასაკი განსხვავდება ერთიმეორისაგან: ერთი თვის ბავშვი აღარ გავს ერთი დღის ახალშობილს, 15 წლის ჭაბუკი 10 წლის ყრმას. აქედან გამომდინარე, მეცნიერებამ საჭიროდ სცნო, ბავშვობის ასაკი დაეყო კიდევ ცალკეულ პერიოდებად, ვინაიდან ყოველ პერიოდს აქვს გარკვეული თავისებურებანი; ეს კი მოითხოვს განსხვავებულ მოვლას, რეჟიმს და დაავადების შემთხვევაში — შესაფერ მკურნალობას.

ადამიანის სიცოცხლის პირველი ანუ მუცლადყოფნის პერიოდი იწყება ჩასახვის მომენტიდან, გრძელდება 9 თვე.

ეს პერიოდი ხასიათდება გასაოცრად სწრაფი ზრდით, რის გამოც ჩანასახი მალე იღებს ადამიანის აღნაგობას. ამ პერიოდში ხდება მემკვიდრეობითი თვისებების გადაცემა. ამავე დროს შეიძლება ჩამოყალიბდეს სიმახინჯეები, ზოგიერთი შთამომავლობითი დაავადება. ორსული ქალის მძიმე ფიზიკურმა დატვირთვამ, უარყოფითმა სულიერმა განცდებმა, მავნე ჩვევებმა—თამბაქოს წევამ, ალკოჰოლიზმმა, სხვადასხვა დაავადებებმა შეიძლება უარყოფითი გავლენა იქონიოს ნაყოფის განვითარებაზე. ამიტომ ორსულობის ხანაში ქალი უნდა ვარიდოთ მავნე ზემოქმედებას და მოვაშლევინოთ ცუდი ჩვევები.

დაბადებიდან ორ-სამ კვირამდე — ახალშობილობის პერიოდია. ახალშობილი სრულიად უსუსურია, დაუხმარებლად მას სიცოცხლე არ შეუძლია. სუსტად აქვს განვითარებული ნერვული სისტემა, არ ძალუძს შეინარჩუნოს სხეულის მუდმივი ტემპერატურა. — ამიტომაა, რომ ძლიერ გამთბარ ოთახში მისი სხეულის ტემპერატურა მოიმატებს, სიცივეში — დაიკლებს. კანი და ლორწოვანი გარსი მას ძლიერ ნაზი აქვს. ფილტვები საკმარისად არ ნიავდება.

ახალშობილის სიცოცხლის შენარჩუნებისათვის აუცილებელია მაქსიმალური სისუფთავე. ძუძუთი წესიერი კვება და საჭირო გარეგანი ტემპერატურით უზრუნველყოფა. ახალშობილთა დაავადებანი შეიძლება დაიყოს სამ ჯგუფად: თანდაყოლილი — ათაშანგი, ძლიერი სისხლნაკლებობა (გამოწვეული დედისა და ნაყოფის სისხლის შეუსაბამობით), სიმახინჯეები და სხვა; დაავადებანი, დაკავშირებული მშობიარობის მსვლელობის დარღვევასთან — მოხრჩობა ანუ ასფიქსია, ტვინში სისხლის ჩაქცევა, მოტეხილობანი; მესამე ჯგუფს შეადგენს შეძენილი დაავადებანი, რომელთა შორის ყველაზე ხშირი და მძიმეა სისხლის მოწამვლა ანუ სეფსისი. დროული მკურნალობით, უმეტეს შემთხვევაში, შეიძლება დაავადებული ბავშვის გადარჩენა.

ახალშობილობა თანდათანობით გადადის ძუძუმწოვრობის პერიოდში, რომელიც გრძელდება ერთ წლამდე. ამ ხნის განმავლობაში ბავშვი ენერგიულად მატულობს წონაში და სიგრძეში, ეწყება კბილების ამოჭრა; სწრაფად ვითარდება მისი ნერვული სისტემა, ეჩვევა ჯდომას, ცოცვას, სიარულს, გამოხატავს სიხარულს, შიშს, წარმოთქვამს ცალკეულ სიტყვებს. დაავადებებიდან უფრო ხშირია—რაქიტი, ექსუდაციური დიათეზი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფილტვების ანთება, კუჭ-ნაწლავის აშლილობანი, მიდრეკილება კრუნჩხვებისა და მენინგიალური მოვლენებისადმი. ამ დაავადებათა თავიდან აცილება, უმეტეს შემთხვევაში, შესაძლებელია სუფთა ჰაერის ფართო გამოყენებით, რეჟიმის დაცვით და, რაც მთავარია, ბუნებრივი ანუ დედის რძით კვებით. ხელოვნურ კვებაზე მყოფი ბავშვი მუდამ საფრთხის ქვეშაა: მას ადვილად ემართება ყველა დაავადება და მკურნალობასაც ძნელად ემორჩილება.

სარძეო კბილების ანუ სკოლის წინა პერიოდში, რომელიც 6-7 წლამდე გრძელდება, საყურადღებოა ბავშვის ფსიქიკისა და მოძრაობის შემდგომი განვითარება. ამ პერიოდში ხშირია მწვავე გადამდები სნეულებანი — წითელა, ყივანახველა, ჩუტყვავილა, დიფტერია, ყბაყურა. ამ დაავადებათა თავიდან აცილება ან მსუბუქად გადატანა შესაძლებელია სათანადო აცრების მეშვეობით.

6-დან 12-13 წლამდე ასაკს ყრმობის პერიოდი ჰქვია. ამ დროს ბავშვს აღენიშნება ყურადღების უნარის გახანგრძლივება, მეხსიერების სიმახვილე და აზროვნების გაღრმავება. სკოლის ჰიგიენური რეჟიმის დარღვევის შემთხვევაში, ადვილად ვითარდება ხერხემლის გამრუდება ანუ სკოლიოზი, სისხლნაკლებობა, ნერვული სისტემის გადაქანცვა. ამავე პერიოდში ხშირია რევმატიზმი, ასთმა, ტუბერკულოზის ჯირკვლოვანი ფორმა, თირკმელების დაავადებანი.

სქესობრივი მომწიფების პერიოდში, რომელიც ქალებს ვაჟებთან შედარებით 1-2 წლით ადრე ეწყებათ, ყურადღებას იპყრობს გაძლიერებული ზრდა, მეორადი სქესობრივი ნიშნების განვითარება, ერთგვარი აღგზნებულობა, თავშეუკავებლობა. ამ ასაკში ხშირია ე. წ. ფუნქციური დაავადებანი — გულის ნევროზი, ჩივილები სუნთქვის უკმარობაზე, მენსტრუაციის დარღვევა. ზოგჯერ აღინიშნება ტუბერკულოზური პროცესის გამწვავება მძიმე მიმდინარეობით. ამავე პერიოდში შეიძლება გამოვლინდეს ისეთი მძიმე ნერვული და ფსიქიური ავადმყოფობანი, როგორიც არის ეპილეპსია და შიზოფრენია.

სქესობრივი მომწიფების ხანაში ბავშვს განსაკუთრებული მზრუნველობა ესაჭიროება. აუცილებელია გაძლიერებული კვება, სპორტი და სხვადასხვა აღმზრდელობითი ღონისძიებების ჩატარება.

დაბოლოს, ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ ბავშვის ორგანიზმის თავისებურება სრულიად არ წარმოადგენს მიზეზს ამა თუ იმ დაავადების განვითარებისათვის; განა სავალდებულოა ახალშობილს დაემართოს სეპსისი. ან 7-8 წლის ბავშვს — რევმატიზმი?

მაგრამ მაინც ყველა მშობელი ვალდებულია ზოგადად მაინც იცნობდეს ბავშვთა ასაკობრივ თავისებურებებს, დაავადებებს, რომლებიც ბავშვს ემუქრება სიცოცხლის პირველ წლებში. ამ მიზანს ისახავს სწორედ ჩვენი „პედიატრიის ანბანი" და ნომრიდან ნომერში ჩვენც ამ საკითხებზე ვისაუბრებთ.

პროფესორი **ირაკლი ფაღავა**

# ვისაუბროთ ბავშვის საკითხებზე

## თქვენი შვილი სკოლაში მიდის...

პირველ სექტემბერს თქვენი შვიდი წლის ბავშვი სკოლის კარებს შეაღებს. ამ დღიდან მისთვის იწყება ახალი ცხოვრება. მომზადებულია თუ არა ის ახალი გარემოს, ახალი ურთიერთობის, სულ სხვანაირი რეჟიმის შესახვედრად?

მართალია, რადიო, კინო, ტელეხედვა, ოჯახში წიგნებისა და გაზეთების ფართო გამოყენება ძალიან ამაღლებს ბავშვის აზროვნების დონეს, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ბავშვი მზადაა სწავლის დაწყებისათვის.

სკოლაში შესვლამდე ბავშვი ცდილობს ისწავლოს ანბანი, წაიკითხოს წიგნი, დაწეროს ნაბეჭდი ასოები. სწავლის ინტერესი კიდევ უფრო ღრმავდება, როცა ბავშვს ვესაუბრებით სკოლის შესახებ, ვუამბობთ, რომ სკოლაში გაკვეთილების დაწყების წინ ირეკება ზარი, საკლასო ოთახში დგას მერხები, შევუძენთ ფორმას, ვუყიდით ჩანთას, წიგნებს. ყოველივე ეს აყვარებს სწავლას და ბავშვი ხალისიანად მიდის სკოლაში.

პირველსავე დღეს ბავშვი სკოლაში უნდა გავგზავნოთ სასწავლო ნივთებით (დედა-ენა, არითმეტიკა, რვეულები, წვერწათლილი ფანქრები, კალმისტარი, ჩხირები).

სკოლაში პირველად მისული მოსწავლე გამოუცდელია, არ არის დაუფლებული სკოლის წესებს, დავალებათა ზუსტად შესრულებას. ამაზე პირველ ხანებში მაინც მშობლებმა უნდა იზრუნონ.

მასწავლებლის დავალების რამდენჯერმე შეუსრულებლობა მოსწავლის წარუმატებლად სწავლასა და უდისციპლინობას იწვევს.

ეს რომ არ მოხდეს, თავიდანვე უნდა მივაჩვიოთ ბავშვი ფაქიზად იქონიოს სასწავლო ნივთები, დავეხმაროთ, სუფთა ქაღალდი გადააკრას წიგნებსა და რვეულებს. კარგი იქნება, თუ ბავშვს რვეულების ჩასაწყობად ყდას შევუძენთ, ხოლო კალმისტრის, კალმებისა და ფანქრებისათვის — პენალს.

ოჯახში მოსწავლეს სამეცადინოდ უნდა გამოვუყოთ გარკვეული ადგილი. დავდგათ მისი სიმაღლის შესაფერი მაგიდა, სადაც დალაგებული იქნება სასწავლო ნივთები.

ერთ-ერთი პირველი მოთხოვნა, რასაც სკოლა მოსწავლეს უყენებს, სანიტარიისა და ჰიგიენის წესების დაცვაა.

ბავშვი სკოლაში ფაქიზად ჩაცმული უნდა გავუშვათ. მოსწავლეს კლასში ყოველდღიურად ათვალიერებენ და აღნიშნავენ მის სისუფთავესა და შეხედულებას. მოსწავლემ სკოლაში მისვლის პირველი დღიდანვე უნდა იგრძნოს სანიტარიისა და ჰიგიენის წესების ზედმიწევნით შესრულების პასუხისმგებლობა. ამ მოთხოვნას მშობელმა ყურადღება უნდა მიაქციოს.

სწავლისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ბავშვის ფიზიკურ მდგომარეობას. სასკოლო მუშაობა ბევრადაა დამოკიდებული შრომის უნარზე. ჯანმრთელი ბავშვი დაუღალავად დასძლევს საკლასო დავალებას. ფიზიკური სისუსტე ხელს შეუშლის დავალების ყოველდღიურ შესრულებაში, გამოიწვევს ინტერესის დაკარგვას სწავლისადმი და მისი წარმატებაც ქვეითდება.

სკოლაში შესვლამდე უნდა ვეცადოთ განუვითაროთ ბავშვს მკაფიო მეტყველება, სწორი ქართული, გავაფართოოთ მისი ლექსიკა, წავახალისოთ, რათა მოგვიყვეს მიღებული შთაბეჭდილებები, ზღაპრები, მოთხრობები; ვასწავლოთ ლექსები, იგავები, ანდაზები და გამოცანები.

ყურადღება უნდა მივაქციოთ, რომ ბავშვმა მკაფიოდ გამოთქვას სიტყვები და ბგერა სიტყვაში, თორემ მისი არასწორი მეტყველება შეიძლება ხელისშემშლელი აღმოჩნდეს წერა-კითხვის შესწავლისას.

სკოლაში შესვლამდე ბავშვს უნდა მივცეთ რაღაც წარმოდგენა მათემატიკაზე. ვავარჯიშოთ კონკრეტულ საგნებზე 10 რიცხვის ფარგლებში, ზეპირ პირდაპირ და უკუთვლაში პირველი ათეულის მოცულობით.

ბავშვები ბუნებით აქტიურები არიან. მათი აზროვნება კონკრეტულობითა და თვალსაჩინოებით ვანირჩევა. ამიტომ თვლა-ანგარიშის სწავლება ისე უნდა მოეწყოს, რომ ანგარიშის დროს ბავშვს საშუალება ჰქონდეს ხელით შეეხოს საგნებს, სათვლელ მასალას, დახატოს, გამოძერწოს, გამოჭრას.

ბავშვის ყოველმხრივი განვითარების ერთ-ერთი საშუალებაა ბუნების გაცნობა. პირველი კლასის მოსწავლეებზე დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ განვითარებულ და კარგი წარმატების მქონე ბავშვებს ირგვლივ არსებულ ცხოვრებაზე და ბუნების მოვლენებზე დაკვირვების საკმაო გამოცდილება აქვთ. სოფლად მცხოვრები ბავშვები ახლოს არიან ბუნებასთან, ქალაქის ბავშვებთან კი სათანადო მუშაობას ატარებენ საბავშვო ბაღში აღმზრდელები და ბავშვებს მკაფიო წარმოდგენა აქვთ ყვავილებზე, ბალახზე, ბუჩქებზე, ხეებზე, ფრინველებზე, ცხოველებზე. იციან მორწყვისა და მარგვლის მნიშვნელობა. იციან, რა სარგებლობა მოაქვთ ადამიანისათვის შინაურ ცხოველებს, ფრინველებს

სკოლაში შემსვლელი ბავშვისათვის კარგია ექსკურსიის მოწყობა, გასვლა მინდორში, ტყეში, ტბაზე, კოლმეურნეობაში. ასეთი გასეირნება-ექსკურსიები კარგად მოქმედებს ბავშვის ნერვულ სისტემაზე, აწრთობს ორგანიზმს, ავითარებს აზროვნებას, დაკვირვების უნარს.

პირველ კლასში შემსვლელ ბავშვს უნდა ვასწავლოთ, რომ უფროსის კლასში შემოსვლისას ფეხზე უნდა ადგეს და არ დაჯდეს, სანამ უფროსისაგან ნებართვას არ მიიღებს; უფროსებთან ლაპარაკის დროს იდგეს ხელებჩაშვებული; კლასში გაკვეთილზე იყოს ყურადღებით; ყური უგდოს მასწავლებელს და შეასრულოს ყველა მისი მითითება.

მივაჩვიოთ ბავშვი უფროსის მოთხოვნის ერთხელ თქმით შესრულებას. ბრძანებას ორჯერ არ იმეორებენ.

უფროსებთან და ამხანაგებთან ურთიერთობაში იხმაროს თავაზიანი სიტყვები: „გმადლობთ", „დაბრძანდით", „მობრძანდით", „თუ შეიძლება".

ვასწავლოთ ბავშვს გამოთქვას თავისი აზრი გასაგებად, მკაფიოდ. ყურადღება მივაქციოთ არა მხოლოდ იმ სიტყვებს, რომელსაც ბავშვი წარმოთქვამს, არამედ მისი სახის გამომეტყველებასაც.

თუ ბავშვს არ უვლია საბავშვო ბაღში, ოჯახში უნდა შევუქმნათ ისეთი პირობები, რომ მასთან მოვიდეს ერთი ან ორი ამხანაგი მაინც, რომ ბავშვი შეეჩვიოს კოლექტივში ყოფნას, მათთან ერთად შეთანხმებულად ითამაშოს, ათვალიეროს წიგნები, არ იჩხუბოს.

ბავშვში შრომითი ჩვევებისა და უნარის გამომუშავება უნდა ხდებოდეს ჯერ კიდევ ადრე, სკოლაში შესვლამდე, ეს გაუადვილებს მას ცხოვრებასა და სწავლას. სიძნელე, რომელიც პირველკლასელს ხვდება სწავლისას, შედეგია ოჯახში არასწორი აღზრდისა. ზოგჯერ მშობლები ანებივრებენ ბავშვებს, არ იზიდავენ ოჯახურ შრომა-საქმიანობაში. მოძრაობათა სისწრაფე, მოხერხება და მოსაზრება შრომა-საქმიანობისა და ვარჯიშის შედეგად ვითარდება. წერის ლამაზი ჩვევის გამოსამუშავებლად აუცილებელია ბავშვს განვითარებული ჰქონდეს თითების წვრილი კუნთები. ამიტომ საჭიროა მივცეთ მას შესაძლებლობა იმუშაოს ხელით: თვითონ ჩაიცვას, გაიხადოს, დაიბანოს, გააკეთოს ქაღალდისაგან, მუყაოსგან სხვადასხვა საგანი, გამოჭრას, დააწებოს, გამოძერწოს.

ბავშვი ბუნებით ცნობისმოყვარეა, მას იზიდავს დიდების მოქმედება, უფროსების წაბაძვით თვითონაც უნდა აკეთოს ყველაფერი და, აი, აქ ეყრება საფუძველი შრომის მოყვარეობას და დამოუკიდებლობას. ექვსი-შვიდი წლის ბავშვს უკვე შეუძლია წესრიგში მოიყვანოს სათამაშო კუთხე, შემდეგ კი—სამუშაო. მას უყვარს სუფრის გაშლა, ჩაის ჭურჭლის გარეცხვა, გამშრალება, სუფრაზე კოვზების დალაგება და სხვა.

შრომითი დავალება ბავშვს მიმზიდველად და საინტერესოდ უნდა მივცეთ, მაგრამ ამავე დროს თავიდანვე უნდა შევაჩვიოთ აკეთოს არა მხოლოდ ის, რაც მისთვის საინტერესოა, არამედ ისიც, რაც აუცილებელია და საქმე ბოლომდე მიიყვანოს.

ჯანმრთელობა და წარმატებით სწავლა დამოკიდებულია შრომისა და დასვენების სწორ შეფარდებაზე. აუცილებელია ბავშვს ოჯახში შევუქმნათ რეჟიმი, სწორი განრიგი. გამოვუმუშაოთ მას რიტმის გრძნობა, აკეთოს ყველაფერი დადგენილ დროში: იმეცადინოს, დაიძინოს და გაიღვიძოს ერთსა და იმავე დროს.

პირველკლასელი მოსწავლე იძინებს ღამის 9 საათზე. მას დღეღამეში უნდა ეძინოს 10-11 საათი. პირველ ხანებში დილაობით დედა შეახსენებს ბავშვს, რომ სკოლაში დაგვიანება არ შეიძლება. შემდეგ კი მას ეს ჩვევა ისე განუმტკიცდება, რომ შეხსენება აღარც იქნება საჭირო.

**მ. შუბლაძე,**

პედაგოგიკის მეცნიერებათა ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი, სკოლის დამსახურებული მასწავლებელი.

# როგორ მოვიშოროთ ჭორფლი და პიგმენტური ლაქები

გაზაფხულის კაშკაშა მზისაგან ქერათმიან გოგონებსა და ვაჟებს ხშირად უჩნდებათ წვრილი, მოყავისფრო პიგმენტური ლაქები — ჭორფლი. იგი ძირითადად ლაგდება სხეულის ღია ნაწილებზე, კერძოდ სახეზე, გულმკერდსა და ზოგჯერ — კიდურებზეც. ჭორფლი არ იძლევა არც წვის და არც ქავილის შეგრძნებას და მხოლოდ კოსმეტიკურ დეფექტად ითვლება. მისი წარმოშობის მიზეზად აღიარებულია მზის ულტრაიისფერი სხივების მოქმედება და ორგანიზმის მიდრეკილება.

რადგანაც ჭორფლის მკურნალობა დროებით შედეგს იძლევა, ამიტომ მთელი ყურადღება უნდა გამახვილდეს მის პროფილაქტიკაზე. იმ პირებმა, რომლებსაც ჭორფლისადმი აქვთ მიდრეკილება, საჭიროა გაზაფხულის პირველი დღეებიდანვე იხმარონ ე. წ. სპორტული ანუ ფოტოდამცველი კრემები, ატარონ შავი სათვალეები, ზაფხულში იხმარონ თეთრი ან ფერადი ქოლგა ან განიერი ჭილის ქუდი. მზეზე გასვლის წინ კარგია ფოტოდამცველი კრემების წასმა (მაგალითად, „სტარტი", „ლუჩი" ან „კრემ ოტ ზაგარა"), ზემოდან გადაისვით პუდრი, რომელშიც დამატებულია დამცველი თვისების მქონე ნივთიერებები: სალოლი, ტანინი ან თეთრი ქინაქინა.

თუ ჭორფლი უკვე გაქვთ, უნდა იხმაროთ ამქერცლავი და გამათეთრებელი საშუალებანი. კანი აიქერცლეთ საექიმო კოსმეტიკურ კაბინეტში, შემოდგომაზე ან ზამთარში. ნაზი აქერცვლისა და გათეთრების მიზნით კარგ შედეგს იძლევა კრემები: „მეტამორფოზა", „ვესნა", „ჩისტოტელი" და სხვა, რომლებიც 3 პროცენტამდე თეთრ სინდიყს შეიცავს. მათი ხმარება შეიძლება მხოლოდ 5-6 დღეს, შემდეგ უსათუოდ შეისვენეთ 3-4 დღეს და კვლავ 5-6 დღეს იხმარეთ, ვიდრე კანი არ აიქერცლება. შესვენების პერიოდში კარგია, თუ იხმართ გამწმენდ ხსნარს, რომელიც თქვენ თვითონ შეგიძლიათ შინ დაამზადოთ: ერთ ღვინის ჭიქა ძმარს დაუმატეთ იმავე რაოდენობის არაყი, შემდეგ მიუმატეთ ორი ლიმონის წვენი და ორი სუფრის კოვზი 3-პროცენტიანი წყალბადის ზეჟანგი. ამ სითხით სახე გაიწმინდეთ დღეში 3-4-ჯერ. თუ წვა ან ქავილი იგრძნოთ, მაშინ სითხეს დაუმატეთ ერთი სუფრის კოვზი ადუღებული და გაციებული წყალი. ასევე კარგია, თუ სახეს გაიწმენდთ კეფირით ან მჟავე მაწვნით, ახლად მოხარშული ტყემლით, პამიდვრით. მერე სახე ჩვეულებრივად დაიბანეთ.

გაზაფხულზე ხშირად პიგმენტური ლაქები ჩნდება სახეზე, რაც მომასწავებელია ორგანიზმში პიგმენტაციის დარღვევისა, ეს უკანასკნელი კი შედეგია ნივთიერებათა ცვლის მოშლის, ღვიძლის, თირკმლების, კუჭ-ნაწლავის დაავადების, შინაგანი სეკრეციის ჯირკვლების ფუნქციის მოშლის (კერძოდ, საკვერცხეების, ფარისებრი ჯირკვლის) და ავიტამინოზის.

ასეთი ლაქების წინააღმდეგ ბრძოლა ნაკლებ ეფექტურია, შეიძლება მხოლოდ მათი გაუფერულება. ძირითადში ეს იმავე წესით ხდება, როგორც ჭორფლით მკურნალობისას. დამატებით საჭიროა იმ დაავადებული ორგანოს მკურნალობა, რომლის მიზეზითაც არის წარმოშობილი ლაქები. ზემოთ აღნიშნულ ზომებთან ერთად კარგია ვიტამინ „C"-ს მიღება (ამ ვიტამინს ბლომად შეიცავს ასკილის ნახარში). რაც შეეხება ორსულობის პერიოდში წარმოშობილ ლაქებს, მათი მკურნალობისაგან თავი უნდა შეიკავოთ ორსულობისა და ძუძუს წოვების პერიოდში.

**თამარ რომანკო-დუდუჩავა,**

ექიმი-კოსმეტოლოგი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კაპიტალის სამყაროში

## მის კელი ვაჭრობს

ახალგაზრდობაში ბევრ ქალიშვილს ალელვებს ბალეტი. რომანტიკული ოცნებები და დიდების იდუმალი წყურვილი ერთნაირად იზიდავს ყველას. ამ მხრივ არც ახალგაზრდა ინგლისელი ქალები წარმოადგენენ გამონაკლისს.

სახელგანთქმულ სამეფო ბალეტის დასში მოხვედრა არც ისე იოლია. მაგრამ არც გაზეთებში გამოქვეყნებულ ალტაცებულ ქება-დიდებასა და პირველ გვერდებზე მოთავსებულ ფოტოსურათებზე ოცნებასთან გამომშვიდობებაა ადვილი. ამიტომ აბიტურიენტთა შერჩევის დროს დაწუნებული, სასოწარკვეთილებამდე მისული ბევრი ქალიშვილი თანხმდება ვინმე მის მარგარეტ კელის მიერ შეთავაზებულ წინადადებებზე.

წარსულში უიღბლო ბალერინა, ახლა უკვე 50 წლის „მის ბლუბელი", როგორც მას ამერიკული ჟურნალი „ტაიმი" უწოდებს, 16-18 წლის გულუბრყვილო ქალიშვილებს ურჩევს შევიდნენ მის „მოცეკვავეთა დასში", რომელსაც მეტად ლირიკული სახელწოდება აქვს —„ცისფერი ზანზალაკები". ამ დასში შემსვლელს მხოლოდ ერთი გამოცდა აქვს ჩასაბარებელი: ლამაზი უნდა იყოს.

მის კელის „ცისფერი ზანზალაკები", „თავისუფალი სამყაროს" ყველაზე ფეშენებელური ჰარამხანაა. ხანგრძლივი და საკმაოდ მძიმე კონტრაქტი დასში აერთიანებს ევროპის ყველა ეროვნების 120 ახალგაზრდა მოცეკვავე ქალს.

მოცეკვავეთა ცხოვრება შორს არის იმ იდეალისაგან, რომელსაც მათ „დასში" შესვლისას ჰპირდებიან. მართალია, ისინი ხანდახან კვირაში 70 დოლარის მიღებასაც ახერხებენ. მაგრამ ჰარამხანის დიასახლისისაგან სიცოცხლე მაინც გამწარებული აქვთ.

ერთ-ერთმა მოცეკვავე ქალმა ასე შესჩივლა „ტაიმის" კორესპონდენტს: „მაშინაც კი, როცა შეუძლოდ ვართ, მის კელი სცენაზე გვერეკება და მოითხოვს, გაიღიმეთო. ჩვენც მეტი რა დაგვრჩენია?"

მართლაცდა, ამ ქალიშვილებს ბევრი არაფერი დარჩენიათ, მხოლოდ ღიმილი და მორჩილება, ისევე, როგორც მათ წინამორბედ 6 ათას ქალიშვილს, რომლებმაც „მის ბლუბელის" ხელში გაიარეს, მათ არ გამოესარჩლება საზოგადოება, რომელშიც ყველა თავის საკუთარ „თავისუფალ" ბიზნესს აკეთებს. პირიქით, ფარისევლურად შეაქცევს ზურგს უკვე „გახუნებულ ზანზალაკებს", და სხვა არაფერი უნდა მის კელისაც, რომელიც თავის ბინძურ ბიზნესს სამეფო ბალეტის კულისებს მიღმა აკეთებს.

## პამპინეს „განკურნება"

ქალაქ პადუაში, წმინდა ანტონიოს აკლდამასთან უამრავი იტალიელი მორწმუნე და ტურისტი იყრის თავს.

ამას წინათ ამ ადგილს ეწვივნენ გერმანული ჟურნალის „ნეიე ბერლინერ ილუსტრიტეს" კორესპონდენტები. აი რას გვიამბობენ ისინი ამ მოგზაურობის შესახებ თავიანთი ჟურნალის ფურცლებზე:

ამ „მრევლის" „წმინდა მამებს" მართლაც სასწაულებრივი გამოგონებები აქვთ ხალხის გასაბრუებლად და ფულის დასატყუებლად. აბა, თავად განსაჯეთ, პირველი კლასის წირვისათვის ისინი მორწმუნეს 30 ათას ლირას ახდევინებენ, მეორე კლასის წირვისათვის— 20 ათასს, ყველაზე იაფი მღვდელმსახურება კი 10 ათას ლირადაა შეფასებული.

რაც შეეხება თვით წმინდა ანტონიოს, იგი მეტად ხელმოჭერილია „სასწაულებზე". ათასი გაუბედურებული ავადმყოფ-ხეიბრებიდან, უსინათლოებიდან, მუნჯებიდან და კეთროვნებიდან, რომლებიც მას შველას შესთხოვენ, წმიდა ანტონიომ მხოლოდ ერთი — იტალიის სამხრეთ რაიონში მცხოვრები ღატაკი მშობლების ოთხი წლის ქალიშვილი, პამპინა „განკურნა".

ამბობენ, ბავშვის „განკურნებაში" თანამედროვე ანტიბიოტიკებიც მონაწილეობდა, რომლებსაც „წმიდა მამები" პამპინას „ღვთაებრივი ნექტარის" სახით ასმევდნენო. გარეგნულად ყველაფერი ეს უფრო ეფექტურად გამოიყურებოდა. გოგონა „საკურნებელ" ძონძებში შემოსეს, რომელსაც „წმიდანის ხელი შეეხო" და ორიოდე კვირის შემდეგ პამპინაც სააქაოს დაუბრუნდა.

დედის განცვიფრებას, რა თქმა უნდა, საზღვარი არ ჰქონდა. მან ხომ მთელი თავისი უბადრუკი ქონება წამლებს შეალია სოფელში, მაგრამ უშედეგოდ.

„წმიდა მამებმა" განკურნების გასამრჯელოდ დედამისს თვით ბავშვი მოსთხოვეს. ასე იქცა პამპინა ნორჩ მონაზვნად.

ახლა ერთი მორწმუნე ქალი ხშირად დადის ძონძებში შემოსილ პატარა გოგონასთან (ეს ძონძები უკვე აღარ არის წმინდა). ჯდება მასთან ერთად მყუდრო ადგილას და ცხარე ცრემლების ფრქვევით ჰკოცნის თავის „განკურნებულ", მაგრამ სამუდამოდ დაკარგულ შვილს.

გარეკანის პირველ გვერდზე ლიანა ისაკაძე. ფერადი ფოტო დ. იაკობაშვილის, მეოთხე გვერდზე — პირველკლასელები. ფოტოეტიუდი ნ. ანთიძის.

| | | |
|---|---|---|
| რედაქტორი თეო აბაშმაძე | სარედ. კოლეგია: მ. ბარათაშვილი, ნ. გურგენიძე, მ. კალანდაძე (პ. მგ. მდივანი), ზ. კვაჭაძე, თ. ლაშქარაშვილი, ვ. სირაძე, ქ. სიხარულიძე, ნ. შალუტაშვილი, ლ. შენგელია (მხატ. რედაქტორი), ნ. ჯავახიშვილი. ტექრედაქტორი ქ. დემუროვა | საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა |

რედაქციის მისამართი — სულხან-საბას ქ. № 15. ტელ. 9-98-71. ფიზ. ფორმ. რაოდ. 1,75. პირობით ფორ. რაოდ. 5,3.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 17/VIII 65 წ. ქაღალდის ზომა 60×92. ტირაჟი 60 000. შეკვ. 2489. უე 00016. ფასი 80 კაპ.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა № 1, ლენინის ქ. № 14.

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი „საქართველოს ქალი".

Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал «Сакартвелос кали».

Издательство ЦК КП Грузии.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# აწყურელი მთქმელი ქალი

ლამაზი და ხალხმრავალი სოფელია აწყური. ძირითად მოსახლეობასთან ერთად, აქ რაჭველებიც ცხოვრობენ. უკვე შეჩვევიან ისინი მესხეთის ბარაქიან მიწას, გულმართლად ჩაბმულან კოლმეურნეობის საქმიანობაში.

როდესაც სოფლის საბჭოში მივედით და აწყურელი მთქმელები — ხალხური, მხატვრული სიტყვიერი შემოქმედების მცოდნენი მოვიკითხეთ, პირველად „დეიდა ვარა" დაგვისახელეს.

შემოვიდა ხალისიანი, სასიამოვნო გარეგნობის, მაღალი, ოდნავ ჭაღარაშერეული ქალი. გულღია ღიმილით, სიყვარულით მოგვიკითხა.

ვარა მელიტონის ასული ბაქრაძე, შინა განათლებით, 75 წლისა, აწყურში გადმოსულა რაჭიდან, სოფელ ჯოისუბნიდან (ზვარეთის თემი, ონის რაიონი). ძალიან უყვარს მხატვრული ლიტერატურა. ყველა პოეტის ლექსი ზეპირად იცის. ახლაც ბევრს კითხულობს.

— ბევრს არ დავიქადნი, წელიწადში 8-10 მანეთის წიგნს მაინც ვყიდულობ, — გვეუბნება ვარა, — მაგრამ წიგნი არა მაქვს სახლში: წავიკითხავ, მერე ზედ წავაწერ და საჩუქრად ვაძლევ სხვებს — იმათაც წაიკითხონ, გაიგონ, გაეცნონ ჩვენი მწერლების შემოქმედებას.

ვარას რეპერტუარში ზეპირსიტყვიერების ტრადიციული ნიმუშების გარდა ვხვდებით საკუთარ ლექსებსა და სოციალურ მოტივებზე აგებულ მცირე მოცულობის მახვილგონიერ მოთხრობებს.

ვარას მეუღლე მოსე ოქრომელიძე აწყურის ციხის მცველია. მოხუცები დიდი სიყვარულით უვლიან ისტორიულ ძეგლს.

— ხშირად ავდივარ ციხის წვერზე. მიყვარს იქიდან გადმოხედვა, ჩვენი ხალხის წარსულის წარმოდგენა! — გვეუბნება ვარა, ეს ახალგაზრდული სულის მეოცნებე მოხუცი.

სოფლად არც ერთი დღესასწაული არ ჩატარდება, რომ ვარა არ გამოვიდეს სიტყვით თუ ლექსით. იგი ყველას ამხნევებს თავისი მომხიბვლელი ღიმილით, თავისი უშრეტი ენერგიით. უცქერი სოფლის ამ აქტიურ მოღვაწეს და ფიქრობ, აი, როგორი დაუბერებელი შეიძლება იყოს ადამიანი.

ვარა ბაქრაძე თავის მიერ შეთხზულ ნაწარმოებებს ზეპირად გადმოსცემს. მისი შემოქმედების ნიმუშები ფიქსირებულია ვარლამ მაცაბერიძისა და ჩვენს მიერ. მკითხველს ვთავაზობთ რამდენიმე მათგანს.

თამარ ოქროშიძე,
ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი.



## სიტყვა-მახვილი გლეხი

ერთმა ბატონმა ყმას ჩიბუხისათვის ცეცხლი სთხოვა.

გლეხმა ალმოდებული ნაკვერცხალი ბატონს ხელის გულზე დაუდვა. ბატონი გაბრაზდა, გლეხს ჩიბუხი თავში უთავაზა და თან უთხრა:

— ნაკვერცხალი მე ჩიბუხისათვის გთხოვე, და არა ხელის დასაწვავადაო!

— არ მეგონა, ბატონო, თუ დაგწვავდათ, რადგან თქვენ მეტი ძალა გაქვთ ამ ნაკვერცხალზეო! — უპასუხა გლეხმა.

## როგორ მოიტყუა გლეხმა ბატონი

რაჭის ერთმა მებატონემ თბილისში წასვლა მოისურვა. როდესაც შქმერის მთა გადაიარა, იფიქრა: მივალ ჩემ ყმა დაუშვილთან და ღამეს გავათევო!

ივანე დაუშვილმა ძალიან კარგად მიიღო თავისი ბატონი. კარგად ავახშმა და ბოლოს ლოგინიც გაუშალა. ბატონმა დაწოლის წინ მაღლა ქორეთში (სხვენი) აიხედა და დიდი კვახი დაინახა.

— ბიჭო, ამხელა კვახი საიდან მოიტანე? — შეეკითხა ბატონი.

— ეს კვახი ცოლისდამ გამომატანა დარკვეთიდან! — მიუგო გლეხმა.

— ადე, ბიჭო, ჩამოიღე კვახი, გასჭერი და შემიწვი ღველფში! — უბრძანა ბატონმა გლეხს.

გლეხი არ დაიბნა და გაბედულად უთხრა:

— ეს კვახი ძალიან ძვირი დამიჯდა, ბატონო!

—უარს მიბედავ?! გაბრაზდა ბატონი.

—რატომ, ბატონო, ტყუილა კი არავის მოუცია, სახლი აუშენე ჩემ ცოლისდას და მაშინ გამომატანა.

—მაშ მეც ფულს მოგცემ! — უთხრა ბატონმა.

— არა, ბატონო, ფული არ მინდა. პატარა ხელწერილი მომეცი, რომ თქვენი ყმობიდან თავისუფალი ვარ. მეტი არაფერი მინდა!

ბატონს გულში გაეცინა და კიდეც გაეხარდა: „მივცემ ხელწერილს, მაინც ვერაფერს გაიგებს. კვახს შევჭამ და ყმა ისევ ყმად მეყოლებაო".

დაუწერა ხელწერილი: „შენ, დაუშვილო, თავისუფალი ხარ ჩემი ყმობისაგანაო". ხარბმა ბატონმა სამი დღე ჭამა დიდი კვახი და მეოთხე დღეს გასწია ონისაკენ.

გავიდა დრო. შქმერის მოსახლეობამ, მათ შორის ივანე დაუშვილმაც მიიღო სავალდებულო საგადასახადო ფურცელი. დაუშვილმა უარი განაცხადა: — არ ვიხდი თქვენს მიერ შემოწერილ ღალას, რადგან თავისუფალი ვარო!

ბატონი განრისხდა და ქალაქ ონის სასამართლოში უჩივლა. სასამართლომ მებატონეს დაუშვილის ხელწერილი წარუდგინა და უარი უთხრა საჩივრის საქმეზე.

თავისუფალი გახდა გლეხი დაუშვილი.

იმ მებატონეებს, რომელთაც დაუშვილი ეკუთვნოდა, დღესაც „კვახიჭამია" აზნაურებს ეძახიან.

ასე დაიხსნა თავი ყმობისაგან მოხერხებულმა გლეხმა ივანე დაუშვილმა.

ИНДЕКС 76177

